ISSN: 0763-7247

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუშაგი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პ ა რ ი ზ ი № 20 PARIS
****
ნ ო ე მ ბ ე რ ი 1989 NOVEMBRE

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გმირი



მერაბ კოსტავა

მერაბ კოსტავას შესანდობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულა: რიცხვი ცამეტი კვიმატიანიაო და აკი მართლაც გაამართლა ამ დასაქციევმა ცამეტმა ოქტომბერმა!? ბრმა შემთხვევით თუ დემონური წინასწარგანზრახვით, ამ დღეს ავტომობილის მარცხში დაიღუპა მერაბ კოსტავა და მძიმედ დაშავდენ ზურაბ ჭავჭავაძე და თამარა (თამრიკო) ჩხეიძე. ეს დიდი უბედურებაა მრავალტანჯულ საქართველოსთვის, ქართველი ხალხის წმინდათაწმინდა ბრძოლის საქმისათვის. როცა ეს სტრიქონები იწერება, თუმცა ზ. ჭავჭავაძის მდგომარეობა კრიტიკულია, მაინც ვიმედოვნებთ, რომ ის და თ. ჩხეიძე მათ ტრავმებს გადაიტანენ და ისევ დაუბრუნდებიან მებრძოლთა რიგებს, მაგრამ, ვაგლახ, რომ მერაბ კოსტავას საბოლოოდ და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ!

მერაბ კოსტავა. საკმარისია, წარმოთქვათ ეს ორი სიტყვა და თქვენს მაედველობაში მყის იელვებს მომხიბლავი სახე ვაჟკაცის, რომელიც უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში განასახიერებდა ქართველი კაცის სინდის-პატიოსნებასა და კაცურკაცობას.

მერაბ კოსტავა სრულიად ჭაბუკი ჩაება ეროვნული განთავისუფლების ბრძოლაში. მან ჯერ კიდევ *1956* წლის ცხრა მარტს იწვნია საბჭოთა რუსეთის რეპრესიათა მკაცრი სუსხი, ციხე–პატიმრობა.

გაივლის რაღაც ათიოდ წელიწადი და მისი სახელი ზვიად გამსახურდიასთან ერთად კვლავ გამოჩნდება ქართველ სამართალდამცველთა მოწინავე რიგებში. იმ დროის ჩვენი „თავისუფლების ტრიბუნის“ მკითხველებმა იციან ამ ბრძოლის მთავარი მომენტები.

1976 -77 წლებში საბჭოთა ხელისუფლებმა (ლ. ბრეჟნევის მეფობის და ე. შევარდნაძის მეფისნაცვლობის დროს) გადაწყვიტეს ქართველ დისიდენტთა მოძრაობის განადგურება. ჯერ ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელეხედვაში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ განსაკუთრებული სიავით, შემდეგ ისინი ორივე დააპატიმრეს და ჩეკისა და კაგებისათვის ცნობილი „საჯარო გასამართლება“ მოაწყვეს. აქ, ამდროს გამოიკვეთა მერაბ კოსტავას განსაკუთრებული სახე:– მაშინ, როცა ზვიად გამსახურდიამ მოქნილი დიპლომატია იხ-

მარა სუკის კლანჭებისაგან თავის დასახსნელად (რისთვისაც მას ვე-
რავინ ვერ უსაყვედურებს), მერაბმა ჯიქური სიმტკიცე, შეუვალობა,
წმინდა მოწამის თვისებები გამოამჟღავნა.

საყოველთაოდ ცნობილია თუ როგორ ტეხენ და ანადგურებენ
პოლიტიკურ პატიმრებს საბჭოთა საპატიმროები, როგორ აქცევენ
ისინი ამაყ და მთლიან პიროვნებებს სულმდაბალ მონებად და
მსახურ-ლაქიებად, მაგრამ მათ ვერ გატეხეს მერაბი. რა ციხისწა-
მება, რა ტანჯვა, რა ფიზიკური და სულიერი დარტყმა არ მიაყე-
ნეს მას ციხის ჯალათებმა, მაინც მის სულს ვერა დააკლეს რა.
პირიქით, სულ უფრო გასალკლდევდა და გამოიწრთო კარგი ფოლა-
დივით; და, როცა *1987* წლის გაზაფხულზე პოლიტპატიმრები საერთო
შეწყალების სახით გაანთავისუფლეს, მერაბიც განთავისუფლდა,
დაუბრუნდა მის საყვარელ თბილისს, გარნა არა იმისთვის რომ იქ
უდარდელი ცხოვრება ეტარებია, შერყეული ჯანმრთელობის აღდგე-
ნაზე ეზრუნა და დამსახურებული დასვენებით ესარგებლა, არამედ
დროს დაუკარგავად თავდავიწყებით გადაეშვა ეროვნული ბრძოლის
აზვირთებულ სტიქიაში.

მკითხველმა კარგად უწყის ის დიდი სიძნელეები, დაბრკოლებები,
რომელთაც ხელისუფლება უქმნის აღმავალ ეროვნულ მოძრაობას. მან
სასტიკი, დაუნდობელი აშკარა და ფარული ომი გამოუცხადა ჩვენი
ხალხის სამართლიან და კეთილშობილ ლტოლვას თავისუფლებისაკენ.
ცხრა აპრილის შემდეგ ქართველმა ხალხმა კარგად იცის თუ რა
ვერაგები და დაუზოგავებიც არიან მისი მტრები. ამ სასტიკი
ბრძოლის მოწინავე ხაზზე იდგა მუდამ მერაბ კოსტავა, სიკვ-
დილის უკანასკნელ წუთამდე და დაიღუპა კიდევაც ამ ბრძოლაში.

მერაბი დაუღალავად იღვწოდა აგრეთვე შინაურ ფრონტზე, თანა-
მებრძოლთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდების საწინააღმ-
დეგოდ, იმ ჩვენი ეროვნული სენის განსაკურნებლად, რომელსაც
მეფე არჩილმა უწოდა: „უ ჩ ე მ ო დ ვ ი ნ ი მ ღ ე ბ ი ს ა“

დიახ, წავიდა კაცი ამა ქვეყნიდან, ქვეყნისადმი ვალმოხდილი.

ჩვენ პირადად არ ვიცნობდით მას, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა
აქვს, ჩვენც ისევე გვტკივა გული და დავსტირით მის ძვირფასს

21.569

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხედარს, როგორც ყველა მისი ახლო ნათესავი და ჰეშმარიტი მეგობარი თანამებრძოლი,– რამეთუ იგი იყო ჩვენი საერთო მამულის ღვიძლი შვილი და, მაშასადამე, ჩვენი თანამებრძოლიცა და ღვიძლი ძმაცა.

მერაბ კოსტავას სიკვდილი დიდი, ძალიან დიდი დანაკლისია ჩვენს მამულიშვილთა არმიისათვის, მაგრამ მისი რიგები არამც და არამც არ უნდა მოიცვას სასოწარკვეთილებამ, ვიშ-ვიშმა, წუწუნმა და გულგატეხილობამ. პირიქით, მან ერთ მრისხანე მუშტად უნდა შეეკრას მთელი მებრძოლი საქართველო და მტკიცედ უნდა დააყენოს იმ წმინდა ბრძოლის გზაზე, რომელსაც ასეთი სასოებითა და მიძღვნილობით ემსახურა მერაბი მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

მადლიერმა ჩვენმა ერმა მერაბის ცხედარი მთაწმინდაზე, დიდი ილიას გვერდით დაასვენა უკვე; ხოლო მის ხატებას თითოეული ქართველი გულის ფიცარზე ამოიტვიფრავს ამიერიდან... და, იქნება ასე უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

გ უ შ ა გ ი

*

დ ა მ კ რ ძ ა ლ ა ვ ი კ ო მ ი ს ი ი ს ა გ ა ნ :

შექმნილია მერაბ კოსტავას დამკრძალავი კომისია, შემადგენლობით: ზვიად გამსახურდია–თავმჯდომარე, ვაჟა ადამია, აკაკი ბაქრაძე, ირაკლი ბათიაშვილი, გურამ გოგბაიძე, ჯემალ გოლეთიანი, ავთანდილ იმნაძე, გიზო კორძაძე, ნოდარ ნათაძე, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ავთანდილ რცხილაძე, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია, თეიმურაზ ქორიძე, ირაკლი წერეთელი.

დ. კ. დადგენილებით: სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართება ა. წ. *17* და *18* ოქტომბერს, საღ. *7* ს. განსვენებულის ბინაზე, ჯავახიშვილის ქ.№*1*, საეკლესიო პანაშვიდები *19* და *20* ოქტომბერს, საღ. *7* ს., სონის ტაძარში. გამოსვენება *21* ოქტ., დღის *3* საათზე, სონის ტაძრიდან. *20* ოქტ. გამოცხადდეს საყოველთაო გლოვის დღედ. დღეიდან დაკრძალვის დღის ჩათვლით შეწყდეს ყოველგვარ გასართობი და საზეიმო კონცერტები დარბაზებში, ტელევიზიასა და რადიოში. კომისიის სურვილია მერაბ კოსტავა გამოცხადდეს ეროვნულ გმირად. მერაბ კოსტავა დაკრძალული იქნება მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მისი სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთერთ ქუჩას ეწოდოს მერაბ კოსტავას სახელი. მ. კოსტავას სახლში გაიხსნას მისი სახ. სახლ-მუზეუმი. დაკრძალვისა და მემორიალის ხარჯებს გაიღებს ქართ. ერი.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს მიმართვა გორბაჩოვისა და დეპუტატებისადმი

დიდად პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ,
პატივცემულო დეპუტატებო!

მოგმართავთ თქვენ იმის გამო, რომ ყრილობაზე თბილისის *1989* წლის *9* აპრილის ტრაგიკული ამბების განხილვისას გამოსულთა სიტყვებში რამდენჯერმე მოიხსენიეს ჩემი სახელი.

იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ სიტუაციაზე, მინდა გაცნობოთ: *8* აპრილს ღამით შემატყობინეს, რომ თბილისში დემონსტრანტთა დასაშლელად შემოყვანილია ჯარები და შექმნილი ვითარება უაღრესად საშიშია.

ღამის *3* საათზე მივაშურე მთავრობის სახლს და გამზირზე მყოფნი გავაფრთხილე, რომ საფრთხე რეალურია; ვთხოვე, იქვე წმიდა გიორგის ტაძარში შესულიყვნენ სალოცავად. დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო, დემონსტრანტები არავის არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ და ვერცერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ მათ წინააღმდეგ შეიძლებოდა ხელკეტები, ხელბარები და მომწამვლელი ქიმიური გაზები გამოეყენებინათ.

დემონსტრანტები მუხლმოდრეკილი მისმენდნენ. ჩემი სიტყვის შემდეგ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ერთ-ერთმა დემონსტრანტმა თავაზიანად მიპასუხა, რომ ფიცი აქვთ დადებული, ფეხი არ მოიცვალონ აქედან *14* აპრილამდე.

მე, თუმცა არ ვიცოდი, რა მოხდებოდა, შემზარავი წინათგრძნობა დამეუფლა და ამიტომ გადავწყვიტე მათთან ერთად დავრჩენილიყავი და მათი ხვედრი გამეზიარებინა.

ცენტრალურ პრესაში არაერთხელ დაიწერა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინოთ და ჯარებმა ჩემი დაცვის მიზნით, გამომიყვანეს. ეს სწორი არ არის. პირიქით, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები დაიძრნენ, ჩემს წინ ახალგაზრდებმა კედელი აღმართეს, რათა ხიფათი არ შემმთხვეოდა რა. მათვე შეუერთდა ადგილობრივი მილიცია.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომელზეც ყრილობაზე ილაპარაკა ამიერ-

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის ხელიდან გადაეგლიჯოთ მიკროფონი და მე სიტყვა ვერ დამემთავრებინოს, მართალი არ არის. ასეთი ფაქტი არ მომხდარა. ეს ვიდეოფირიდანაც ჩანს. მინდა ვთქვა, რომ საერთოდ გენერალ როდიონოვის გამოსვლამ თავისი ტენდეციურობით და ფაქტების ცრუ გაშუქებით შეურაცხყო ქართველი ერი და ეს ხელს ვერ შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

მწამს, სიმართლე გაიმარჯვებს. მხოლოდ ეს იქნება იმის თავდები, რომ ისეთი შემზარავი ფაქტი, როგორიც თბილისში მოხდა, არასოდეს და არსად აღარ განმეორდება.

გწყალობდეთ ყველას ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და სიმართლისა.

დიდი პატივისცემით ი ლ ი ა II,
სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი

*

ს ა ა ღ დ გ ო მ ო ქ ა დ ა გ ე ბ ი დ ა ნ:

„...უფალი გვეხმარება, მწუხარებისა და დიდი ტკივილის ფასად აღვიძებს ჩვენს ეროვნულ სულს, გვკრავს და გვაერთიანებს. ამაშია ჩვენი გადარჩენა. მივყვეთ ამ გზას, მოვუხმოთ სიბრძნეს, სიმშვიდეს, თორემ განსაცდელი გაციცებით დიდი შეიძლება გვერგოს.

9 აპრილის ღამემ ბევრი რამ დაგვანახა. დაგვანახა, რომ არ არსებობს სიკეთის მომრევი ძალა და თუ ჩვენ რწმენით, სიყვარულით და სიმართლით ვივლით, გამოვიჩენთ წინდახედულებას, გავიმარჯვებთ.

იმ ღამეს საქართველომ იტვირთა და თავის თავზე აიღო უმძიმესი დარტყმა. ის, რაც აქ მოხდა, სხვაგან, აღბათ, არ განმეორდება. ამით საქართველომ იხსნა სხვა ერები განსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელისგან. ესც ღვთისგან დაკისრებული მოვალეობა ია იყო ჩვენი. ამისთვის ვმადღობთ ღმერთს.

საქართველოს ეკლესია აღავლენს ლოცვებს უდანაშაულოდ მსხვერპლშეწირულთა სულის საოხად, რათა უფალმან დააწესოს იგინი სავანესა მართალსა. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი, ამინ!.."

ილია II

(„ჯვარი ვაზისა" № 2 (26-ე), თბილისი – 1989)

*** *** ***

ი ქ ნ ე ბ ?!

იქნებ დაიძრა ყინული,
იქნებ იმსხვრევა, იფქვება,
ნაცარწაყრილი ღადარი
იქნებ ღვივდება, ინთება.
იქნება ცოცხალი არი,
რაც ცოცხლად აღარ ითვლება?!
სული ასწლობით ნაგვემი
იმედის ზვირთში ინთება.
იქნებ სასჯელი გვაკმარა,
იქნებ ღვთის ნება იცვლება;
იქნება ნაოცნებარი
ის საქართველო იქმნება,
მე ვარო თავის უფალი,
სადა ამაყად ითქმება.
იქნებ დაიძრა ყინული,
იქნებ იმსხვრევა, იფქვება,
ნაცარწაყრილი ღადარი ...
ღმერთო, იქნება, იქნება?!

რუსლან მიქაბერიძე

(ჟურნალი „ლაზარის აღდგინება" თბილისი, დეკემბერი 1988)

*

სარწმუნოება და მამული

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობას საყდარი; ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად– ჩვენი სისხლი, და ბეთა ჯოჯოხეთისა ვერ შემუსრეს იგი" /**ი. ჭავჭავაძე**/.

როდესაც წმინდა ილია მართალმა /ჭავჭავაძემ/ სარწმუნოება, მამული ენა წინაპართაგან ჩვენთვის დატოვებულ, გასაფრთხილებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუნჯედ მიიჩნია, მან ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედზე მიგვანიშნა, ოდითგანვე საქართველოში ერთდროულად იცავდნენ ეროვნებასა და სარწმუნოებას, ოდითგანვე ქრისტიანობა ქართველობასაც ნიშნავდა და ქართული კაცის გონებაში მტკიცდებოდა აზრი, საქართველო იქ არის, სადაც ღმერთს ქართულ ენაზე ემსახურებიან. ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აერთიანებდა ერს და სარწმუნოებისათვის ამაგდარი ადამიანები, წმინდანებად შერაცხილი წამებულნი იმავდროულად ეროვნული გმირებიც იყვნენ. მათი სულისკვეთება დღესაც არ გამქრალა საქართველოში.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებების დამცველთა რიცხვი თანდათან იზრდება და ამაში არც არაფერია უცნაური; ეს სულიერი კულტურის ამაღლების შედეგია, რადგან, რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო ძლიერია მასში ინდივიდუალური და ეროვნული თავისუფლების სურვილი. ამგვარი მოძრაობის პრობლემები ყოველთვის შეესაბამება იმ ქვეყნის სპეციფიკას, სადაც ის მიმდინარეობს. საქართველოსაც თავისი გასაჭირი აღგას და ჩვენი ერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, მასში არ გამქრალა ის იმპულსები, რომელთა მეოხებითაც ადამიანი თავის ღირსეულ სახეს ინარჩუნებს. იძულებით ღმილისა და შიშის ატმოსფეროშიც კი საქართველოს ეროვნული გმირები გამოუჩნდა. ესეც ერის პოტენციალის მაჩვენებელია, რადგანაც გმირი სულიერად დაძაბუნებულ ხალხში არ იბადება. გმირი ერის გამოუმჟღავნებელი, ფარული მისწრაფებების გამომხატველია და ის თავიდანვე რომც არ იყოს აღიარებული მთელი საზოგადოების მიერ, მაინც წინ უძღვის ერს უმაღლესი სულიერი ფასეულობების მოსაპოვებლად. ჩვენში ეროვნული აღმავლობა დღესდღეობით ყველასათვის თვალსაჩინოა. ჯერ კიდევ ამა წლის მარტში დაიწყო საპროტესტო შიმშილობა ლოცვით, მოშიმშილენი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და შიმშილობამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ამჯერად არ შევჩერდებით ამ აქციის გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მას ჰქონდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სარწმუნოებრივი შინაარსიც – ეს იყო შიმშილობა ლოცვით.

ამა წლის ოქტომბერ–ნოემბერში კი მართლაც დიდი მოგლენები მეწმენი გავხდით. თბილისის ქუჩებში ეროვნულ დროშასთან ერთად აფრიალდა საეკლესიო დროშებიც. *12* ნოემბრის ხალხმრავალ დემონსტრაციას ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ერთად წინ უძღოდა მღვდელი ნიკოლოზი, რომელმაც გახსნა მიტინგი და სიტყვა წარმოსთქვა მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით. *23* ნოემბერი კი, ჩვენი აზრით, სამუდამოდ შევა არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ ქართული ეკლესიის ისტორიაშიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ათეისტურ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოება უპირისპირდება ოფიციალურად მიღებულ მსოფლმხედველობას და მტრულ მოვლენად არის განხილული, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ეკლესია დასცილდეს ერს და თავისი გავლენის სფერო მცირეოდენი მრევლით შემოზღუდოს. ცნობილია ისიც, რომ საბჭოთა კავშირში სარწმუნოების ადმინისტრაციულ დევნას გარდაქმნამდე უკიდურესი ხასიათი ჰქონდა. დღეს უკიდურესობას აღარ აქვს ადგილი, მაგრამ მთავრობა მაინც არ შეუწყობს ხელს იმას, რომ ეკლესიას კვლავ მიენიჭოს უფლება, მართოს ერის სულიერი ცხოვრება, გარდამწყვეტი ხმა იქონიოს საზოგადოების ზნეობრივი პოზიციების დადგენაში, როგორც ეს ისტორიულად იყო. *23* - *29* ნოემბერს კი ყველამ ვიგრძენით, თუ რა დიდი ძალაა ისტორია, რომ არავის ხელეწიფება შემოაბრუნოს მისი ჩარხი, ჩაკლას მისი ხმა! წმინდაგიორგობაზე *23* ნოემბერს *62* ახალგაზრდამ გამოაცხადა შიმშილობა ლოცვით. მოშიმშილეთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა და ორ დღეში ათასს გადააჭარბა. მოშიმშილენი მთავრობის სასახლის წინ ისხდნენ, გარშემორტყმული ათიათასობით ადამიანით, რომლებიც თუმცა არ შიმშილობდნენ, მაგრამ ლოცულობდნენ მოშიმშილეებთან ერთად. სავსე იყო ქაშვეთის ეკლესიის ეზო, ღამითაც კი არ იკეტებოდა ეკლესიის კარი, სანთლებით გაჩირაღდნებული ქუჩა ტაძარს ჰგავდა და გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ტაძარშიც კი არ შევსწრებივართ მლოცველთა ისეთ სულიერ ერთიანობას, როგორც აქ, ღია ცისქვეშ. *28* ნოემბერს დაიძრა ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან, *29* ნოემბერს კი ასიათასობით ქართველი ისმენდა საპატრიარქო ტაძრის დიაკვანის გოჩა აბულაძის ქადაგებას. მან

მოუწოდა ქართველებს წინაპართა ცოდვების შესანანებლად, გვლესი-ათა ნგრევისათვის, სარწმუნოების დევნისათვის. ყოვლადუსამღვდ-ელოესმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ კი მიტინგის მონაწილეებთან ერთად სამგზის ლოცვით ითხოვა შეწყალება უფლისაგან. *29* ნოემ-ბერს საღამოს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა უწ-მიდესმა და უნეტარესმა ილია *II* სიონის ტაძარში აღავლინა სამა-ლლობელი უფლის პარაკლისი.

ამა წლის ნოემბერში ჩვენი მამული და, რაღა თქმა უნდა, ენაც უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ადგილი ჰქონდა საქართვე-ლოს კოლონიური სტატუსის იურიდიულად დაკანონების მცდელობას. უდიდესი ძალით იფეთქა შეულახულმა მამულიშვილურმა გრძნობამ და მისგან განუყოფელმა სარწმუნოებრივმა გრძნობამაც. ისტორიამ თქ-ვა თავისი სიტყვა, რადგან ღმერთმა ინება, რომ ისტორიულად ეს ორი გრძნობა ერთიანი ყოფილიყო საქართველოში.

წმიდა ილია მართალი /ჭავჭავაძე/ ბრძანებს: „იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვ-ენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შეიკედლა, შთაუდ-გა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჰეშმა-რიტებისა და, აი, ათასხუთასი წელიწადია ამ ძალღონით ქრისტი-ანობამ შეგვინახა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თვითონ ცალკედ, თავის-თავადაც დიდი ღვაწლია და, ქრისტიანობამ ქვიტკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვ-ნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვი-დიდდება, გვიძლიერდება.“

ჩვენი ერის სულიერ აღმავლობას ზოგი შურის თვალით შესცქე-რის, ცდილობს ქართველ ერს ბრალი დასდოს შოვინიზმისა და რე-ლიგიურ შეუწყნარებლობაში. მათაც წმ. ილია მართლის სიტყვით მიმართავთ: „ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმუ-ლმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც, ამიტომაც ჩვენს ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა".

23 - 29 ნოემბერს ქალაქის იმ უბნიდან, სადაც მოშიმშილენი ისხდნენ, ისმოდა სიტყვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გვახსოვს, როგორ მიმართა იესომ მორწმუნეებს: „უკეთუ თქუენ დაადგეთ სიტყვათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ და სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" /**იოანე,** *8,31 - 32* /

|„ლაზარეს აღდგინება", **დეკემბერი** *1988*, **თბილისი**|

*** *** ***

გადასახლებულ მესხთა პრობლემა

ჩვენი ერის ტრაგედია

ქართველი საზოგადოებრიობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი წლების განმავლობაში იბრძოდა საქართველოდან უკანონოდ გასახლებული გამაჰმადიანებული ქართველების სამშობლოში დასაბრუნებლად, მათთვის ნამდვილი გვარებისა და ეროვნების აღდგენისათვის. ეს შეადგენდა ადამიანის უფლებათა დამცველების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. მესხთა და მათ დამცველთა ეს სურვილი კრემლის გადაუღახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ქართული ორიენტაციის წარმომადგენელნი ყოველმხრივ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ. სამაგიეროდ გადასახლებულთა შორის მოსკოვის წაქეზებითა და მხარდაჭერით მოქმედებს ჯგუფი, რომლის წარმომადგენელნიც თავიანთ თავს თურქებად აცხადებენ და აყენებენ საქართველოსათვის სრულიად მიუღებელ მოთხოვნებს (მაგალითად, მესხეთში მათთვის ავტონომიის მიცემას, თურქული სკოლების გახსნას და სხვა).

საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში ძალიან გამწვავდა ეროვნული კონფლიქტები, რომელთაც თვით იმპერია სიამოვნებით უწყობს ხელს, ხოლო ხშირ შემთხვევაში მათ პროვოცირებასაც კი ახდენს. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის დროს გამხეცებულ უზბეკთა ჯგუფთა ბარბაროსობის მსხვერპლნი შეიქნენ უზბეკეთში მოსახლე მესხები.

ბუნებრივია, რომ ქართველთა ამ გენოციდს ყველაზე მეტი მწუხარება და თანაგრძნობა საქართველოში უნდა გამოეწვია. მოსალოდნელი იყო, რომ ქართველობა ერთსულოვნად მოინდომებდა თანამემამულეთა თანადგომას. მაგრამ ქართული ორიენტაციის მესხთა საქართველოში არ დაშვების კრემლისეულ პოლიტიკას „გარდაქმნა“ არ განუცდია, და მოსკოვმა კვლავ აქტიურად აამოქმედა სარაოვის (წარმოშობით დიდებულიძის) თურქული ორიენტაციის ჯგუფი; აამოქმედა ქართველთა დეზინფორმირებისა და დაშინებისათვის.

სარაოვი თავისი ანტი-ქართული პოზიციის ფართო პროპაგანდას შეუდგა ყრილობის დელეგატთა შორის სამასი ათასი თურქის სახელით (!). ასე გაჩნდა მითი საქართველოში ასიათასობით თურქის მოსალოდნელი შემოსახლების შესახებ. აქტიურად ამოქმედდა სუკ -ის ჯორებისა და დეზინფორმაციის სამსახური: ზოგს წითელ ხიდთან ეგულებოდა უკვე „თურქი-მესხები“, ხოლო ზოგიც დასავლეთ საქართველოში შემოჭრილთ ხედავდა „თურქ ურდოებს“. ასე წინასწარგანზრახვით და გეგმაზომიერად იქმნებობა ჩვენს ხალხში ანტიმესხური განწყობილება. სამწუხაროდ, ამ პროვოკაციამ ზოგი პატიოსანი ადამიანიც შეიყვანა შეცდომაში. თანამედროვე ქართველი ერის საკალაო ზნეობრივი მდგომარეობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ თვით უპატრონოდ დარჩენილი პატარა მესხი ბავშვების საქართველოში შეფარების წინადადებასაც კი ერთ-ერთ მიტინგზე (23 ივნისს) შეკრებილნი „არ გვინდა!“, „არ გვინდა“ -ს შეძახილებით შეხვდნენ.

განსაკუთრებით გასაოცარია იმ პირთა პოზიცია, რომლებიც წლების განმავლობაში და სულ ერთი კვირის წინათაც მოითხოვდნენ მესხთა რეპატრიაციას, ახლა კი უცებ გაიზიარეს მთავრობის პოზიცია და თურქებად გამოაცხადეს ისინი. სარაოვის ჯგუფის მოღვაწეობა ხომ მათთვის ადრევე ცნობილი იყო და ისიც, თუ ვინ დგას ამ ჯგუფის უკან. აგრეთვე გაიგონებთ არგუმენტს – ახლა მაგათთვის არ გვცალია, ჯერ აჭარლები და სვანები გვყავს დასაბინავებელიო! განა შესაძლებელია, მშობელმა რომელიმე შვილი უარყოს და დანარჩენს მიხედოს? მესხებს ზუსტად ისეთივე უფლება აქვთ ქართულ მიწაზე, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს.

რეალური სურათი ასეთია: კრემლს არც დღეს სურს მესხთა დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნება საქართველოში, მაგრამ ამჯერად იგი ცდილობს ამისათვის პასუხისმგებლობა ქართველ ერს დააკისროს და ამ მიზნით **ხელოვნურად** ქმნის საქართველოში ანტიმესხურ ისტერიას. ამით ის მრავალმხრივ რჩება მოგებული: სახელს უტეხს ქართველ ერს მთელი მსოფლიოს წინაშე (საბჭოთა რეჟიმის მიერ *1944* წელს ჩადენილი კაცთმოძულე აქციის მხარდამჭერად, ადამიანისა და ერის უფლებების დამრღვევად გამოჰყავს იგი), **სხვისი ხელით** (ხალხს არ უნდა, ჩვენ რა შუაში ვართო) უშლის ხელს მესხთა დაბრუნებას ქართულ სამყაროში, თვითონ კი იძენს მუშახელს (მესხები ძალიან მშრომელი ხალხია) სმოლენსკისა და სხვა რაიონებისთვის. ჩვენ კი გაჭირვებაში ჩავარდნილ მესხთა უარყოფით უცხო მიწაზე ვამრავლებთ ჩვენზე განაწყენებულ, სწრაფად გამრავლებად მოსახლეობას. ამ ასათასობით ადამიანს, რომელთაც ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების მიხედვით სრული უფლება ექნებათ ქართულ მიწაზე დაბრუნებისა, რუსეთი ყოველთვის გამოიყენებს (საქართველოს დამოუკიდებლობის შემთხვევაშიც) ჩვენს წინააღმდეგ. ამგვარად, ამჟამად მესხთა უარყოფაზე მეტი პოლიტიკური სიბეცე ძნელი წარმოსადგენია.

მაგრამ საკითხს აქვს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზნეობრივი მხარე – ერი, რომელიც უარყოფს თავის სისხლსა და ხორცს და არ დაეხმარება, არ შეიფარებს მას გაჭირვებაში, თავის თავზე იღებს უმძიმეს ცოდვას, რითაც უდიდეს საფრთხეს უქმნის საკუთარ მომავალს.

ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გონივრული და ზნეობრივი პოზიციაა: **თანდათანობით** ჩამოვასახლოთ **ქართულ პოზიციაზე მდგომი** მესხები ქართულ სოფლებში (სამცხე – ჯავახეთის გარდა) მცირე ჯგუფებად დავასახლოთ ისინი, რათა მათი შვილები უცხო მიწაზე გაურკვეველი ეროვნების ადამიანებად კი არ გაიზარდონ, არამედ სრულფასოვან ქართველებად. ქართულ გარემოში მოხვედრილი კაცი აუცილებლად დაუბრუნდება ქრისტიანობას. ხოლო ისინი, ვინც დღეს მათ პრეტენზიულად საყვედურობს, რატომ ქრისტიანები არა ხართო, ჩემის აზრით, ყველაზე მეტად არიან დაშორებულნი ქრისტიანობას, რადგან არაფერია ქრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიანობისთვის ისე უცხო, როგორც ის შეუწყნარებლობა და სასაკ-ტიკე, რასაც ეს ადამიანები საქართველოდან იძულებით მოწყვეტილ თანამემამულეთადმი იჩენენ. აღსანიშნავია, რომ ასეთ „ქრისტიანთა-გან“ მეტისმეტად განსხვავებული პოზიცია უკავია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, რომელიც გარკვევით ამბობს, რომ რელიგიუ-რი ფაქტორი თავისთავად მოყვება მესხთათვის ქართველობის დაბრ-უნებას (იხ. *28* ივნისის გაზ. „ქართული ფილმი“).

მესხთა ჩამოსახლების მოწინააღმდეგენი დაჟინებით ამტკიცებენ— კრემლი მესხთა შერჩევის უფლებას არ მოგვცემსო. ქართველობა რომ კრემლიდან ელოდეს მზამზარეულ უფლებების წყალობას, საერთოდ უაზრო იქნებოდა ეროვნული მოძრაობა; ეს უფლება ჩვენ უნდა მო-ვიპოვოთ და ის სრულიად რეალურია. უკლებლივ ყველას ჩამოსახლე-ბის არავითარი საშუალება არ არსებობს (გინდა ყველა ქართველი იყოს ნამდვილად), შეზღუდული რიცხვის ჩამოსახლება კი სპეციალუ-რმა კომისიამ უნდა მოახდინოს უკვე გაქართველებულ და სრულიად საიმედო მესხების (ასეთებს ჩვენ არაერთს ვიცნობთ). მართალია, პრაქტიკულად უახლოეს ხანებში მესხთა მხოლოდ მცირე ნაწილის რეპატრიაციას შევძლებთ, დარჩენილთ ეცოდინებათ, რომ საქართვე-ლოში მესხებზე ზრუნავენ და მათზე ხელი არ აუღიათ.

მესხთა დღევანდელი ტრაგედია დღევანდელი საქართველოს ტრაგე-დიაა. მასზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ზნეობრივი და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური გადარჩენის საკითხი. თუკი ქართვე-ლი არ მოიქცევა ისე, როგორც ქართველს, როგორც ქრისტიანს და უბრალოდ, როგორც ადამიანს შეჰფერის, ის ვერავითარ

დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოს ვერ შექმნის.

თ ა მ ა რ ჩ ხ ე ი ძ ე

[„ივერია“ №9 , *1989* წლის *21* ივნისი; ი. ჭავჭავაძის საზ –ბა]

*

ქ მ ნ ა მ ა რ თ ლ ი ს ა . . .

მაჰმადიან მესხთა ტრაღედია ჭეშმარიტად მთელი ქართველი ერ-ის ტრაღედიაა და ამდენად ყველას გვმართებს მის შესახებ ჩვენი დამოკიდებულება განვაცხადოთ, თუნდაც ჩვენს შემთხვევაში, როცა უძლურნი ვართ რაიმე წვლილი შევიტანოთ მის პრაქტიკულ გადაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეტაში.

გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ სტალინის საბჭოთა ხელისუფლებამ უპატიებელი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, როცა მან, *1944* წელში, სამშობლოდან აჰყარა და შორეულ მხარეებში გადაასახლა დედაწულიანა მესხეთის მთელი მუსულმანი მოსახლეობა. ამ საცოდავი ხალხის უბედურება, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, დღემდე გრძელდება. წელს, ივნისის პირველ რიცხვებში მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები შეაძრწუნა უზბეკი ბრბოების მიერ ე. წ. „თურქ-მესხების“ მხეცური დარბევის ამბავმა. თვით საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო იტყობინებოდა ბერგჰანის რაიონიდან, სადაც სახლობდენ უმრავლესობა გადასახლებული მესხებისა, *70* მოკლულს (მათ შორის ბევრია ქალი, ბავშვი და მოხუცი), რამდენიმე ასეულ დაჭრილს, გაუპატიურების, ცარცვისა და ვანდალიზმის უთვალავ ფაქტებს. ფრანგულმა პრესამ გამოაქვეყნა ზოგიერთ იმ დარბეულ მესხთა სურათები, რომლებმაც თავი შეაფარეს ბანაკებს. საოცარია, – ამ სურათებიდან იცქირებიან სრულიად ტიპური ქართული სახეები. ეს სურათები ადასტურებენ, რომ მიუხედავად ოთხი საუკუნის უწყვეტი ბედუკუღმართობისა მესხები სახიერად არ შეცვლილან, ქართული ჯიშისანი არიან; ხოლო მაჰმადიან გარემოში თვით მათი დარბევის ფაქტი ყველაზე უკედ ადასტურებს, რომ, მიუხედავად ისლამის აღმსარებლობისა, მესხების ბუნება-ხასიათი მკვეთრად განსხვავდება იგივე მუსულმან უზბეკებისა, ტაჯიკებისა თუ თურქმენებისაგან, სხვაგვარად ვერაფრით ვერ აიხსნება ის ღრმა ანტაგონიზმი, რომელიც ამ რბევამ გამოამჟღავნა აშკარად.

ამიტომ, ზოგიერთი პესიმისტისაგან განსხვავებით, ამ მესხებს ჩვენ დაკარგულად არ ვთვლით ქართული ცივილიზაციისთვის.

ასეა თუ ისე, ამჟამად აქტუალური გახდა ამ გვემულ-წამებული ხალხის მათ და ჩვენ სამშობლოში დაბრუნება. როგორც სამართლიანად აღნიშნა პროფესორ გიორგი შარაშიძემ (იხ. *8/6/89* -ის ფრანგული გაზეთი **„ლე მონდ“**), წარსულში, სისხლიანი ცხრა აპრილის დარბევამდე, ქართველი მანიფესტანტები ხელისუფლებისგან მუდამ მოითხოვდენ „სტალინიზმის მსხვერპლ ამ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებას“. ახლა, როგორც ეტყობა, განწყობილება შეცვლილა–

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამცირედი რიცხვი ქართველებისა აშკარა წინააღმდეგობას იჩენენ მესხების ჩამოსახლების მიმართ. ჩვენ ამაში მათ ვერა და ვერ დავეთანხმებით. ვერავითარი პატრიოტული მოსაზრებებით ვერ გავამართლებთ უსამართლობას. ჩვენ თვით თამარ ჩხეიძის პოზიციაც ბოლომდე არ გვაკმაყოფილებს. მაგალითად, როგორ შეგვიძლია გავამართლოთ, რომ მესხებს უფლება არ მივცეთ დასახლდენ სამცხე-ჯავახეთში. ეს იგივე იქნება, რომ გურულს ნება არ დართო გურიაში ცხოვრების, ან კახელს – კახეთში ცხოვრების. უზნეობა იქნება, რომ ჩამოსასახლებელ მესხებს მოეთხოვოთ, როგორც პირობა, გაქართველება, გაქრისტიანება და სხვა. ერთადერთი პირობა, რაც მათ მოეთხოვებათ, უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს პატივისცემა და ერთგულება.

გვმართებს, ვიხელმძღვანელოთ ბრძენი შოთას შეგონებით:

„ქმნა მართლისა სიმართლისა ხესაც შეიქმს ხმელსა ნედლად“.

გ უ შ ა გ ი

*** *** ***

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი ა ნ დ რ ე ი ს ა ხ ა რ ო ვ ი ს ა დ მ ი

ღრმად პატივცემულო ანდრეი დიმიტრის ძევ!

ამ წერილს გწერთ პოლიტპატიმარი, ქართველი. საზოგადოებრიობის თხოვნით ციხიდან დროებით, სასამართლომდე, თავდებში გამოშვებული, ძიება ჩვენს საქმეზე გრძელდება(გამსახურდია, კოსტავა და სხვ.). მე იძულებული ვარ შეგატყობინოთ ამის შესახებ, ვინაიდან თქვენ, საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის უდიდესი მებრძოლი – ჩვენი ბედით არ დაინტერესდით, თუმცა უწინ, 70-ან წლებში, ჩვენი ადრინდელი პატიმრობის ირგვლივ არსებულმა მოვლენებმა არამარტო დაგაინტერესათ, არამედ საჯაროდაც კი გამოდიოდით ჩვენს დასაცავად. რა მოხდა? რატომ დაივიწყეთ თქვენი გუშინდელი თანამებრძოლნი, რომლებიც თქვენ არასოდეს მიგიტოვებიათ გაჭირვებაში? ჩვენ ხომ არა მარტო ქართულ ეროვნულ მოძრაობას ვეკუთვნოდით და ვეკუთვნით, არამედ საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ მოძრაობასაც, რომლის ლიდერად და სიმბოლოდ ყოველთვის თქვენ მიგვაჩნდით! ნუთუ საჭირო შეგახსენოთ, რომ ჩვ-

ენ, თქვენთვის ახლობელი ადამიანები აქტიურ მონაწილეობას ღებულ-ლობდით „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკაში“, ვწერდით წერილებსა და განცხადებებს – არა მხოლოდ ქართველი, არამედ მოსკოველი პოლიტპატიმრების დასაცავად, გამოვცემდით არა მხოლოდ ჩვენს ჟურნალებს, არამედ – გახლავართ – პირველი იატაკქვეშა გამომცემლები თქვენი წიგნისა „**სახაროვი მშვიდობისათვის ბრძოლაში**“ და სოლჟენიცინის „**არქიპელაგისა**“ – *70* -ან წლებში, როდესაც ყველაფერი ეს თვითმკვლელობას უდრიდა?

შეუძლია ვინმეს ვიწრო ნაციონალიზმი ან კარჩაკეტილობა დაგვწამოს? რა თქმა უნდა – არა. მაშ რა მოხდა? რატომ გაგვეთიშეთ, დაგვადეთ ტაბუ, რატომ არ მოისურვეთ *9* აპრილის მოვლენების გამომკვლევი კომისიის შემადგენლობაში შესვლა? ანდა რატომ არ განმარტეთ ნამდვილი მიზეზი ყოველივე ამისა ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნებულ (*31* ნომერი, ივლისი, *1989* წ.) თქვენს ინტერვიუში, სადაც კორესპონდენტის განსაცვიფრებლად შემდეგი სიტყვები წარმოთქვით: „წინათ მე რთული, არაერთმნიშვნელოვანი ურთიერთობები მქონდა საქართველოს არაფორმალური მოძრაობის ლიდერებთან, რაც უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდებდა კომისიის მუშაობის დროს“. თქვით ეს და არ დაასრულეთ, არც კომენტარი გაუკეთეთ, ამიტომ მე იძულებული ვარ თქვენს ნაცვლად მივცე განმარტება საზოგადოებრიობას. ამას მოითხოვს თქვენგან ნაქები საჯაროობა.

21.569

დავუშვათ, თქვენ იმით ხართ უკმაყოფილო, რომ ჩემს სასამართლო პროცესზე *1978* წლის მაისში, მე ჩვენი მოძრაობისა და ახალგაზრდობის გადასარჩენად იძულებული გავხდი ტაქტიკური უკუსვლა გამეკეთებინა, რასაც ზოგიერთები ხატავენ, როგორც ჩემს სულმოკლეობას. მაგრამ მერაბ კოსტავამ, რომელმაც თავისი საუკეთესო წლები ციხეში გაატარა *1987* წლამდე, რა დაგიშავათ? ამას გარდა, განა თქვენ თავად არ წერდით გორბაჩოვისადმი პოლიტპატიმრების დასაცავად გაგზავნილ წერილში, რომ არ კიცხავთ ჩემს საქციელს, რამეთუ „უკიდურეს მდგომარეობაში ყველას თავისი ლოგიკა და მოქმედების ტაქტიკა აქვს“ (თქვენი სიტყვების უკუთავრმანი – პარიზული ემიგრანტული ჟურნალიდან „გუშაგი“). ამჯერად კი ჩვენი, როგორც *1989* წლის *9* აპრილის დემონსტრაციის ორგანიზატორების დაპატიმ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შემდეგ, რატომ ერთხელაც არ გვახსენეთ? ეს არ [illegible]ია და არც თხოვნა სამომავლოდ.

მაგრამ მე გულდაწყვეტილი ვარ იმით, რომ ყოველივე ეს განპირობებულია თქვენი განწყობილების შეცვლით საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი, რაც თქვენგან კი არა, იმ პიროვნებისაგან მომდინარეობს, რომელმაც თქვენზე განუსაზღვრელი გავლენა მოიპოვა და რომელიც მართავს ყველა თქვენს ქცევასა და მოქმედებას, გადაწყვეტით უნდა აღვნიშნო, რომ ეს პიროვნება თქვენი მეუღლე – ელენე გიორგის ასული ბონერია, რომელსაც არ უყვარს ქართველი ხალხი და ეს გრძნობა ჩვენზეც გადმოაქვს.

იმ დროს, როდესაც მოსკოვის მოძრაობას ძალიან სჭირდებოდა ქართველი დისიდენტები, საქართველოში მრავლდებოდა მოსკოვური თვითგამოცემები – პირველ რიგში კი თქვენი შრომები, და კიდევ ზოგიერთი სხვა მიზეზის გამო, ელენე ბონერი იძულებული იყო ეს გრძნობა, პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო, დაეფარა.

ახლა კი, როდესაც, ჩვენთან ურთიერთობის გამო ხელმწიფე-იმპერატორისაგან რისხვის დამსახურების გარდა ჩვენგან არაფერს მოელის, მან ამჯობინა გაწყვიტოს ურთიერთობა არა მარტო ჩვენთან, არამედ საქართველოსთან და ქართულ ეროვნულ მოძრაობასთანაც, უფრო მეტიც – უგულებელყოს საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და არასამართლიან საქმედაც კი ჩათვალოს იგი. (!)

ჩვენს დამოკიდებულებაში ბოლო წლებში მომხდარი მოვლენების სხვაგვარი ახსნა არ შეიძლება. გავიხსენოთ ორი სატელეფონო საუბარი, ერთი ჩემსა და ელენე გიორგის ასულს შორის და მეორე ჩემსა და თქვენს შორის *1987* წლის მარტსა და აპრილში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პოლიტპატიმრების განთავისუფლება დაიწყო, ქართველ პოლიტპატიმრებს კი გულდასმით აჩერებდნენ მავთულხლართების მიღმა, რასაც ჩვენ სრულიად სამართლიანად აღვიქვამდით, როგორც საქართველოს დისკრიმინაციას. მე ელენე გიორგის ასულს ვთხოვე დაგვხმარებოდა ძმები გუდავებისა და მერაბ კოსტავას განთავისუფლებაში. ელენე გიორგის ასულმა გამომიცხადა: „დაგვანებეთ თავი, ყველაფერს ორ მოხუც ავადმყოფს ნუ გვავალებთ!“ და ყურმიღი დაკიდა. მოგვიანებით, როდესაც ბევრი მითითების შემდეგ იმედი დავ-

კარზე მერაბ კოსტავას ციხიდან, უფრო სწორედ კი ტუბერკულოზული ზონიდან გამოხსნისა, სადაც მას „პერესტროიკის“ მოტივებით იძულებით აკავებდნენ, მე კვლავ დაგირეკეთ და გითხარით: „ანდრეი დიმიტრის ძეს, ჩვენ დიდათ მადლობელი ვართ, რომ თქვენ გორბაჩოვისადმი მიმართვაში პოლიტპატიმრების შესახებ მერაბი ახსენეთ, მაგრამ ამან მას ჯერჯერობით ვერ უშველა. გთხოვთ კიდევ გამოხვიდეთ მის დასაცავად. გარდა ამისა, გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რათა გარდაქმნის სიმ ჩვენამდე მოაღწიოს, ვინაიდან ჩვენთან ჯერჯერობით არავითარი ცვლილება არ იგრძნობა“.

არც თქვენს ხმაში, არც საუბრის შინაარსში მე არ მიგრძვნია, რომ თქვენ ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვალეთ, ან რომ ჩვენს მიმართ არაკეთილი განწყობილება გამოძრავებდათ. თქვენ მიპასუხეთ: „მე ვფიქრობ, რომ მალე თქვენთანაც იქნება გარდაქმნა...“, მაგრამ თქვენ საუბარი არ დაგამთავრებინეს, ტელეფონში გაისმა საბედისწერო ხმა: „ანდრეი, ეხლავე დაკიდე ყურმილი“, და თქვენც მორჩილად, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით, დაკიდეთ ყურმილი. ამის შემდეგ მე თქვენთვის, რაღა თქმა უნდა, აღარ დამირეკავს.

ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის უკვე ცხადია, თუ რატომ გაწყვიტეთ კავშირი ჩვენს მოძრაობასთან, პირადად ჩვენთან და საქართველოს შესახებ არაფრის გაგონება არა გსურთ. უფრო მეტიც, თქვენ ჩაერთეთ იმ ანტიქართულ კამპანიაში, რომელმაც საქართველო იმპერიად გამოაცხადა, რომელმაც თითქოს თავის შემადგენლობაში შეიყვანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ერ ოვ ნ ულ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ე ბ ი („**ოგონიოკი**“, გვ. *27*). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, საოცარ უცოდინარობას იჩენდით მუდამ კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებში. მაგალითად, *1973* წ. თვითგამოცემის ჟურნალმა – „**მიმდინარე ამბავთა ქრონიკამ**“ – რომელიც თქვენი ეგიდით გამოდიოდა, გამოაქვეყნა სტატია – „**მესხი–თურქთა მოძრაობა სამშობლოში დასაბრუნებლად**“. მესხი-თურქები ბუნებაში ისევე არ არსებობენ, როგორც შოტლანდიელი ჩინელები. ეს ტერმინი შექმნილია ბნელი, გაუნათლებელი ადამიანების მიერ – ქართველ მუსულმანთა წრიდან, რომლებიც რელიგიას ეროვნებისაგან ვერ ასხვავებენ და თავს თურქებად მხოლოდ იმიტომ თვლიან, რომ მუსულმანები არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იან. თქვენ კი, სწავლული აკადემიკოსი, უნდა ასხვავებდეთ ტერიტორიას ეროვნებისაგან. ანდა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ძალიან ცოდნა ხედავთ! (იხ. სტატია მესხებზე). ამასთან დაკავშირებით თქვენ და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფს წარმოგიდგენთ ცნობა მესხებზე, როგორც ქართველ ტომზე, რომელიც მიკლუხო-მაკლაის სახ. ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მოამზადა. ამის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი №18 მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფისა „მესხთა მდგომარეობის შესახებ“.

ახლა თქვენ ივივეს აგრძელებთ. ეურნალ „ოგონიოკში“ გაკეთებული განცხადებით თქვენ დაამტკიცეთ, რომ არ იცით ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობა, ასევე არ იცით, თუ რა კავშირი აქვს მას ტერმინ „საქართველოსთან“. სხვადასხვა ისტორიკოსთა ციტირებით თავი რომ არ მოგაბეზრო, ისევ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაზე მიგითითებთ: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე *I* ათასწლეულის შუა პერიოდში დაიწყო ადგილობრივი ეთნიური ტიპის ჩამოყალიბება. აფხაზეთი მაშინ შეადგენდა კოლხიდის, ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელმწიფოს ნაწილს“. ასე რომ აფხაზეთი, როგორც ხედავთ, ძველთაგან საქართველოს ნაწილი იყო, უფრო მეტიც, აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა, ზოგჯერ კი მთელ საქართველოსაც, როგორც მაგალითად ნიზამი განჯელის ცნობილ პოემაში **„ისკანდერ - ნამე“** (*XII* ს.), სადაც აფხაზეთის (საქართველო) დედაქალაქად ტფილისია დასახელებული. ასე რომ აფხაზეთი საქართველოს მეორე სახელწოდებაა, ისევე, როგორც **ა ლ ბ ი ო ნ ი** – ინგლისისა.

მაგრამ ახლანდელ დროში „აფხაზეთს“ არასწორად უწოდებენ ჩრდ. კავკასიის ჩერქეზების მონათესავე აფსუთა ადიღეურ ტომს, რომელიც *XVII* საუკუნიდან მოყოლებული იწყებს ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთი, მთიანი ნაწილის დაპყრობას, ახდენს ქართული მოსახლეობის ასიმილაციას და იქ მკვიდრდება (იხ. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. *VIII*).

აი, ვის უწოდებენ დღეს აფხაზებს, როგორც ეგვიპტის არაბებს არქმევენ ეგვიპტელებს და პალესტინის არაბებს – პალესტინელებს. ეს ყველაფერი ისტორიისა და ეთნოლოგიის ანბანური ჭეშმარიტებებია, რომლის ფალსიფიცირებასაც ახდენენ დღეს მოსკოველი და აფსუა ცრუმეცნიერები – საქართველოსაგან მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოწყვეტის მიზნით. და თქვენ დღეს იმავ ფალსიფიკატორებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიალისტებს აძლევთ ბანს, რომელთაც გუშინ სხვა დანაშაულებებში ამხელდით.

რაკი თქვენ დაიჯერეთ მითი, რომ ქართველები თითქოს აფხაზეთის დამპყრობელნი არიან, რომლებმაც „იგი საქართველოს შამადგენლობაში *XX* საუკუნეში შეიყვანეს“ – გირჩევთ ერთხელ, როდესაც დასასვენებლად სოხუმში იქნებით, პატარა ექსკურსია მოაწყოთ მდინარე ბესლეთის ხეობაში, სადაც თქვენ თამარის მიერ *XII* საუკუნეში აშენებულ ხიდს ნახავთ; მასზე არის ფილა, რომელსაც შემდეგი სიტყვები აწერია: „ხიდზე შემონახულია ქართული წარწერის ასომთავრული ასოები. თუმცაღა სიტყვა „ქართული“ წაშლილია და დატოვებულია სიტყვა „წარწერა“, საინტერესოა – ვინ წაშალა ეს სიტყვა.? რა თქმა უნდა, იმათ, ვინც გვარწმუნებს, რომ აფხაზეთი არასდროს არ ყოფილა საქართველო, და, რომ ქართველმა „იმპერიალისტებმა“ იგი მხოლოდ *XX* ს - ში ჩაიგდეს ხელში ... აი, როგორი ხალხი ახდენს თქვენზე გავლენას!

რაც შეეხება ე. წ. სამხრეთ ოსეთს, ისევ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია უნდა შემოგთავაზოთ: „თანამედროვე ოსთა წინაპრები – ალანები იყვნენ, რომლებიც თავდაპირველად ჩრდ. კავკასიაში ცხოვრობდნენ... *XIII* საუკუნეში მონღოლ-თათართა შემოსევისა და მათ მიერ ჩრდილო-კავკასიის მომთაბარეობისათვის ხელსაყრელი ტრამაღების დაპყრობის შედეგად, ოსები, *XIII* საუკუნის შუა წლებიდან ცენტრალური კავკასიის მთებისაკენ ინაცვლებენ (ე. ი. საქართველოში – ზ. გ.). ასე რომ, როგორც ხედავთ, არც ოსები და არც აფსუები (აფხაზები) ქართული მიწის აბორიგენებს არ წარმოადგენენ, ისინი მოსულები არიან, ისევე, როგორც არაბები ისტორიული ეგვიპტისა და ისრაელის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს ისტორიისა და გეოგრაფიის ანბანური ჭეშმარიტებებია. თქვენ არაერთხელ ჩაგიჭრივართ ატომურ ფიზიკაში პირადი საუბრების დროს, დღეს კი მე იძულებული ვარ ჩაგჭრათ ჩემი ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ამასთანავე, თქვენ არასოდეს გაგიკიცხავთ ისრაელი პალესტინელების წინააღმდეგ მისი მოქმედების გამო, არასოდეს გიწოდებიათ მისთვის „დამპყრობელი“ ან „იმპერიალისტი“ (რაც დიდი უსამართლობა იქნებოდა უთუოდ). მაშ რა დანაშაული მიუძღვის თქვენს წინაშე პატარა საქართველოს, ყველაზე დისკრიმინირებულ და შევიწრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებულ ერს სსრ კავშირში?

ამგვარად „აფხაზეთისა“ და „ოსეთის“ პრობლემები საქართველოსთვის ივიეა, რაც პალესტინის პრობლემა ისრაელისათვის.*) ის, ვინც მათ ამწვავებს და პროვოკაციებს აწყობს, ქართველი ხალხის მტერია და მიზნად ისახავს საქართველოს ეთნოკონფლიქტებში ჩათრევის გზით ქართული აროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალიზების ჰუჰყიან საქმეს. აი, რამ გამოიწვია *9* აპრილისა და *15* ივლისის ტრაგედიები. ნუთუ თქვენ, ჰუმანისტმა, თქვენი გაუფრთხილებელი განცხადებით ხელი უნდა შეუწყოთ გენოციდის აქტებს?

ახლა რაც შეეხება ავტონომიურ წარმონაქმნთა მოკავშირე რესპუბლიკებთან თანასწორუფლებიანობის თქვენეულ თეორიას. თქვენ, რომელმაც მთელი თქვენი სიცოცხლე და მოღვაწეობა სტალინიზმის გამოაშკარავებას შეალიეთ, ამ თეორიით მის მომხრეთ გვეკლინებით და აკანონებთ სტალინიზმის დანაშაულობებს ეროვნული პოლიტიკის სფეროში იმდენად, რამდენადაც ავტონომიურ წარმონაქმნთა უმრავლესობა – მათს ახლანდელ ფორმაში, წარმოადგენს სტალინიზმის დანაშაულს საბჭოთა ხალხების წინაშე, რომლებიც შეიქმნენ, რათა განხორციელდეს იმპერიული პრინციპი – „გათიშე და იბატონე“, რათა გამწვავდეს ერთაშორისი ურთიერთობა და შუღლი.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიალიზმი მის მიერ დაპყრობილთ ყოველთვის ყოფდა– „საიმედო“ და „არასაიმედო“, „მშვიდობიან“ და „მეამბოხე“ ხალხებად (იხ. პესტელის გეგმა ან დეკაბრისტების პროგრამა – „რუსსკაია პრავდა“ „რუსული სიმართლე“ – რუსულ ენაზე, ს. პეტერბურგი, *1906* წ. გვ. *48*). პირველნი მათ შორის ყოველთვის და ყველაფერში პრივილეგირებულები იყვნენ, ხოლო მეორენი – ისჯებოდნენ. ამ პრინციპით შეიქმნა, მაგალითად, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომია – ჩამოჭრილი ტერიტორიებით, მის საპირისპიროდ კი – პრივილეგირებული იქნა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც ეს ტერიტორიები თავისი მორჩილებისა და კეთილსაიმედოობისათვის „საჩუქრად“ მიიღო, რამაც აღნიშნულ ოლქში ერთაშორისი ურთიერთობების გამწვავება გამოიწვია, რაც დღემდე გრძელდება. ამავე პრინციპით და იგივე მიზნით შეიქმნა ყარაბაღისა და ნახიჩევანის ავტონომიები, და რაც მთავარია, აფხაზეთისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიები, სადაც ურჩი და ანტიბოლშევიკური

საქართველოს უძველესი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, ეს ხალხებს – ბოლშევიკებისათვის კავკასიის დაპყრობაში დახმარებისათვის ებოძათ. ასე განხორციელდა პესტელის გეგმა საბჭოთა პერიოდში. საქართველო დაისაჯა იმისათვის, რომ უარი თქვა ბოლშევიზმზე, უარყო და განდევნა თავისი საზღვრებიდან ბოლშევიკთა ბელადები სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები, რომლებსაც იგი სამშობლოს მოღალატეებად თვლიდა, რისთვისაც „დაისაჯა“ კიდეც. აი, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ავტონომიათა შექმნის მიზეზები, რომლებიც თქვენ უნდა გცოდნოდათ, აი, რატომ იყო პრივილეგირებული აფხაზი ნაციონალური უმცირესობა ამ ბელადების მიერ და მოსახლეობის *17%* რატომ განაგებს დანარჩენ *83%*-ს. ამავე მიზეზით იყვნენ შეყვანილნი აფხაზეთის რესპუბლიკაში გაგრისა და სოხუმის რაიონები, სადაც აფხაზები მთელი მოსახლეობის მხოლოდ რამდენიმე პროცენტია და გალის რაიონი, სადაც აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ და არც ახლა ცხოვრობენ.

ამგვარად, ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული თქვენი „აქტუალური“ ინტერვიუთი თქვენ, დეპუტატი, ამყამად ოფიციალური წარმომადგენელი უწინ თქვენს მიერ არაერთგზის გაკრიტიკებული საბჭოთა ხელისუფლებისა – წარმოგვიდექით სტალინიზმის დანაშაულებათა დამკანონებლად, თქვენ, მამხილებელი სტალინიზმის ეპოქის რეპრესიებისა – ცალკეულ პიროვნებებთან მიმართებაში, იწონებთ რეპრესიებს მთელი ხალხების მიმართ, რომელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ არის შექმნილი ეს უკანონო და უსამართლო ავტონომიები და თქვენ, დიდი სწავლული – ფიზიკოსი თავს ამყოფანენებთ, როგორც უაღრესად არაშორსმჭვრეტელი და არაკომპეტენტური პოლიტიკოსი, დამკანონებელი და გამმართველი ლენინურ-სტალინური მავნე ნაციონალური პოლიტიკისა სსრ კავშირში, და იბრძვით მისი შენარჩუნებისათვის ფართო რეფორმების ახლანდელ ეპოქაში.

ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა

(გადმობეჭდილი: „ქართული ფილმი“ №*35 (136), 6/9/89*)

*) **მცირე შენიშვნის სახით:** უდავო ცნობილი ფაქტია, რომ პალესტინის მიწაზე ებრაელები მოვიდნენ ქრისტეს წინ *XII* ს. და ის თანდათანობით დაიპყრეს *IX* საუკუნისათვის ქ. წ. იქ მცხოვრები

ტომები: ქანაანელები, ფილისტიმელები და მოაბიტები. ებრაელი ერის დიდებისა და დაცემის ისტორია ცნობილია. დამპყრობელთა მიერ ურჩი ებრაელები რამდენჯერმა იყვენ პალესტინიდან გადასახლებულნი. უკანასკნელად კი, *132 - 135* წლებში, ბარ კოშებას აჯანყების შემდეგ, რომაელთა მონობას ხიზნობა არჩიეს და ებრაელებმა საბოლოოდ დასტოვეს პალესტინის მიწა-წყალი. მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული პალესტინის მკვიდრი მოსახლეობა გაარაბებულია და ასეთად რჩება იგი ჩვენ საუკუნემდე..

XIX ს. ბოლოდან, სიონიზმის გავლენით, მსოფლიო ებრაელობა ნელნელა იწყებს პალესტინაში დაბრუნებას. ებრაელთა რეპატრიაცია პალესტინაში ძლიერდება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ *1919 - 20* წლებიდან ე. წ. „ბალფურის განცხადების“ შედეგად და *1948* წლისთვის, როცა ისრაელის სუვერენული სახელმწიფო გამოცხადდება, პალესტინაში ცხოვრობს *452.000* ებრაელი, ე. ი. მთელი მოსახლეობის მესამედი, დაახლოებით.

გეართიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით პალესტინაში უნდა შექმნილიყო ორი: ებრაელთა და არაბთა, სახელმწიფო.

ერთი სიტყვით, თითქმის ორი ათასი წლის შემდეგ დატოვებიდან, ებრაელები უბრუნდებიან პალესტინის სამშობლოს და იქ მათ დომინაციას ანხორციელებენ. ეს გახლავთ უნიკალური შემთხვევა საკაცობრიო ისტორიაში და მისი გაიგივება ქართულ-აფხაზურ ან ქართულ-ოსურ დავასთან მართებული არ არის.

ქართველებს უხსოვარი დროიდან ის ტერიტორია, რომელიც დღეს უკავიათ, არასოდეს არ დაუტოვებიათ. როცა ისინი თავისი თავის პატრონები იყვნენ აფხაზებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდენ: კოლხეთში, ეგრის-აფხაზეთში თუ საქართველოში, სადაც აფხაზეთი მრავალთა შორის ერთ-ერთი საერისთაო ყოფილა. როცა გარეშე მტერი მძლავრობდა, აფხაზეთის საერისთავო, ისევე როგორც მაგ., სამეგრელოსი, „დამოუკიდებლობას“ იძენდა, რომ შემდეგ უფრო გაადვილებულიყო აფხაზების ასიმილაცია და ქართველების დასუსტება. დღესაც ივიგე მეორდება. აფხაზეთის ასსრ საბჭოური ფორმაა აფხაზეთის საერისთავოსი. ჩვენი სახელმწიფოებრივობის მტრები დღესაც ცდილობენ, ეს კუთხე მთელ საქართველოს ჩამოაცილონ, იმ იმედით, რომ შემდეგ მას უფრო ადვილად მოინელებს რუსული სახელმწიფო მუცელი.

გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები

A) ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

სხვა რადიკალურ ოპოზიციურ ჯგუფებთან ერთად ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია წარმოადგენს შესამჩნევ ფენომენს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოქმედობს არაოფიციალურად და განიცდის დევნას ხელისუფალთა მხრიდან. ამ პარტიის სტრუქტურა შემდეგია:

ს. ე. დ. პარტიის მმართველი ორგანოა მთავარი კომიტეტი, რომელიც შედგება რვა წევრისაგან: **ირაკლი წერეთელი, ვაჟა მთავრიშვილი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ჯინჭარაძე, გიორგი ცხვედაძე, გიორგი ნიშნიანიძე** და **მურმან ბარათაშვილი.**

მთავარ კომიტეტთან ერთად პარტიის მუშობას განაგებს საბჭო, რომელიც შედგება მთავარი კომიტეტის წევრებისა, პარტიის ინსტრუქტორებისა, რეგიონალური და პირველადი კომიტეტების წარმომადგენლებისა, დიპლომატიური კორპუსისა, პრეს ცენტრისა და საინფორმაციო განყოფილების წარმომადგენლებისაგან. საბჭოში 25 კაცია და ის იკრიბება სამ დღეში ერთხელ.

ს. ე. დ. პ. უმაღლესი მმართველი ორგანოა ეროვნული კონგრესი, რომელიც იკრიბება ყოველ სამ თვეში ერთხელ და განსაზღვრავს პარტიის სტრატეგიას. პარტია შედგება პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციებისაგან, რომელთაც ენიჭებათ ფართო ავტონომია. პარტიაში დაწესებულია ნამდვილი და თავისუფალი წევრობის სტატუსი. პარტია ორგანიზაციულ კავშირშია წმ. ილია მართლის საზოგადოებასთან და შედის პარიტეტულ პოლიტიკურ ალიანსში „ეროვნული ხსნის კავშირში“, რომელიც შედგება „ეროვნული დამოუკიდებლობის“ პარტიის, „ეროვნულ–დემოკრატიული“ პარტიის, „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოებისა და „ეროვნული სამართლიანობის“ კავშირისაგან.

ე. დ. პ. ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „**თავისუფლება**“, რომელიც გამოდის ყოველთვიურად. მისი დევიზია: „ერი, რომელიც იბრძვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას".

ამ გაზეთის მერვე, მაისის ნომრის სარედაქციო სტატიაში ასეთი პოლიტიკური ანალიზია მოცემული:

„უცნაურად აღინიშნება *26* მაისი *1989* წელს. ცხრა აპრილის გენოციდმა არამც თუ ვერ დააშინა გმირი ქართველი ერი, არამედ საბრძოლო სულისკვეთებით აღავსო და ქუჩებში გამოიყვანა. დილადანვე ათასობით შვინდისფერი დროშა აფრიალდა. კომუნისტებმა უფრო მოქნილ პოლიტიკას მიმართეს და პირდაპირ აღარ დაუპირდაპირდნენ თავისუფლებამოწყურებულ ქართველ ერს, თვითონ დაიწყეს *26* მაისის პროპაგანდა, აღარც არავის იჭერენ და ისე ლაპარაკობენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, თითქოს დამოუკიდებლობას რუსეთის საოკუპაციო ჯარები და მარიონეტი ადგილობრივი კომუნისტური მთავრობა კი არა, არამედ რაღაც სხვა ძალა უშლიდეს ხელს, ძალა, რომელსაც კომუნისტები მაღე ქართველ პატრიოტებთან ერთად მხარდამხარ უნდა შეებრძოლონ.

ოპოზიცია დაბნეულია, რაც გამოიწვია ერთმა დიდმა უხერხულობამ. მოგეხსენებათ, კეთილდღეობას და კომუნისტურ ჯილდოებს შეჩვეული ქართ. საბჭ. ინტელიგენცია თავიდანვე ვერ დადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის გვერდით, მაგრამ ცხრა აპრილის გენოციდის შემდეგ მათ აღარც ხელისუფლებასთან თანადგომა და ოპოზიციასთან დაპირისპირება შეეძლოთ. მათ ხმა აიმაღლეს ცხრა აპრილის ტრაგედიის მიმართ, თუმცა განიხილავენ ამას, როგორც სსრკ კონსტიტუციის დარღვევას და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც დააყენეს, ოღონდ აქაც ოპოზიციასთან შედარებით უფრო ლოიალური პოზიცია დაიკავეს. მათ გავლენა მოიპოვეს ხალხის საკმაო დიდ მასაზე და ამგვარად შეიქმნა რაღაც შუალედური სხეული ხელისუფლებასა და შეურიგებელ ოპოზიციას შორის, რაც **სახალხო ფრონტის სახელით** გამოდის.

ამ ფრონტში არ შევიდა არცერთი ოპოზიციური ორგანიზაცია, მაგრამ საკითხი გაცილებით უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს საქმეში ჩაუხედავ კაცს. სახალხო ფრონტის სახით კომუნისტებმა შეიქმნეს მოხერხებული ბუფერი შეურიგებელ ოპოზიციასთან, ისეთი ბუფერი, რომლის განადგურების გარეშე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გოჯითაც ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარ წაიწევს წინ.

ამ ბუფერის მეშვეობით კრემლმა ჯერჯერობით შეიტყაპუნა 9 აპრილის გენოციდი და საერთაშორისო სარბიელზე გატანილია ამ მოვლენათა ფაქტობრივად სწორი, მაგრამ პოლიტიკურად დამღუპველი შეფასება, რის შედეგადაც საერთაშორისო სამართალი აღბათ არსებითად ვეღარ ჩაერევა.

საქართ. დამოუკიდებლობისათვის „ბრძოლის“ კონსტიტუციური გზა, რასაც სახალხო ფრონტი ადგა, არამარტო სრულიად უპერსპექტივოა, არამედ ქმნის საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ხალხის მიერ ღეგალიზების საშიშროებას.

26 მაისი ჰკარგავს ეროვნულ - განმათავისუფლებელი თარიღის მნიშვნელობას. კომუნისტები აღარ უარყოფენ, რომ საქართველომ ამ დღეს მიიღო დამოუკიდებლობა და აღადგინა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ საქმე ისე მოაქვთ, თითქოს *1921* წელს არც დამოუკიდებლობა და არც სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს საქართველოს. *26* მაისის ზეიმს კი მხოლოდ მაშინ აქვს აზრი თუ ამ აქციას მიეცემა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა. სანამ არ აღდგება საქართველოს დამოუკიდებლობა, *26* მაისი უნდა იყოს საპროტესტო და არა საზეიმო თარიღი, ხოლო საქართ. დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა იმდენად არ უნდა გაუფასურდეს, რომ ის აფრიალონ **„პერესტროიკისათვის“**, ამისათვის სრულიად გამოდგება დროშა ნამგალით და უროთი.

საქართ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საკითხის განსაკუთრებული სიმწვავის გამო, დაურიდებლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას „სახალხო ფრონტის“ მიმართ. ვისაც გორბაჩოვის პოლიტიკის სამსახური სურს, არაფრად უღირს საქართველო და „პერესტროიკის“ აპოლოგია, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია შევიდეს სახალხო ფრონტში, მაგრამ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, მან გვერდი უნდა აუაროს ამ ფრონტს და შევიდეს პატრიოტულ ორგანიზაციებში.“

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიმართვა ქართველ ხალხისადმი, რომელიც დასათაურებულია: „ბ რ ძ ო ლ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა!“ და გამოქვეყნებულია შუა ივნისის გაზეთ „თავისუფლებაში“. აი, ამ დოკუმენტის ტექსტი:

„ბ რ ძ ო ლ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა!

თანამემამულენო! საქართ. არის ჩვენი ერთადერთი სამშობლო, სადაც ისტორიული სამართლიანობით და თანამედროვე ჰუმანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო საერთაშორისო კანონებით ჩვენ უფლება გვაქვს ... ძალის ჩაურევლად დავამყაროთ ჩვენთვის სასურველი პოლიტიკური სტატუსი. ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ჰელსინკის *1975* წლის ხელშეკრულების დასკვნითი აქტის მერვე თავის ძალით ეს უფლება ცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ და მათ შორის სსრკ - მაც.

თვითგამორკვევის უზენაესი უფლებით ქართველი ხალხი ისარგებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თავს ცნობს თავისუფლების მოსურნე ერად და უარს იტყვის იმ პოლიტიკურ სტატუსზე, რომელიც რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია ძალით *1921* წლის *25* თებერვალს და *1922* წლის *30* დეკემბერს, ერის მოღალატე კომუნისტური მთავრობის მეშვეობით, საერთაშორისო სამართლის ძალითაც დაუმკვიდრდა.

ფაშისტური გერმანიისაგან განსხვავებით, კომუნისტური რუსეთი დაპყრობილ ქვეყნებში თავის ძალაუფლებას აწესებს ძირითადად დაპყრობილი ერების მოღალატე ძალების მეშვეობით. ეს მექანიზმი უფრო ნაკლებად ჰქონდა განვითარებული ფაშისტურ გერმანიას, თუმცა ასეთი მას მაინც გააჩნდა. ყოველ დაპყრობილ ქვეყანაში იქმნებოდა პროფაშისტული ადგილობრივი რეჟიმები. მაგალითად საფრანგეთში მათ შექმნეს ვიშის კოლაბორაციონისტული მთავრობა, რომელიც მთელი თავგამოდებით ებრძოდა საფრანგეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. როგორც ჩანს, სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ყველა ერს ყავს მოღალატე. ფაშისტური გერმანია ასეთი ძალებით სარგებლობდა თუ ასეთი შემთხვევა კი მიეცემოდა, კომუნისტური რუსეთი კი მთელ თავის სტრატეგიას ასეთ მოღალატეებზე აგებს და მისი ყურადღება დიდადაა გამახვილებული, რათა დაპყრობილ ერებში გამოზარდოს ასეთი ფენები.

რუსები ერთი დღეც ვერ გაჩერდებოდნენ ავღანეთში, მათ იქ დასაყრდენად რომ არ ჰყავდეთ ნაჯიბულას რეჟიმი. აქვე უნდა გავიხსენოთ ამის საწინააღმდეგო მაგალითი *1926* წელში. ამანულა ხანს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა საკუთარ ხალხთან და ინგლისელებთანაც. მას აუჯანყდნენ ავღანელი გლეხები და ბოლშევიკებმა შესაძლებლად მიიჩნიეს ამ პროცესების თავის სასარგებლოდ გამოყენება. წითელი არმია შეიჭრა ავღანეთში და სისხლში ახშობდა ავღანელ გლეხთა აჯანყებას. დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ინგლისელებთან დაპირისპირებული ამანულა ხანი ორიენტაციას აიღებდა რუსეთზე და თვით ავღანეთს წითლები დაპატრონებოდნენ, მაგრამ

ხანი არ გამოხდა, ამ მოღალატურ როლზე უარი თქვა, რუსებმა ხუ-
რგი შეაქცია და ტახტზეც უარი სთქვა. წითელმა არმიამ ტაკი და-
იხია და ავღანეთის ანექსია ორმოცი წლით გადაიდო.

რუსეთის ჩექმა ფეხს ვერ იკიდებს იქ, სადაც არ მოიძებნება
ერის მოღალატე მნიშვნელოვანი ძალები, რომლებიც მზად არიან
ითანამშრომლონ მათთან. მათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და-
სტოვეს უკვე ოკუპირებული ავსტრია, თავიდანვე უარი თქვეს ფინ-
ეთზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელებმა სტალინს დაუ-
თმეს საოკუპაციოდ იაპონიის ნახევარი, მაგრამ სტალინმა შესანი-
შნავად იცოდა, რომ იაპონიაში შეუძლებელი იყო ფეხის მოკიდება
და მხოლოდ კურილიის კუნძულებს დასჯერდა. აღსანიშნავია ის გა-
რემოება, რომ ამ პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა
კომუნისტურ ან არაკომუნისტურ იდეოლოგიას, არამედ ეროვნულ
თვითშეგნებას. კომუნისტური იყო იუგოსლავია, ჩინეთი, ალბანეთი,
მაგრამ რუსებმა ვერც იქ მოიკიდეს ფეხი.

რა თქმა უნდა, არც საქართველო გახდებოდა რუსების საჯიჯგნი,
რომ არ ყოფილიყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ორახელა-
შვილი და სხვები. საქართველოში ვერც დღეს იბოგინებდა დამპყ-
რობელი, აქ მას რომ არ ეგულებოდეს ისეთი ძალები, რომლებსაც
შეუძლია დაეყრდნოს, ძალები, რომლებიც მზად არიან ითანამშრომ-
ლონ დამპყრობელთან.

საქართ. წელს დაიწყო ეროვნული დაუმორჩილებლობის ისტორიუ-
ლი ეტაპი. ქართველმა ერმა მთლიანად დაინახა და შეიგნო თუ ვი-
სთან ჰქონდა საქმე მთელი 70 წლის განმავლობაში. ყველა აღიარ-
ებს, რომ საქართველო დაპყრობილია მტრის მიერ და საჭიროა ერ-
ის განთავისუფლება. საქართველოს დამოუკიდებლობა მფრინავ ლო-
ზუნგად იქცა, მ ა გ რ ა მ თავისუფლება არ მოვა კონკრეტული სა-
ქმეების და ეროვნული დაუმორჩილებლობის გარეშე. უნდა შეწყდეს
ქართველთა ყოველგვარი თანამშრომლობა დამპყრობელთან. რუსეთს
საქართველოში უნდა მოესპოს ყოველგვარი დასაყრდენი და პირველ
რიგში ქართ. ერმა უარი უნდა სთქვას საბჭოთა ხელისუფლებასთან
თანამშრომლობაზე.

მოგეხსენებათ, წელს საქართ. ოპოზიციურმა პარტიებმა ბოიკოტი
გამოუცხადეს საბჭოთა არჩევნებს, მაგრამ ამ კამპანიას არ მისცე-
ემია ფართო გაქანება, უბრალოდ, პარტიების პირადმა შემადგენლო-
ბამ მონაწილეობა არ მიიღო ამ არჩევნებში, ხმა არ მიეცა ჩვენი
მხრიდან არცერთ დეპუტატს, რადგან ჩვენი ღრმა რწმენით არ არ-
სებობენ ცუდი და კარგი საბჭოთა დეპუტატები, ყველა ისინი ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის საყვარელი ადამიანების ჩათვლით იძულებულნი ხდებიან საბჭ. ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ და მას შემდეგ, რაც მკვეთრი ზღვარი გაიკვლო დამპყრობელსა და ეროვნულ ძალებს შორის, ეს დეპუტატები, უნდათ თუ არ უნდათ, ქართველი ერის და საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოდიან. გულუბრყვილოა მათი მცდელობა, თითქოს შეიძლება ეროვნული პრობლემების მოგვარება საბჭოებთან თანამშრომლობით. საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის სწორედ ამ საბჭოების გაუქმება.

დეპუტატებმა ყრილობაზე სამარცხვინო კრახი განიცადეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო, რადგან მტერთან ბრძოლაა საჭირო და არა რიტორობა ან თანამშრომლობა. განსაკუთრებით გულსატკენია ის გარემოება, რომ დეპუტატთა ერთ ნაწილს მართლა გულით სურს საქართ. დამოუკიდებლობა, მაგრამ ადგანან პოლიტიკურად მცდარ გზას და ალბათ კვლავაც დიდხანს შეალევენ თავის ენერგიას საბჭოებს, სანამ გორბაჩოვი არ გაიმეორებს ახალ 9 აპრილს და ჩვენი გულუბრყვილო ინტელიგენტები არ დარწმუნდებიან, რომ „პერესტროიკა“ საქართ. დამორჩილების ახალი ეტაპია.

ქართველი საბჭოთა ინტელიგენტისაგან, რა თქმა უნდა, დიდი გმირობაა ყრილობაზე გამოსვლა და საბჭოთა გენერლის გაკიცხვა, მაგრამ თუ ჩვენს დეპუტატებს განვიხილავთ არა უბრალო ქართველ ინტელიგენტებად, არამედ საქართ. ოფიციალურ პოლიტიკურ წარმომადგენლად, აშკარა ხდება მათი პოლიტიკური ღალატი. ქართველი ობივატელი შეიძლება უარყოფითად განეწყო ნიკოლსკის ან როდიონოვის მიმართ, შეიძლება მას ილუზიური სიმპათიები გაუჩნდეს უფრო კარგი დეპუტატების მიმართ, მაგრამ სუფთა პოლიტიკური შეფასება ამ მიმართებით თავისი რეალობით მეტად სასტიკი და დამაფიქრებელია. საქართ. სსრ-ს უკლებრივ ყველა დელეგატი ყრილობაზე ღალატობდა საქართველოს. ისინი ერთად თამაშობდნენ კარგ და ცუდ როლებს მტრის იმ თეატრში, რომელიც მოხერხებულად ფარავდა სსრკ-ს მთავრობის მიერ ცხრა აპრილს საქართ. მიმართ ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევას:

9 აპრილს დარღვეული იქნა 1975 წლის ჰელსინკის ხელშეკრულება, რადგან ამ ხელშეკრულების ძალით ქართველებს უფლება გვქონდა მოგვეთხოვა საქართ. ჩვენთვის სასურველი პოლიტიკური სტატუსის დაწესება. საბჭოთა მთავრობამ კი მიმართა ძალადობას და მაშინვე გამოსცა „უკაზები“, რასაც, რა თქმა უნდა, მარტო როდიონოვს, ნიკოლსკის ან პატიაშვილს ვერ დავაბრალებთ.

9 აპრილს საბჭოთა ჯარი იარაღით გაუსწორდა მშვიდობიან ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დემონსტრაციას და დახოცა ქართველი ხალხი. ეს გადაცილდა.

9 აპრილს გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ესეც საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო აქტია.

კრემლს ვერ დაეკისრება საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა *1975* წლის ჰელსინკის ხელშეკრულების დარღვევისათვის, რადგან *5* მილიონიან ქართველი ერის სახელით მოლაპარაკე საქართველოს სსრ ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლები არასოდეს არ წავლენ გორბაჩოვის კაბინეტის წინააღმდეგ. მათ შეიძლება გაკიცხონ რომელიმე გენერალი, მაგრამ კრინტსაც არ დასძრავენ საერთაშორისო სამართლის წინაშე და ქართველი ხალხის სახელით არ დაეკისრებენ პასუხისმგებლობას სსრკ-ს მთავრობას. მეტიც, ისინი თვითონ ხდებიან ამ მთავრობის შემადგენელი ნაწილი და ქართველ ხალხს დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგებით მოუგებენ გულს, დახარჯავენ უადგილო და საქმით არადრის მთქმელ „პატრიოტულ“ მგზნებარე სიტყვებს. ზოგი გულუბრყვილო გულწრფელობით, ზოგიც ვერაგობით აიტაცებენ „პერესტროიკის“ დროშას, აღესილნიჩბიანი, წითელი ჯარისკაცების მხარდამხარ დაუპირდაპირდებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართველ პატრიოტთა დიდ მასას წაიტაცებენ რუსეთისადმი უსტყვო სოციალისტური მორჩილებისაკენ.

9 აპრილის ტრაგედიას მოჰყვა ეროვნული ძალების დიდი გააქტიურება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ათასგვარ ხრიკებს მიმართა, რათა ოპოზიციური ძალები ბლოკადაში მოექცია და ხალხის ენერგია ნებისმიერ სხვა მიმართულებით მიემართა. ჯერ იყო და გამოცხადდა ეროვნული ღლვის ორმოცი დღე. ორმოცი დღე შეწყდა ოპოზიციური ორგანიზაციების აქტიურობა. სარბიელზე გამოჩნდა საეჭვო წარმოშობის „ცხრა აპრილის“ საზოგადოება, რომლისგანაც ყველა ოპოზიციურმა ორგანიზაციამ თავი შორს დაიჭირა. ამ საზოგადოებამ დაიწყო ხალხში ფულის შეგროვება დიდი რაოდენობით, მეორიალის და ეკლესიების მშენებლობის საბაბით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გამართლებული იქნებოდა თავისუფალ საქართველოში. მაგრამ მაშინ, როცა ეროვნული მოძრაობა ფინანსიურად სულს ღაფავს, როცა არ არის სახსრები, რათა რამენაირად დავუპირისპირდეთ საბჭოთა მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს და ხალხს ვერ ვაწვდით აუცილებელ პოლიტიკურ ინფორმაციას, რბილად რომ ვთქვათ, ამ აქციას აპოლიტიკური სახე ჰქონდა.

უკვე დამთავრდა ყრილობა. ცხრა აპრილის ტრაგედიას, არ შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღებოდა და არც მისცემია ჯეროვანი შეფასება საბჭოთა ხელისუფ-
ლების მხრიდან, მაგრამ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების
მოძრაობა ვერ შეჩერდება. *15* ივნისს უკვე დაგეგმილია *9* აპრილ-
ის შემდეგ პირველი პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მიმართულების მშვიდობიანი საპროტესტო აქცია. დაიწყო ხელმოწე-
რების კამპანია ქართველი ერის მიმართვაზე, რომელიც ფართოდ უნ-
და გაიშაღოს და მთელ მსოფლიოს უნდა ემცნოს ქართველი ხალხის
ნება. ჩვენ უნდა გადავლახოთ ყველა სიძნელე, ბოიკოტი უნდა გა-
მოუცხადოთ საქართველოში საბჭოთა არჩევნებს. რეალურად უნდა
დადგეს საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანის
საკითხი. საქართველოში უნდა გაუქმდეს საბჭოთა ხელისუფლება და
ქართველმა ერმა ბოლოს და ბოლოს უნდა მოიპოვოს ნანატრი თავი-
სუფლება. წინ დიდი ბრძოლა და დიდი ბატალიები გველის. რაც მთა-
ვარია, ქართველმა ერმა უკვე გაიღვიძა და ხმა აიმაღლა თავისი
ეროვნული პოლიტიკური ინტერესების დასაცავად. უკვე მოვიდა იმ-
ის დრო, რომ ყველა ქართველმა გადასინჯოს თავისი პოლიტიკური
მრწამსი. ეროვნული დაუმორჩილებლობა ისტორიულ ეტაპად იქცა.
შეურიგებელი ოპოზიცია ვერავითარ კომპრომისზე ვერ წავა დამპ-
ყრობელთან და არც იმათ მოერიდება, ვინც ასეთ კომპრომისებს
სთავაზობს ქართველ ხალხს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც დროულად ვერ შეაფასა
ქართველი ერის მისწრაფება თავისუფლებისაკენ და აქამდე გვერდ-
ზე იდგა ან ისევ ძველ რეჟიმს ემსახურებოდა, ჩვენგან სამუდამოდ
იქნება გარიყული. ყველა, ვინც დადგება ეროვნულ პოზიციებზე და
გულწრფელად შემოუერთდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრა-
ობას, ნდობით და პატივით იქნება მიღებული ოპოზიციურ ორგანი-
ზაციებში და კერძოდ, საქართ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარ-
ტიაში".

ასეთია ქართ. რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენლ-
ის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, პოზიცია. უნდა ითქვას,
რომ რადიკალური ოპოზიცია ყველაზე ნათლად იხილავს პოლიტიკურ
საკითხებს, განსხვავებით სახალხო ფრონტისა, რუსთაველის საზო-
გადოებისა და სხვა ზომიერად წოდებული ორგანიზაციებისა, რომ-
ლთა მოღვაწეობა თითქმის მხოლოდ არაპოლიტიკური ეროვნული სა-
კითხებითაა შემოფარგლული, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ,მათ
არ შემოაქვთ არავითარი კონსტრუქტიული წინადადება და უყოყმა-
ნოდ ღებულობენ მმართველობის გამზადებულ საბჭოურ ფორმებს.
მართლაც და, სწორედ პოლიტიკური თვისებისდა მიხედვით ხდება

დღეს ინტენსიური დიფერენციაცია ქართული საზოგადოებისა, ვინაიდან საქმე იმაშია, თუ რა პოლიტიკურ ნიადაგზე უნდა განხორციელდეს მისი ეროვნული ერთიანობა? რა პოლიტიკური დოქტრინის ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი, რასაც დღეს მხარს უჭერს თვით რესპუბლიკის კომპარტიაც კი: კომუნისტურის თუ საკუთარი საქართველოს პოლიტიკური მოდელის? სხვა სიტყვებით, როცა ლაპარაკია საქართველოს სუვერენიტეტზე, იგულისხმება თუ არა პოლიტიკური სუვერენიტეტიც. ანუ ქართველი ხალხის რეალური თვითგამორკვევის უფლება?

ახლა გთავაზობთ მიმართვის ტექსტს ქართველი ერის სახელით, რომელზედაც ზემოაღნიშნულ განცხადებაშია აღნიშნული:

„ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ა

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის *1975* წ. ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნით აქტზე ხელმომწერ სახელმწიფოთა მთავრობებს, გერთიანებული ერების ორგანიზაციის *1948* წ. გენოციდზე გაფრთხილების კონვენციის მიმდებ სახელმწიფოთა მთავრობებს, ქიმიური იარაღის აკრძალავი ჟენევის *1925* წ. ოქმის მიმდებ სახელმწიფოთა მთავრობებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის *1948* წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიმდებ სახელმწიფოთა მთავრობებს.

1921 წლის *25* თებერვალს საქ. დემოკრატიული რესპუბლიკა ანექსირებული იქნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ. ამის შედეგად ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოში დაამკვიდრა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც საქართველო, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, *1922* წლის *30* დეკემბრის ხელშეკრულებით, შეიყვანა სსრკ-ს შემადგენლობაში. ქართ. ხალხმა ამ ფაქტისადმი შეურიგებლობა გამოხატა ოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობითა და *1924* წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყებით, რომელიც სსრკ-ს მთავრობისა და საქართველოს მარიონეტული მთავრობის მიერ სისხლში იქნა ჩახშობილი.

1989 წლის *4* აპრილს საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით საქ. დედაქალაქ თბილისში დაწყებული საყოველთაო მშვიდობიანი გამოსვლებით ქართველმა ხალხმა კვლავ გამოხატა შეურიგებლობა დამპყრობლის მიერ ძალდატანებით დამყარებული რეჟიმისადმი, მოითხოვა *1921* წლის თებერვლის ანექსიის ფაქტის აღიარება და ამის საფუძველზე, საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოყვანით, საქართველოში საბჭოთა კომუნისტური აგრესიის აღკვეთა.

1989 წლის *9* აპრილის დილის *4* საათზე სსრკ-ს სპეციალური და საგანგებო დანიშნულების საჯარისო ნაწილებმა არნახული სისასტიკით დაარბიეს მშვიდობიანი მანიფესტანტები და მოშიმშილენი. დამსჯელმა ჯარმა გამოიყენა რეზინის ხელკეტები, ორპირნალესი სასანგრე ნიჩბები, ცეცხლმსროლელი და ქიმიური იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა ათობით, მძიმედ დაშავდა და დასახიჩრდა ასობით, მოიწამლა ათასობით ადამიანი. ამ ბარბაროსულმა აქტმა ვერ დათრგუნა ქართველი ერის ნება–საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობა ისტორიულ ეტაპად იქცა. თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე უ ლ ი ქართველი ერი თავს მიიჩნევს სუვერენულ ნაციად და კვლავ კატეგორიულად მოითხოვს *1921* წლის ანექსიის აღიარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც ნიშნავს:

1. საქართ. ტერიტორიიდან სსრკ-ს ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას.

2. საქართ. დაუყოვნებლივ გამოსვლას სსრკ-ს შემადგენლობიდან.

3. საქ. –ში საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევას და საქართველოს გამოცხადებას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ჩვენ, ქართველი ერი, ჩვენს ეროვნულ ნებას და მისწრაფებას ვაცხადებთ ოფიციალურად და ვადასტურებთ ხელმოწერებით.

ხელმოწერებით შევსებული მიმართვა უნდა დაუბრუნდეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას! "

(იხ. გაზეთი „თავისუფლება" №№ *8* და *9*)

თ ე ნ გ ი ზ გ უ დ ა ვ ა

*** *** ***

ი რ ა კ ლ ი შ ე ნ გ ე ლ ა ი ა

ირაკლი შენგელაიას ნაკლებად იცნობენ ემიგრაციაში მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის მდუღარე საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია ის. მას ჰყავს ბევრი მიმდევარი განსაკუთრებით ახალგაზრდობაში და მათი რიცხვი სულ თანდათან მატულობს. ამა წლის ივნისიდან ირაკლი შენგელაია ხელმძღვანელობს **საქართველოს სამართალ–რადიკალური პა-**

რტიისა და **საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატურ გაერთიანებას**, რომელმაც შეწყვიტა თანაშრომლობა **ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტთან**, რომელშიც მათ გარდა დაჯგუფებული იყვენ: **წმ. ილია მართალი–*IV* დასის** საზოგადოება, **ეროვნული დამოუკიდებლობის** პარტია, **ეროვნულ-დემოკრატიული** პარტია, **ჰელსინკის ჯგუფი.** ჩვენთვის უცნობია, ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს ჰყავს თუ არა თავმჯდომარე, მაგრამ მისი სახელით გამოდის და მოქმედებს ხოლმე **ზვიად გამსახურდია** და დაღუპვამდე გამოდიოდა **მერაბ კოსტავა.** მათთან ერთად მთავარი კომიტეტის საჩინო წევრები იყვენ: **ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი შენგელაია, ავთანდილ იმნაძე** და სხვ.

ივნისში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ ორკეტრირებულ ეთნოკრიზისთან დაკავშირებით, კრიზისი შექმნილა თვით მთავარ კომიტეტში და იქიდან გამოსულან უნიატური გაერთიანების გარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ნაწილი, რომელმაც დაირქვა „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (დემოკრატებისა)“ და რომლის მეთაურია **ვაჟა მთავრიშვილი.**

რაც შეეხება **ირ. შენგელაიას** წინამძღოლობით განხორციელებულ უნიატურ გაერთიანებას, უმჯობესია მივმართოთ მის ბეჭდვით ორგანოს: **ცნობის ფურცელი „უწყებანი“**, რომლის ა. წ. აგვისტოს ნომერი ასე იხსნება:

„ქ. თბილისი *29.VII. 1989.*

ვინაიდან ერთა თვითგამორკვევის უფლებით *1918* წლის *26* მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის სახელით გამოაცხადა თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო,

ვინაიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა *1921* წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად,

ვინაიდან ამ ანტისამართლებრივი ქმედებით რუსეთის ბოლშევიკურმა მმართველობამ დაარღვია *1920* წ. *7* მაისის ხელშეკრულება რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის,

ვინაიდან საქართ. დემოკ. რესპუბლიკის უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ – *1921* წ. *17* მარტს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, დამტკიცებული იმავე წლის *21* თებერვალს, გამოაცხადა დროებით შეჩერებულად,

ვინაიდან საქართ დემოკ. საფუძველზე არჩეულმა მთავრობამ კაპიტულიაციას ხელი არ მოაწერა და ამით გააგრძელა პარლამენტის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატი, როგორც ქართ. ერის ნების ერთადერთმა გამომხატველმა,

ვინაიდან საბჭოების არჩევნები საქართველოში, *1922* წ. დასაწყისში, ჩატარდა ფორმალურად, ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარების და რსდმპ (ბ) კავკასიის ბიუროს უხეში ჩარევით,

ვინაიდან *1921* წ. თებერვლიდან მოყოლებული არ შემწყდარა ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გენოციდი,

ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში თავისი არსებობის მანძილზე სრული გაკოტრება განიცადა ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, დემოგრაფიულ თუ ეკოლოგიურ სფეროში,

ვინაიდან ერთაშორისმა ურთიერთობებმა უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოში, რაც უშუალო შედეგია ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული საბჭოური პოლიტიკისა,

საქ. სამართალ–რადიკალური პარტია და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირი თავს მოვალედ თვლიან გამოაქვეყნონ შემდეგი

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

1. ყველა იმ მწვავე პრობლემის გადაჭრა, რომელიც დღეს დგას ქართველი ერის წინაშე, მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართ. აღიდგენს თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსს.

2. საქ. რესპუბლიკის პოლიტიკური მმართველობის ერთადერთ მისაღებ ფორმას უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიული წყობა.

3. ქარ. ერის ნების გამომხატველი უნდა გახდეს მრავალპარტიული პარლამენტი, არჩეული პირდაპირი და საყოველთაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებით.

4. საქ. უმაღლესი საბჭო, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ არსებული საკავშირო უზურპაციული ხელისუფლების პერიფერიულ დანამატს, ვერ ასრულებს და არც შეუძლია შეასრულოს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია.

5. საქ. უზენაესი საკანონმდებლო ფუნქცია უნდა დაეკისროს ეროვნულ სათათბიროს, არჩეულს დემოკრატიულ საწყისებზე ერთმანდატიანი საარჩევნო მხარეების მიერ.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირი, გამომდინარე ზემოთქმულიდან

აცხადებენ

1. ქართველმა ერმა უნდა დაითხოვოს საქ. უმაღლესი საბჭო იმ *440* დეპუტატის დეზავუირებით, ვინც დღეს ფიქტიური არჩევნების შედეგად ამ ე. წ. საკანონმდებლო ინსტაციაშია.

2. დეპუტატების გამოწვევა უნდა განხორციელდეს არა როგორც ინდივიდუალური პირებისა, არამედ როგორც არასამართლებრივი და არაკანონიერი გზით შექმნილი მმართველობის წევრებისა.

3. რეფერენდუმისა და პეტიციური წესით განხილულმა და მოწონებულმა მრავალპარტიულმა საარჩევნო სისტემამ საშუალება უნდა მისცეს ელექტორატს სამართლებრივი გზით აირჩიოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი.

4. საქ. მრავალპარტიულმა პარლამენტმა – ეროვნულმა სათათბირომ – უნდა გადაწყვიტოს მოსახლეობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები და ერთა თვითგამორკვევის საყოველთაო პრინციპით საშუალება მისცეს ქართველ ერს თავად განსაზღვროს თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სტატუსი, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების მიმართულებანი გარეშე ძალის ჩაურევლად.

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ს ს რ პ და ს ე ს კ

*

მცირე კომენტარი. ეს დოკუმენტი წარდგენილ იქნა საქ. ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის *29* ივნისის სხდომაზე. ეროვნული სათათბიროს საკითხთან ერთად თათბირზე განხილულ

იქნა ქვემო ქართლში შექმნილი ეთნოკრიზისული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობები. დებატების შემდგომ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის **ყველა წევრმა** შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება – მუშაობა გაგრძელებულიყო ორი მიმართულებით: დაწყებულიყო კამპანია ეროვნული სათათბიროს შესაქმნელად და განხორციელებულიყო ღონისძიებანი ეთნოკრიზისის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში ეს გადაწყვეტილება ეხებოდა გაფიცვების მოწყობას საქართ. სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის თბილისში. შეთანხმებით დედაქალაქში გაფიცვები არ უნდა გამოცხადებულიყო. ამის შესახებ ითქვა იმავე ღამეს, კინოს სახლის წინ გამართულ მიტინგზე. მეორე დღესვე, *30* ივნისს, შეთანხმების მიუხედავად, თბილისში გამოცხადდა გაფიცვა. ამ განცხადების შემდეგ საქ. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ოფიციალურად დასტოვა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი / *I.VII. 1989.* / საქ. სამართალ - რადიკალური პარტიის და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატურმა გაერთიანებამ კი გამოაქვეყნა შემდეგი

განცხადება

1989 წლის *9* აპრილის შემდგომ საქართველოში შეიქმნა რთული პოლიტიკური ვითარება, რაც განისაზღვრა რამდენიმე ფაქტორით: *1.* მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად ამაღლდა ქართველი ადამიანების ეროვნული შეგნება, ერის კონსოლიდაცია მოხდა მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტით. *2.* გარეგნულად მამულიშვილურ სამოსელში გაეხვია საქართველოს მმართველობა, რამაც ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის მერყეობა და მისი რეფორმისტულ-კომპრომისული განწყობილების გაძლიერება გამოიწვია. *3.* რეფორმისტულ-კომპრომისული ტენდეციები კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნის შემდგომ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოვლენების ობიექტურ ანალიზს და მოქმედების სწორი მიმართულების არჩევას. *4.* ოპოზიციური ძალების კოორდინებულ მოქმედებას შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩიხიდან გამოყვანა, რაც თავდაპირველად მოხერხდა კიდეც, როდესაც შეიქმნა საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტი.

5. ამჟამად საქართველოში შექმნილმა ეთნოკრიზისულმა სიტუაციამ ოპოზიციური ძალების ერთიანობა საფრთხის ქვეშ დააყენა, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ *1989* წლის *11* აპრილს

ქ. თბილისში საკომენდანტო საათის მოქმედების დროს ჩამოყალიბებულმა ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა სამედიცინო საააღო წესების პირობებში შესძლო მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება აიძულებს საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირს:

1. მცირე დროით შეწყვიტონ ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობა პარტიისა და კავშირის გარეთ, ხოლო იმ წევრებს, ვინც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შესთავაზონ პარტიისა და კავშირის დატოვება.

2. მიმართონ ყველა ოპოზიციურ ძალას თავისი გადაწყვეტილებით, რადგან ეს მიიჩნიათ თავისათვის ერთადერთ შესაძლებელ ნაბიჯად.

3. მიუხედავად პარტიისა და კავშირის გარეთ ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობის შეწყვეტისა, სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი ქართველი ერისთვის კრიტიკული მომენტის დადგომის შემთხვევაში ნებისმიერ დროს მიმართავენ აქტიურ ქმედებას.

ამასთან, საქ. სამართალ-რადიკალური პარტია და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირი საქ. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ოპოზიციურ გაერთიანებას მიაგებენ კეთილგანწყობილებას და პატივისცემას.

ქ. თბილისი *3.VII.1989* ს. სრ. პარტია
ს. ე. ს. კავშირი "

(...)

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების

ძ ე ბ ნ ი ს დ ე ბ ა

საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირი და საქ. სამართალ-რადიკალური პარტია წარმოადგენენ უნიატურ ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, სადაც საქ. სამართალ-რადიკალური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც უნიის პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავს. საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირი დემოკრატიულ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც უნიის სოციალურ-საზოგადოებრივ საქმიანობას წარმართავს.

უნიის მიზანია ერისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედება ქართველი ერის სუვერენიტეტის აღდგენისათვის სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ და

საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში, რაც გამოიხატება საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში.

(იხ. „უ წ ყ ე ბ ა ნ ი“ № *1 / 7 /*, აგვისტო, *1989* წელი)

„ლიტერატურული საქართველოს“ *(20.X. 1989.)* „**გზა ხსნისა...**“-ს რუბრიკაში ირაკლი შენგელაია შემდეგნაირად ახასიათებს მისი ორგანიზაციის ბრძოლის მთავარ პრინციპებს:

„*1*. საქართველოს სამართალ– რადიკალური პარტიისა და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების პლატფორმა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) ყველა ის მწვავე პრობლემა, რომელიც დღეს საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე დგას, გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო აღიდგენს სახელმწიფოებრიობას სრული სტატუსით, გახდება დამოუკიდებელი, დემოკრატიული, თავისუფალი რესპუბლიკა.

ბ) საქ. რესპუბლიკის დემოკრატიულობა უნდა განისაზღვროს მისი შინაგანი პოლიტიკური აგებულობით, სოციალური ინფრასტრუქტურით, პიროვნების სრული თავისუფლებით. საქართველო გვესახება სამხარეო ფედერალიზმის ქვეყნად – დღევანდელი ტერიტორიების მიხედვით ოცდაოთხ ისტორიულ მხარედ დაყოფილი. ჩვენი აზრით, რესპუბლიკას უნდა მართავდეს ორპალატიანი მრავალპარტიული ეროვნული სათათბირო. ზედა პალატა – დამფუძნებელი კრება,– აირჩევა მაჟორიტარული პრინციპებით. უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში – ეროვნულ სათათბიროში – ქართველი ერი და ის ხალხები, რომლებიც იცხოვრებენ რესპუბლიკაში, წარმოდგენილი იქნებიან ასორმოცდაათ–ასსამოცამდე დეპუტატით. სახელმწიფოს სათავეში უნდა იდგეს პრეზიდენტი, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით და მინისტრთა კაბინეტი, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შედგენილი.

გ) საქართველო ტრადიციული მართლმადიდებელი ქრისტიანობის ქვეყანაა. იგი ასეთად უნდა დარჩეს, სრული კონფესიური თავისუფლების აღიარებით სხვა სარწმუნოების აღმსარებელი ადამიანებისა თუ ეთნიკური ჯგუფებისათვის. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკლესიის საშინაო საქმეებში.

დ) სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა უნდა დაეფუძნოს თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რესპუბლიკაში დამკვიდრებული უნდა იყოს საკუთრების ორივე ფორმა: კერ-

ძო და სახელმწიფო. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ეკონომიკის საფუძველს კერძო საკუთრება უნდა წარმოადგენდეს. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ უბადრუკ მდგომარეობას კერძო საკუთრების წახალისება თუ იხსნის. წარმოების საშუალებები გადაეცემათ ცალკეულ პირებს, პირთა ჯგუფს, კოოპერაციულ გაერთიანებებს, სააქციო საზოგადოებებს, შრომით კოლექტივებს კერძო საკუთრებაში შესყიდვის გზით

2. საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინაშე დღეს ალტერნატივა დგას – დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პოლიტიკურად აქციოს, თუ გააგრძელოს ძველი, ნაცადი გზით სვლა. ქართული ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის თავის თავში ორ ასპექტს მოიცავს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, უნდა მოიცავდეს – პოლიტიკურს და ეკონომიკურს. ორივე ასპექტი ერთი მთლიანობაა – ვერ წარმომიდგენია, პოლიტიკურად დამოუკიდებელი თუ არ გავხდით, როგორ მივაღწევთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ასევე, თუ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის არ ვიბრძოლეთ, როგორ უნდა გავხდეთ პოლიტიკურად დამოუკიდებლები?!

რა იგულისხმება პოლიტიკურ ბრძოლაში? მრავალპარტიულობის მიღწევა! მის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობაზე მიღწევის ფიქრიც კი ზედმეტია. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება წარმოუდგენელია სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის მოგვარების გარეშე. ისტორიული მაგალითებით რომ არ დავიტვირთოთ, დღევანდელი დეკოლონიზაციის პრობლემაც ამგვარადვე წყდება. მაშასადამე, უნდა არსებობდეს დემოკრატიული მექანიზმი, რომლის ამოქმედებაც თავისუფლებას მოგვიტანს. დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს მრავალპარტიული სისტემა წარმოადგენს. ისე არავინ გაიგოს, თითქოს მრავალპარტიულობა პანacეას წარმოადგენს და როგორც კი იგი დაიშვება ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს ჩვენში თითქოს გარკვეული პლურალიზმი არსებობს, მაგრამ ეს რომ მხოლოდ აზრის პლურალიზმია და არა პოლიტიკური, ეს უდავოა! მაშასადამე, მოქმედების პლურალიზმი დაშვებული არ არის. დემოკრატიის დამკვიდრება კი ამ გზით შეუძლებელია. მრავალპარტიულობის განხორციელება იმის გარანტიას მოგვცემს, რომ მოხდება სახელმწიფოს სრული დეიდეოლოგიზაცია. თავისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნება არ შეიძლება პოლიტიზირებული იყოს, მაგ. ეროვნულ-ეკლესიურ ის ჭეშმარიტი თავისუფლება უნდა გააჩნდეს. ერთპარტიულ სახელმწიფოში ყველა პოლიტიზირებულია – სახელმწიფო სისტემის მომხრეც და ოპოზიციონერიც, ხოლო თავისუფლების ადგილი არსად არის. ამდენად მონოპარტიული სისტემის ყველა რანგის საბჭო, მიუხედავად აზრის შიგაპლიურალიზმისა, არ შეიძლება დემოკრატიის მომტანი იყოს. შეიძლება სხვისთვის ეს მოსაზრება მიუღებელი იყოს, მაგრამ ჩვენთვის იგი ძირითად პრინციპს წარმოადგენს. მისი მეშვეობით პასუხს ერთდროულად ორ კითხვას გავცემ: ჯერ ერთი, რატომ არ ვღებულობთ არჩევნებში მონაწილეობას, და მეორე – ჩვენი პრინციპით კატეგორიულად უარვყოფთ აზრს, თითქოს ეროვნული მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობად არ უნდა იქცეს. ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და ცდილობს დაამტკიცოს (?), რომ პოლიტიკური მოძრაობა ხელს უშლის ეროვნულს. შესაძლებელია, რომ პოლიტიკურმა მოძრაობამ (მაგ. ბოლშევიკურმა და საწყის ეტაპზე სოციალ-დემოკრატიულმა) ხელი შეუშალოს (აკი შეუშალა კიდეც) ეროვნული გზის განხორციელებას. მაგრამ ერის მოძრაობა თავისუფლებისაკენ თავისთავში თუკი მოიცავს პოლიტიკურ ბრძოლას, ასეთი გზა შეუძლებელია ერისათვის მიუღებელი იყოს. ჩემი აზრით, მიუღებელია ის რეფორმისტული გზა, რომელსაც მივყავართ არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისაკენ, არამედ ახალი ხელშეკრულების დადებით ფედერალიზმის პრინციპის განხორციელებისაკენ, ისევ კავშირის ჩარჩოებში. ...“

„ ... მთავარი კი ის არის, რომ თავისუფლებას განხორციელება ესაჭიროება, დამოუკიდებლობა უნდა დავამკვიდროთ რეალურ ცხოვრებაში. ამისათვის განსახორციელებელია:

ა) საქართველოს საკითხის აღდგენა სამართლებრივ უფლებებში. ამ თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ ახლახანს მიღებულ რეზოლუციას საქართველოს ანექსიის შესახებ.

ბ) მთავარი, ისტორიული უსამართლობა ერთი საკითხია, მაგრამ დღეს გვსურს თუ არა დამოუკიდებლობა –მეორე. ამდენად გადამწყვეტი დღევანდელი დღეა – ისწრაფვის თუ არა ქართველი ერი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ; აქედან გამომდინარე, მიუღებლად მიმაჩნია ახალი საკავშირო ხელშეკრულების (რომლისთვისაც ასე გულდაგულ გვამზადებენ) დადება ფედერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზმის და თუნდაც კონფედერალიზმის ჩარჩოებში.

5. სოციალ-ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია იმ გეგმით, რომელსაც გვთავაზობენ განსახილველად და „მოსაწონებლად". ვიდრე ქართველ ერს არ ექნება უფლება თავად გაანაწილოს ეროვნული შემოსავალი, ყოველგვარ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ახლად შეკოწიწებული „თეორიული" საფუძველი საკავშირო ეკონომიკური მოღიანობის განსამტკიცებლად სხვა არაფერია, თუ არა მოდიფიცირებული კოლონიალიზმი. საქართველოში საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური საკუთრების ნაწილი შეადგენს *89* პროცენტს. არა მგონია, ამ თვალსაზრისით ქართველი ერი უკეთეს დღეში იყოს, ვიდრე ნამიბიელი ხალხი. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები ჩვენსავე სამეურნეო კომპლექსს უნდა ეკუთვნოდეს. უნდა მოხდეს ეროვნული შემოსავლის საკუთარ სახლში დატოვება. რა გზით? თუნდაც საგაფიცვო მექანიზმის ამოქმედებით. ჩვენ თავად უნდა განვაგოთ საკუთარი ეკონომიკა. სოფლის მეურნეობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა და სათემო-საკომლო საკუთრების ფორმების აღდგენა თუ უშველის. ამასთან ისე, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება უნდა იქნეს დაშვებული. ეს რეფორმები ხომ არ მოასწავებს სოციალიზმის მონაპოვრებზე უარის თქმას?! მაპატიეთ და რომელი სოციალიზმის? რომელმაც გაალპარტახა სოფლის მეურნეობა, დაანგრია მრეწველობა, გააჩანაგა ბუნება, დაამახინჯა პიროვნება, ფიზიკურად გაანადგურა მილიონობით ადამიანი?! ამ მონაპოვარზე უარი უნდა ვთქვათ და რაც შეიძლება სწრაფად.

დასასრულს, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა იზოლაციას არ ნიშნავს. ცივილიზებულ ქვეყნებს შორის შეუძლებელია გამოცალკევებით არსებობა. დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები (თუნდაც ეკონომიკური) თავისუფლების შედეგია. ქართველ ერსაც თავისუფლება იმისათვის სურს, რომ ამ პროცესს შეუერთდეს, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი.

ჩვენი გზა თავისუფლებისაკენ მიდის."

ირაკლი შენგელაია

***

ა რ გ ი ნ დ ა დ ა ი ჯ ე რ ო !

ა. წ. *15* აგვისტოს შემატყობინეს, რომ *9* აპრილის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშრ-

ოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების ვოინიცკის და მთა-სურაძის მეთაურობით და მოსკოვიდან ჩამოსული სახელმწიფო უშიშ-როების კომიტეტის ასზე მეტი თანამშრომლის მონაწილეობით, მზა-დდება პროვოკაცია საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტე-ბის წინააღმდეგ. კერძოდ, მათ მისცეს მითითება თავიანთ მსტოვრე-ბს, მოსკოვში წაელოთ აგენტების მიერ საქართველოს საწარმოები-დან მოპარული დეტალებისაგან დაკომპლექტებული და საქართველოს სახ. უშიშროების კომიტეტში დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობი-ლობები. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მოსკოვის მეტროში ნაპოვნი ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც, როგო-რც გამოირკვა, არ ფეთქდება, მეტი დამაჯერებლობისათვის თბილის-ურ გაზეთებში იყო გახვეული. იმ საბაბით, თითქოს ეძებდნენ მათ დამამზადებლებს, დაიწყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტი-ვისტთა სატელეფონო საუბრების მასიურად მოსმენა. აგენტებს მიეცა-თ მითითება, საწარმოებში შეეგროვებიათ მილების ჩამონაჭრები, დამხშველები, დეტონატორები, ასაფეთქებელი ნივთიერება. ხოლო თა-ნამშრომლებმა ფარულად უნდა შეეკრიბონ ეროვნული მოძრაობის აქ-ტივისტთა თითის ანაბეჭდები. შემდეგ მასობრივად დამზადდება ასა-ფეთქებელი მოწყობილობები. მათი ნაწილი უნდა აფეთქდეს საქართვე-ლოს ტერიტორიაზე, ნაწილი მის ფარგლებს გარეთ. ასაფეთქებელ მო-წყობილობებზე იქნება აქტივისტთა თითის ანაბეჭდები. მათი რაოდე-ნობა უკვე ხუთი ათასს აღწევს.

პროვოკაციის ჩატარების დროდ დანიშნულია *1989* წლის სექტემ-ბერ-ოქტომბერი.

კომპეტენტური პირები ამტკიცებენ, რომ თითის ანაბეჭდის საგნი-დან საგანზე გადატანის ტექნიკა არსებობს.

ეს ცნობა, რომლის უტყუარობის შემოწმება მე არ შემიძლია, გან-ვაცხადე საქ. სახალხო ფრონტის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე *17* აგვისტოს და წინასაარჩევნო კრებებზე *18* და *19* აგვისტოს.

კრების მონაწილეთაგან გავიგე, რომ სახელმწიფო უშიშროების კო-მიტეტის წარმომადგენლები ნამდვილად დადიან საწარმოებში, ინტე-რესს იჩენენ მილებისადმი, რომ სახ. უშიშროების კომიტეტის მოსკო-ველი მაღალჩინოსანი თანამშრომლები ნამდვილად ცხოვრობენ სასტუ-მროში ჩიტაძის ქუჩაზე, მაგრამ ისინი თბილისში ჩამოვიდნენ *9* აპ-რილამდე, რათა ეხელმძღვანელათ *9* აპრილის ოპერაციისათვის.

თავს მოვალედ ვთვლი საზოგადოებას ვაუწყო ეს ცნობები იმ სახ-ით, როგორც ვიცი მე.

ნ ო დ ა რ ნ ა თ ა ძ ე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე. განცხადება მოთავსებულია კეთდა 23 აგვისტოს, რიგაში საქართველოს დელეგაციის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

(იხ. ჟურნალი „უ წ ყ ე ბ ა ნ“ №2/8/, სექტემბერი, 1989 წელი)

*** *** ***

ვ ი ქ ტ ო რ რ ც ხ ი ლ ა ძ ე დ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა კ ა ვ შ ი რ ი

ა. წ. 27 ოქტომბრის „ლიტერატურული საქართველო“ ისევ „გზა ხსნისა ...“ -ს რუბრიკით გვთავაზობს, ქართ. ქრისტიანთა კავშირის ლიდერის, ბ-ნ ვიქტორ რცხილაძის აზრებს, რომელსაც მცირედი შემოკლებით ქვემოთ ვთავაზობთ, ჩვენი მხრით, გუშაგის მკითხველებს. მანამ კი შეგახსენებთ, რომ ბ-ნი ვიქტორ რცხილაძე ზვიად გამსახურდიისა და მერაბ კოსტავას ძველი თანამებრძოლი, მაღალი ინტელექტისა და უტეხი ნებისყოფის საზოგადო მოღვაწეა, დღიდან ამ მოძრაობის ჩასახვისა საქართველოში, ის დაუღალავად იღწვის ადამიანისა და ერის საყოველთაო უფლებების დამცველთა მოწინავე რიგებში. ვ. რცხილაძე იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც 70 -ან წლებში ხმა აღიმაღლა მაჰმადიან მესხთა სამშობლოდან გადასახლების დასაგმობად და მათ უკან დასაბრუნებლად. ამ ხნის განმავლობაში მან იწვნია სუკის ორგანოთა მკაცრი სუსხი, რამაც იგი არამც თუ გასტეხა, არამედ ფოლადივით გამოაწრთო. ახლა იგი მოღვაწეობს წმინდა დავით აღმაშენებლის ქრისტიანულ ორდენში და ხელმძღვანელობს ამ საზოგადოების პერიოდულ კრებულს „ძელი ჰეშმარიტი“. რომელმაც, პერესტროიკის მიუხედავად, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენამდე ვერ მოაღწია. ვუსურვებთ გამარჯვებას ქრისტიანობისა და ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ.

ვ. **რცხილაძე**:

„სანამ თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე ვუპასუხებდე, ნება მიბოძეთ მივუსაძმირო ყველა ჰეშმარიტ მამულიშვილს ჩვენი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალების გამო.

ალბათ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებ რამდენიმე ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან. ჩემი აზრით, ყოველივე ეს მერაბისეულია ზედმიწევნით, ძალზე ზუსტად გვიხასიათებს მის პიროვნულ ძალას.

1978 წელი. აპრილის თვე. აღდგომის ღამე. სუკ -ის შინაგანი საპატიმრო. ვიწრო საკნებში სამარისებური სიჩუმეა. (ციხის რეჟიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევა იქ განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯება). და უცებ: „ქრისტე აღდგა!“ – ეს მერაბის ძახილი იყო. – „ჰეშმარიტად!“ ზედამხედველებმა უკვე ჩემს საკანსაც მოაშურეს. განსაცდელის ჟამს ნუგეშისცემა მერაბ კოსტავას მუდამ ახასიათებდა. როდესაც იგი პერმის პოლიტპატიმართა ბანაკში იმყოფებოდა, მოახერხა და გადასახლებაში მყოფს ნუგეშით, მზრუნველობით აღსავსე წერილი მომწერა. ძნელია ამის დავიწყება.

სამშობლოში დაბრუნებულს ვამცნე, ახალ ჟურნალს ვაარსებთ -მეთქი. ბაგშვივით გაიხარა. „ძელი ჰეშმარიტის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა მისი ვრცელი წერილი, რომლის მთავარი იდეა საქართველოს დაქსაქსული ეროვნული ძალების გაერთიანებაა. იგი წერდა: „თუ ამგვარი კონსოლიდაცია დღეს ვერ მოვახერხეთ, ამაოა ნებისმიერი მცდელობა ეროვნული აღორძინებისა ჩვენში, რაც უთუოდ დამარცხების მომასწავებელი იქნება ჩვენი კაცობის და სინდისის ევოლუციის გზაზე“. დაე, აწ მაინც აღსრულდეს ნება მისი!

ვიქტორ რცხილაძე

1. ქართველ ქრისტიანთა კავშირი წმ. დავით აღმაშენებელი, როგორც მისი სახელწოდება მიგვანიშნებს, რელიგიური ტიპის ორგანიზაციაა და მას რელიგიური ორდენის მსგავსი სტრუქტურა აქვს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენი კავშირი ხელმძღვანელობს და მოქმედებს ქრისტიანული მრწამსისა და იდეოლოგიიდან გამომდინარე. აქ, რასაკვირველია, აღიძვრის კითხვა, თუ რა განსხვავებულ თავისებურ როლს თამაშობს იგი ეკლესიასთან შედარებით. ამისათვის მცირეოდენი განმარტებაა საჭირო. საქმე ის არის, რომ, ჩვენს ირრელიგიურ საზოგადოებაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, რელიგია წარმოადგენს კერძო, პირადი განცდების საქმეს, რომელიც თავის თავში იკეტება და არას დაგიდევთ საკვეყნო თუ საზოგადო საქმიანობას. მაგრამ ეს შეხედულება არ არის სწორი. მართალია, რელიგია, კერ-

ძოდ ქრისტიანული რელიგია პირადი ხსნის იდეას ემსახურება, მაგრამ იგი ამით არ ამოიწურება. უკვე ის ფაქტი, რომ ეს რელიგიური განცდები მარტო ერთ პიროვნებას არ გააჩნია, არამედ, მას მრავალნი იზიარებენ, ქმნის გარკვეული საზოგადოების წარმოშობის პირობებს, რაც თავისთავად საფუძველს უქმნის ეკლესიის აღმოცენებას. თუნდაც ამ მხრივ რელიგია უკვე პირადი საქმე აღარაა, იგი საზოგადოებრივში გადადის. მაგრამ რელიგია, ქრისტიანული რელიგია, უფრო მეტს ითხოვს. იგი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მასში განცხადებულია აბსოლუტური ჭეშმარიტება. ხოლო ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს კერძო საქმე. ჭეშმარიტება ეცხადება მთელ სამყაროსა და მთელ კაცობრიობას, რომლებიც უნდა წარიმართონ მის მიერ. ამიტომ რელიგია ვერ შემოიფარგლება მხოლოდ სუბიექტურ-სულიერი განცდებით, რომელიც მისი სიკვდილის აღმნიშვნელი იქნებოდა. ეკლესია არასოდეს გადაიქცევა კულტურის ერთ-ერთ დარგად. თავისი ბუნებით ქრისტიანული რელიგია იმდენადვეა ინდივიდუალური, რამდენადაც სოციალური, მას ობიექტური ხასიათი აქვს და არა სუბიექტური. ამიტომ რელიგია კერძო საქმე კი არაა, არამედ სრულიად საყოველთაო, უნივერსალური, სოციალური და, თუ გნებავთ, კოსმიურიც. ქრისტიანული რელიგია, ამგვარად, მარტო პირად ხსნას კი არ ემსახურება, არამედ – საყოველთაოს. ამიტომ მორწმუნე არათუ უნდა ქადაგებდეს საქვეყნოდ თავის რწმენას, მას ეს ევალება კიდევაც. იგი არა მარტო პირადულ ცოდვებს უნდა აღუდგეს წინ, არამედ – საზოგადო ბოროტებასაც. აქედან გამომდინარე, მორწმუნე მნიშვნელოვან ფაქტორად (პოლიტიკურ) იქცევა, რადგან იგი ძალუმად ესაჩრდება პიროვნებას, წინ აღუდგება მისი უფლებების შელახვას, ეროვნულ ჩაგვრას თუ სხვა სოციალურ ბოროტებას, რაც ასე ფესვგადგმულია საბჭოთა იმპერიაში. მაგრამ დასამალი არ არის, რომ ეკლესიას სულ ბოლომდე აკრძალული ჰქონდა სახელმწიფოს რაიმე მანკის მხილება, ეროვნულ ჩაგვრაზე კრინტის დაძვრაც კი. და არა მარტო ეს, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საეკლესიო ჟურნალებში, რომელთა გამოცემა არც თუ დიდი ხანია, რაც დაიწყო, იკრძალებოდა ათეისტების წინააღმდეგ საპოლემიკო ხასიათის წერილების ბეჭდვა. დიალექტიკური მატერიალიზმის თვით ხსენებაც კი აკრძალული იყო, არათუ მისი კრიტიკა. და ეს მაშინ, როდესაც ტოტალურ ათეისტურ გარემოცვაში არ ერიდებოდნენ რელიგიურ სიწმინდეთა გაბაბრუებას და თვით შეურაცხყოფასაც კი.

ქართველ ქრისტიანთა კავშირის თითოეული წევრი რჩება რა ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიისა და ემორჩილებოდეს ქართველოს კათოლიკოს-პატრიაქს, ხოლო, თავის მხრივ, კავშირი შემავალი ქართველი კათოლიკენი – რომის ეკლესიას, მოწოდებულია ზემოხსენებული ვაკუუმი შეავსოს და არსებული ნაკლი აღმოფხვრას. ამ მიზნით კავშირი ავრცელებს თავის ბეჭდვით სიტყვას, ჟურნალს „**ძელი ჭეშმარიტი**", სადაც მეცნიერულად არგუმენტირებული თეისტური წერილებისა და შრომების გარდა იბეჭდება მძაფრი პოლიტიკური ხასიათის წერილები, რომელთა საბოლოო მოთხოვნა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაა. მაგრამ ამ დიადი მიზნის მიღწევამდე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძირითადი მუშაობა უნდა წარიმართოს **პიროვნების, ქართველის** სულისა და გონების სრულყოფისაკენ, რათა იგი განიმსჭვალოს ჭეშმარიტი რელიგიურობით, ჭეშმარიტი ქრისტიანობით (ერის საგრძნობმა ნაწილმა, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ხომ კარგახანია, რაც დაკარგა ღრმა რელიგიური განცდის უნარი ან რელიგიურობის მხოლოდ გარეგნული ატრიბუტებით დაკმაყოფილდა).

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როდესაც ადამიანი სულიერ ფასეულობათა უმაღლეს საფეხურზე ღმერთს აყენებს, მაშინ იგი თავისი სამშობლოს უკეთესი პატრიოტიცაა, უკეთესი მშობელიც, უკეთესი მეგობარი და ა. შ. ამიტომ ვცდილობთ, რომ ჩვენი მუშაობისას არ დავივიწყოთ ბავშვებიც და მივაწოდოთ მათ რელიგიური საბავშვო ლიტერატურა. ამავე დროს, ჩვენ გარკვეული კავშირი გვაქვს საზღვარგარეთის ზოგიერთ რელიგიურ ორგანიზაციასთან. ამას წინათ ესაქართველოს ტელევიზიამ უჩვენა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის წინააღმდეგ მიმართული სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი. ეს ფილმი დომინიკანელთა ორდენმა ჩვენი შუამდგომლობით გადასცა ქართველ სოციოლოგებს, რომელთაც ჩამოიტანეს კიდევაც იგი. როგორც ვხედავთ, ჩვენი მუშაობის სპეციფიკა და პრობლემები არ ითხოვს მიტინგების გამართვას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა განსაცდელის წინაშე დგას ერი, მიტინგს არ ჩავატარებთ. არამც თუ მიტინგის ჩატარება, მაშინ იარაღის ხელში აღებაც კი ყველა ჩვენთაგანის ვალი იქნება.

... *3.* ჩვენი პუბლიკაციების ნაწილი რუსულ ენაზე გამოდის, სადაც ვქადაგებთ ქრისტიანულ სიყვარულს, რაც ყველა ერისთვის მისაღებია. ზემოთ მე ერთი რუსი ფილოსოფოსი ვახსენე, ე. ი. მე ვღებულობ რუსული კულტურის მიღწევებს, მის სულიერ საგანძურს. მაგრამ ივივე რუსეთი, როდესაც ჩვენთან მოდის *8* მარტითა და *9* აპრილით, *1921* წლითა და „აფხაზური კოზირის" გათამაშებით, ცხადია, ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა პატიოსანი მამულიშვილი შეეწინააღმდეგება. ჩვენი საზოგადოება ცდილობს, საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენლებს გააცნოს საქართველოს კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნები და, ამავე დროს, დაარწმუნოს ისინი იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში მათ ეროვნულ ნიშნით დევნას არავინ დაუწყებს, რომ ისინი იქნებიან საქართველოს **სრულუფლებიანი** მოქალაქენი.

... რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი სამშობლოს აწმყო, მორწმუნეები მის მომავალს პესიმისტურად ვერ შეეხედავთ და საქართველოს მომავალზე ხელს ვერ ჩავიქნევთ. არ შეიძლება ყველაფრის რაციონალიზირება, მით უმეტეს ისტორიის მსვლელობისას. ჩვენ ირრაციონალურის ზღვითა ვართ გარშემორტყმულნი, ყველაფერი განგების ხელთაა. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!"

ვიქტორ რცხილაძე

*** *** ***

ა ნ თ ე ბ უ ლ ი ს ა ნ თ ლ ე ბ ი თ ხ ე ლ შ ი

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პოლიტიკური ცხოვრება დღეს და გადმოღლილ ამჟამად ჩვენს სამშობლოში. ზემოდ ნახსენებ პარტიებსა და გაერთიანებებს გარდა ჩვენთვის ცნობილი არიან: ა) საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია დემოკრატებისა (**სდპ/დ/**) რომელიც ს. ე. დამოუკიდებლობის პარტიის წიაღიდან გამოვიდა ა. წ. ივლისის პირველ რიცხვებიდან და რომლის სათავეშიც ვხედავთ ნიჭიერ და ენერგიულ ახალგაზრდას ბ-ნ **ვაჟა მთავრიშვილს.** ბ) საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ბ-ნ გიორგი ჭანტურიას თავმჯდომარეობით, რომელსაც საკმაოდ კარგად ვიცნობთ; გ) წმ. ილია მართლის საზოგადოება–*IV* დასი და ჰელსინკის ჯგუფი **ზვიად გამსახურდიას** და აწ განსვენებულ **მერაბ კოსტავას** ხელმძღვანელობით, დ) ილია ჭავჭავაძის საზოგადოება **თამარ ჩხეიძის, ზურაბ ჭავჭავაძის** და სხვათა წარმომადგენლობით, ე) საქ. ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა **ტარიელ ღვინიაშვილის** წარმომადგენლობით, ვ) *25* მაისს ა. წ. თბილისში დამთავრდა ყრილობა, რომელშაც გაფორმა საქ. სახალხო ფრონტის არსებობა, დაამტკიცა მისი პროგრამა და წესდება და აირჩია მმართველი ორგანო–**გამგეობა.** გამგეობა შედგება *33* წევრისაგან, საქართველოში კარგად ცნობილი მოღვაწეინტელიგენტისგან. მისი თავმჯდომარე, რომელიც წესდების მიხედვით ყოველ ექვს თვეში ირჩევა, გახლავთ დოქტორი **ნოდარ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათაძე, უმწიკვლო მამულიშვილის რეპუტაციის მქონე, და, ბოლოს, შოთა რუსთაველის საზოგადოება, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაარსდა, მღელვარე შინაგანი გარდაქმნების შედეგად მას განაგებს **აკაკი ბაქრაძე**, არა მარტო სამშობლოში, არამედ ჩვენს ემიგრაციაშიც დიდი პოპულიარობის მქონე კრიტიკოს-მორალისტი, რომელიც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, დღემდე ვერა და ვერ ახერხებს მისდამი რწმუნებული ორგანიზაციის პოლიტიკური და ეროვნული სახის ჩამოქნას.

ვიცით აგრეთვე, რომ ადგილი აქვს საქართველოში მემარცხენეთა და სხვა მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალი პროფესიული კავშირების დაარსებას, რაც უდავოდ მისასალმებელია, რადგანაც უმათოდ წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოება და მშრომელთა ინტერესების რეალურად დაცვა.

„გუშაგი“ შეეცდება, მის უაღრესად მცირე შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილი დაუთმოს ჩვენს სამშობლოში მისი ინტერესების დაცვას ყველა ორგანიზაციასა და პიროვნებას, რადგანაც ჩვენ ერთთავად ვაფასებთ იდეებსა და ადამიანებს, რომლებიც იდეებს ქმნიან ან მათ განხორციელებას ხელმძღვანელობენ.

ჯერჯერობით ყველა აღნიშნული პარტია-გაერთიანება არალეგალურია, რამდენადაც ხელისუფლება არ ცნობს მათ არსებობას. საბჭოთა იმპერიულ ხელისუფლებისათვის არსებობს ერთადერთი კომპარტია მთელი სსრკ-ს მასშტაბით, რომელსაც თვითვე განაგებს კრემლიდან. ახალი აღმოჩენა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკების კომპარტიები, მათ შორის საქართველოს კომპარტიაც, მხოლოდ სიტყვით არსებობენ ხალხის თვალის ასახვევად. ხოლო, როცა საქმე საქმედ მიდგა ბალტიისპირეთში, გორბაჩოვის მთავრობამ უარი თქვა მათი კომპარტიების ავტონომიაზედაც კი.

ეს არაა მხოლოდ ქართული ფენომენი. ლენინური ბოლშევიზმის — კომუნისტური მოძრაობის გაკოტრება ჩვენს თვალწინ მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს. მისი ხრწნა თავიდან, რუსეთიდან, კრემლიდან დაიწყო და ვისაც შეუძლია გარბის, რომ მისგან არ მოიწამლოს.

საქართველოში დღეს შორს ვართ იმ დროისაგან, როცა კომპარტიის წევრობისათვის ქრთამს აძლევდენ. კომპარტია ქართველისთვის განსაკუთრებით აუტანელი გახდა სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ და ისეთი მასიური ხასიათი მიიღო, რომ მას კომკავშირიც კი აუმხედრდა.

ჩვენ შეგვეპასუხებიან, რომ მიუხედავად ჩვენი განცხადებისა, მა-

ინც არსებობს იგი და არამც თუ არსებობს, მისი სახელითაც ... იმართება ქვეყანა. მართალია, ის კვლავ ფეხზე დგას, მაგრამ ... ის გაშიშვლებულია, მხილებულია და როგორც კაცობრიობის მაცდუნებელი იდეოლოგია უეჭველი კვდომის პროცესშია.

ხშირად გვესმის სამშობლოდან გოდებასავით: მარტო ვართ მძვინვარე და ძლერი მტრის წინააღმდეგო. ასეთი აზრის გავრცელებას ალბათ მტერიც უწყობს ხელს და ეს არცაა გასაკვირი – მას ხომ ასე აძლევს ხელს, ქართველ კაცს რომ გამარჯვების რწმენა და იმედი დაეკარგოს და მარტოობისა და უძლურების გრძნობა დაეუფლოს. რაც მთავარია, ეს მართალი არ არის, ჩვენ ქართველები თავისუფლებისათვის ბრძოლაში მარტვა არ ვართ, პირიქით, საბედნიეროდ ჩვენდა, ჩვენ ბრძოლას ბევრი თანამებრძოლი ჰყავს და ამის დანახვა დღევანდელ მსოფლიოში ძნელი არაა.

ჩვენ ვიმყოფებით დიდ მსოფლიო გარდატეხის ხანაში. როცა ეს სტრიქონები იწერება:

ა) პოლონეთში დემოკრატიული გარდაქმნები უკვე ძალაშია შესული. დღეს იქ ხელისუფლების მთავარი ძალაა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად აკრძალული და დევნილი ეროვნული სოლიდარობის-მოძრაობა, ხოლო გუშინდელი ყოვლის განმგებელი პოლონეთის კომპარტია, რომელიც საჯაროდ დაპირებებს იძლევა, რომ ახლო მომავალში ის გადაკეთდება სოციალ-დემოკრატიულ პარტიად,–განმავლობით მეორე ხარისხოვანი მონაწილეა კოალიციური ხელისუფლებისა.

ბ) უნგრეთში ჩატარდა მისი კომპარტიის ყრილობა, რომელმაც დაგმო არა მარტო ამ პარტიის მთელი საყრდენი და მთავარი პრინციპები, არამედ თვით სახელწოდებაც კი და თავს იწოდებს „უნგრეთის სოციალისტურ პარტიად“. დიდ რეფორმების გზაზე შემდგარი უნგრეთის ახალი მთავრობა იძლევა სრული პოლიტიკური თავისუფლების გარანტიებს და მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნების მოწყობის დაპირებას მომავალი წლისთვის.

გ) ამჟამად განსაკურებულ ინტერესს იწვევს კომუნისტური გერმანიის უსისხლო რევოლუცია. კბილებამდე შეიარაღებულმა ურიცხვმა საბჭოთა დივიზიებმა, რომლებიც ამ ქვეყანაში არიან დაბანაკებულნი, ოდნავადაც ვერ დააბრკოლეს აზვირთებული ხალხის ლტოლვა თავისუფლებისაკენ (მრავალათასობით ზოგნი დასავლეთელ თანამოძმეებთან გამორბოდენ და ზოგნიც ადგილობრივ მართავდენ საჯარო მიტინგებსა და ქალაქებში მსვლელობებს, დემოკრატიზაციის მოთხოვნის ლოზუნგებით.). მისი საერთაშორისო პოლიტიკის კრახის წინაშე

ხომ არაა იუდას კოცნა?

მდკომი მ. კორბაჩოვი იძულებული იყო დაათანხმებულიყო ხელისუფლებიდან უცერემონიოდ მიებრძანებინათ გერმანიის კომუნიზმის სიმბოლო „ამხანაგი" ერიხ ჰონეკერი, რომელსაც ის სულ რაღაც ათიოდე დღის წინ საჯაროდ ტუჩებში კოცნიდა და გერმანიის კომუნისტური სახელმწიფოს შექმნის 40 წლისთავს ულოცავდა, რეჟიმის საფუძვლიან დემოკრატიზაციაზე და ბერლინის კედლის დანგრევაზე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორად ჰყოფდა არა მარტო ქალაქს, არამედ ორ მტრულ სამყაროსაც.

აღმოსავლეთი გერმანია მოწინავე ციხე-სიმაგრეა საბჭოთა კავშირის, ამიტომ, გასაგებია, რომ იქ მიმდინარე მოვლენები მთელი მსოფლიოს დიდ ყურადღებას იქცევენ. ჯერ კიდევ შეუძლებელია იმის თქმა, თუ საბოლოოდ როგორ სახეს მიიღებს კომუნისტური გერმანიის დემოკრატიული გარდასახვა. ბოლოს და ბოლოს დიდი გერმანელი ერის დემოკრატიულ წესწყობილებაში გაერთიანებამ აღარ უნდა დაადგიანოს.

კომუნისტური რეჟიმების კრიზისი გადამდები სენივით მოედო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მან უკვე იმსხვერპლა ბულგარეთის დიქტატორი და რიგში დგას ჩეხოსლოვაკია. ჯერ-ჯერობით იზოლირებული (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ჩანს რუმინეთი, სადაც მძვინვარებს პიროვნული კულტი ნიკოლა ჩეოჩესკუსი, რომელიც შიგნით უმყიფესია, ხოლო გარეთ, ყოველ შემთხვევაში, განსხვავებული კრემლისა. შესაძლებელია, რომ ეს ნაციონალური კომუნიზმი მას დროებით იფარავს იმ ქარიშხალისაგან, რომელიც აღძრულა რუსული ბოლშევიკური კომუნიზმის აღსაგეველად ზედაპირისაგან მიწისა.

ამ მცირე მიმოხილვიდანაც ცხადია, რომ ქართველები მარტვა არ ვართ და არც მტერია ისე უძლეველი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს. ჩვენ ჩვენი წილი ბრძოლა უნდა გადავიხადოთ, არც გული უნდა გავიტეხოთ უსასოობით და არც არხეინად უნდა წამოვწვეთ მხართეძოზედ იმ იმედით, რომ ჩვენს მაგივრად სხვები იბრძოლებენ და საბჭოთა იმპერია თავისთავად დაინგრევა, როგორც ისტორიისაგან განწირული.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართველმა ხალხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა ოკუპაციონერებს, ერთი წუთითაც ნუ დავივიწყებთ, რომ პატარა საქართველო **1921 - 24** წლებში სხვადასხვა საშუალებებით უწყვეტად იბრძოდა მისგან თავის დასახსნელად და ის ბრძოლა დააგვირგვინა **1924** წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებით. მერეც, მიუხედავად მასიურ რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომში გაღებული უზარმაზარი მსხვერპლისა, ქართველი ხალხი თავისუფლების საკაცობრიო ბრძოლის ავანგარდში იყო **1956** წლის მარტშიც, **1978** წლის **14** აპრილსაც და წელსაც **9** აპრილს.

შვიდი თვე გვაშორებს ამ დიდ ეროვნულ თარიღს–**9** აპრილს, რომელსაც თავისუფალი ქართველი ხალხის ისტორია მუდამ სათუთად უნაპირო მამულიშვილობის მაგალითად შემოინახავს. იგი განსაკუთრებით ამჟამად უნდა გვედგას თვალწინ, როცა გარდამწყვეტი ბრძოლის წინ ვიმყოფებით.

მარტო საბჭოთა პერიოდში სამი დიდი ეროვნული თავდადების თარიღი გვაქვს. ისინი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან მოქმედებითაც და შედეგითაც. **1924** წლის **28 - 29** აგვისტოს ქართველმა ხალხმა ხმალი იშიშვლა მოძალადეთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. გამარჯვებულმა მტერმა ბრალიან და უბრალო ქართველთა სისხლის ტბები დააყენა, რამაც შეაძრწუნა ჩვენი ხალხი, გამარჯვების რწმენა დროებით წარეკვეთა და ვინც უცხოეთში გაქცევით თავს ვერ უშველა, შერიგების ნიღბით მტერს მინებდა. განსხვავებული იყო **1956** წლის **9** მარტი. მამულის დახსნის წმინდა საქმე მაშინდელმა ახალგაზრდა თაობამ ყალბი ლოზუნგებითა და ჭეშმარიტი ღმერთის მაგივრად კერპზე თაყვანისცემით დაიწყო. ქართული სისხლი კვლავ უხვად დაიღვარა. თავშეწირვა გულწრფელი და ალალი იყო მაგრამ იგი თითქოს მამაზეციერმა არ შეიწირა.

სულ სხვა არის წლევანდელი **9** აპრილი. უკვე რამდენიმე დღეა, თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ, ათასობით ქართველობა იკრიბება მშვიდობიანად. იარაღის მაგივრად ანთებული სანთლები უკავიათ ხელში, შიმშილობენ, ლოცულობენ, ჭეშმარიტ ღმერთს ადიდებენ და შეჰღაღადებენ სამშობლოს დახსნა-განთავისუფლებას...

გამთენიისას ამ უწყინარ ღამის მთეველთა მასას თავს დაესხენ ჯარნკებით, ხელკეტებით, ფარებით, ორლესული სასანგრე ნიჩბებით, ტყვიის მფრქვეველებით, მახრჩობელი გაზის ბომბებით აღჭურვილი, ჭოფაკებივით ადამიანებზე სანადიროდ დაგეშილი, ხელისუფალთაგან მოსეული დამსჯელი ჯარები.

ღამის მთეველი, მოშიმშილე და ანთებულ სანთლებით ხელში მფრ-ცველი მანიფესტანტები უარს ამბობენ დაშლაზე. კათალიკოსი, გაფრ-თხილების შემდეგ, უკანასკნელად ლოცავს კრებას. შეუცნობელის წი-ნაშე წუთიერი მდუმარება ეუფლება გარემოს... და უეცრად იწყება უწყალო ბარბაროსული ნადირობა უმწეო ადამიანებზე, რომლებიც სხვას არას შესთხოვდენ ხელისუფალთაცა და ღმერთსაც, თვინიერ სამშობლოს ხსნისა და თავისუფლებისა. უმანკო მამულიშვილთა ჯო-ჯოხეთური ხოცვა-ულტა ზარავს თბილისს აღიონს... და ამ დროს ხდება სასწაული. იქნებ სანთელ-საკმეველმა გზა იპოვნა ღვთის გუ-ლისკენ, იქნებ უმანკო მსხვერპლთა გულებიდან ამოხეთქილმა ვაე-ბამ შესძრა და ჩვენზე გამწყრალი გული მოუბრუნა ჩვენს უფალს იესო ქრისტეს...

როს ქვეყანას მზის ნათელი მოეფინება და სრულად გამოჩნდება სურათი ბოროტმოქმედებისა, ქართველ ერს, როგორც ერთ კაცს, რისხვა შეიპყრობს, რისხვა არა უძლურებისა, არამედ მტერთან ერ-თხელ და საბოლოოდ ანგარიშის გასწორებისა. იგი რისხვა პირველ რიგში ამსხვრევს შიშის ბორკილებს და ერთ მუშტად ჰკრავს მთ-ელს ქართველობას. ერთობა თავისთავად შობს დიდ იმედს, იმედს მტერზე ძლევისას, იმედს გამარჯვებისას.

ამ ჯოჯოხეთურ გამთენიას ნაშობ ერთობას დიდი გაფრთხილება უნდა, რამეთუ იგია ერთადერთი წამალი ჩვენი ეროვნული გადა-რჩენისა. ეს ჭეშმარიტება ყველასგანაა აღიარებული, მაგრამ საკი-თხავია: ერთობა რისთვის, რის საკეთებლად და რის არსაკეთებლად?

ერთობას ხომ ჩვენი მტრებიც და მათი მსახური ვაი ქართველე-ბიც გვიქადაგებდენ და გვიქადაგებენ დღესაც, რომ ერთად შეგვი-ყვანონ ეროვნული გადაგვარების „აღთქმულ ქვეყანაში"?

ცხრა აპრილს შობილი ეროვნული ერთობა ჩვენ გვესახება ქართ-ველი ერის თვითხელმწიფების დაუყოვნებელი აღდგენის სამსახურში, იმ ტერიტორიულ საზღვრებში, რომელშიც საქართველოს დემოკრატი-ული რესპუბლიკა იყო ცნობილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ, 1920 წლის 7 მაისს

ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვა **დაუყოვნებლივს**, რადგანაც სწორედ ცხრა აპრილის შემდგომმა მოვლენებმა ჩვენს სამშობლოში ცხადყვეს, რომ თითოეულ დღეს საბჭოთა ხელისუფლების ხელქვეითობაში, ქარ-თველი ერისთვის მოაქვს მძიმე აუნაზღაურებელი ვნება.

ჩვენ ღრმად გვწამს და გვჯერა: ერი, რომლის შვილებს ძალუძთ ანთებული სანთლებით ხელში შეეგებონ სამშობლოსათვის სიკვდილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება თავისუფალი. მაგრამ... ეს „მაგრამ“ მაინც ღრღნის ჩვენს გულს: ცხრა აპრილის ჯოჯოხეთურ ღამეში შობილი ერთობა, რომელიც საქმით არ ხორციელდება? და თუ ხორციელდება, მაშინ - რა ეცნობა, აქვს, რომ ერთსა და იმავე დროს არსებობს ილია ჭავჭავაძის და ილია მართალის საზოგადოებები, ეროვნული დამოუკიდებლობის და ეროვნული დამოუკიდებლობის /დემოკრატიისა/ პარტიები, ან სახალხო ფრონტი და რუსთაველის საზოგადოება, რომელთა შესახებაც სამართლიანად განაცხადა კინორეჟისორმა რეზო ესაძემ:

„დაბეჯითებით ვცდილობ, გავარკვიო რა განსხვავებაა რუსთაველის საზოგადოებასა და სახალხო ფრონტს შორის და ვერ გამიგია. მით უმეტეს, რომ, როგორც ლაპარაკია, რუსთაველის საზოგადოება იმავე ამოცანებს ისახავს, რასაც სახალხო ფრონტი, ისეთივე სტრუქტურული წყობისაა, ისეთივე პოლიტიკური ოპოზიციური საზოგადოებაა. რა განსხვავებაა მათ შორის, რა საჭიროა მათი ერთდროული არსებობა“. (იხ. „ქართ. ფოლმი“ 6 სექტემბერი 1989 წ.)

ამ წლის მეორე დიდი ეროვნული ტრაღედიაა მერაბ კოსტავას დაღუპვა. არ დარჩენილა საქართველოში პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც განსვენებული ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის სინდისად, ეროვნულ გმირად არ ეღიარებიოს. მერაბ კოსტავა ხომ ზეციად გამსახურდიასთან ერთად ილია მართალის საზოგადოებასა და ეროვნული ხსნის გაერთიანებაში იღვწოდა. ლოღიკა მოითხოვდა, რომ ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში სულ მეტი და მეტი პოლიტიკური ძალები გაერთიანებულიყვენ იმ ეროვნულ ბანაკიდან, რომლებიც პატივს სცემენ მერაბ კოსტავას პიროვნებას. როგორ ამ ჩვენს ნომერში გამოქვეყნებულ მასალებიდან ირკვევა, მოხდა პირიქით: ჯერ კიდევ მერაბის სიცოცხლეში ეროვნული ხსნის გაერთიანება დაუტოვებიათ: ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთ ნაწილს, სამართალ-რადიკალურ პარტიასა და ეროვნული სამართლიანობის კავშირს.

ამრიგად, საქმეში არამც თუ ერთობა არ ხორციელდება, არამედ ადგილი აქვს თანდათანობით დანაწევრებას. იკარგება ძვირფასი დრო და ენერგია უმნიშვნელო ნიუანსების გარკვევა-დაზუსტებაში, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ერის საბრძოლო განწყობილებაზე.

ჩვენ გადაჭრით მომხრე ვართ დემოკრატიის და, მაშ, მრავალპარტიულობისაც, ოღონდ, როგორც დიდი ილიაც გვასწავლიდა, სანამ ბრძოლაა განთავისუფლებისათვის, მანამ ყველა ეროვნულმა ძალებმა ერთი ეროვნული დროშის ირგვლივ უნდა დავირაზმთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ფაქტი, რომ საქართველოს ჰყავს ბევრი თვალსაჩინო მოაზროვნე და მომქმედი შვილი, მეტყველებს მის დიდ შესაძლებლობებზე იმ პირობით, რომ ისინი ერთმანეთს ხელს კი არ შეუშლიან, არამედ ხელიხელჩაკიდებული ერთი მიმართულებით გასწევენ ტვირთს.

დემოკრატიული სისტემა იმიტომაა საუკეთესო, რომ მრავალ ავტორიტეტს შეუძლია ერთად იღვაწოს ისე, რომ არცერთმა სხვების ავტორიტეტი არ შელახოს, სიცოცხლეს ან თავისუფლებას არ დაემუქროს. ამით განსხვავდება იგი ყველა ტოტალიტარიზმისაგან და კეთილი ლენინური ცენტრალიზმისაგან, რომელიც ვერ იტანს ინდივიდუალობებს, ნიჭისა და ნებისაგან ცლის პარტიასაცა და იმ საზოგადოებასაც, რომელზედაც ის ბატონობს.

გიორგი წერეთელი

*** *** ***

ლევან ხაინდრავას ნარკვევზე

ჟურნალ **„ლიტერნატურნაია გრუზია“**-ს პირველ ნომერში გამოქვეყნდა ბ-ნ ლევან ხაინდრავას ვრცელი ნარკვევი სათაურით: **„ნეკოტორიე მისლი პო პოვოდუ სოვრემენნოი „სტალინიანი“** (ზოგიერთი აზრები თანამედროვე „სტალინიანის“ შესახებ), რომელშიც საბჭოთა ბელადების ნამოღვაწართა ობიექტიურ შეფასებათა გვერდით დაშვებულია ბევრი ისტორიული შეცდომა, უზუსტობა და ლოგიკური წინააღმდეგობა.

პატივცემულ ლევან ხაინდრავას უდაო დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მან, საბჭოთა პერიოდიკაში, ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაბედა ლენინის მხილება ტერორისტული რეჟიმის დაფუძნებაში და სცადა საბჭოთა ისტორიის სტალინისტური პერიოდის წარმოსახვა, ლენინის მიერ ამოძრავებული დანაშაულებრივი მანქანის ერთ-ერთი მესაჭის ნამოქმედარად. ავტორისა და მისი ნაწარმოების გამომქვეყნებელ ჟურნალის გამბედაობას შეიძლება ნოვატორულიც კი ვუწოდოთ იმისათვის, რომ აღიარეს, საკონცეპტაციო ბანაკების, „ტროიკების“ და ტერმინი „ხალხის მტრები“ სტალინს კი არ შეუქმნია პირველად, როგორც ამას ამ ბოლო დროს უთავბოლოდ აღნიშნავს საბჭოთა პრესა და საერთოდ პროპაგანდა, არამედ თვით საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ნენინმა, რომელმაც გააჩაღა მსოფლიო ისტორიაში მანამდე არნახული ტერორი. ამ ტერორის გამგრძელებლად მისი გარდაცვალების შემდეგ მოგვევლინა სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია ბ-ნ ლ. ხაინდრავას გულისტკივილი იმის გამო, რომ დღეს საბჭოთა პრესაში მიმდინარე სტალინის და ბერიას კრიტიკა, ბევრ შემთხვევაში, მათი ქართველობითაა გამოწვეული, და ისინი რომ რუსები ყოფილიყვნენ, კრიტიკა ალბათ სხვა ხასიათის იქნებოდა. გახშირდა იმ ავტორების მასალების გამოქვეყნება, რომლებიც უკიდურესად შოვინისტური ორგანიზაციის „პ ა მ ი ა ტ ი ს“ იდეებს იზიარებენ. მათში ისეთი სურათი იხატება, თითქოს რუსეთის იმპერია თვით რუსებმა კი არ „დაიკიცეს“, არამედ ქართველებმა, ებრაელებმა, სომხებმა და სხვა ერის შვილებმა.

როგორც ვთქვით, ბ-ნ ლ. ხაინდრავას ნარკვევს ამ უდაო ღირსებათა გვერდით სირიოზული ხარვეზებიც ახასიათებს, რადგან ის ფაქტობრივად ცდილობს სტალინის ნამოქმედარის დაცვას, თუმცა, როგორც ის აონიშნავს თავში და ბოლოში, ეს არ შეადგენს მის მიზანს.

აფასებს რა ნეგატიურად სტალინურ მორალს, მის უზნეო ბარბაროსულ მოქმედებებს, ავტორი არ მალავს თავის აღტაცებას ამ ადამიანის თოსნობით მიღწეული პრაქტიკული წარმატებებით, ინდუსტრიალიზაცია იქნება ეს, თუ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება. იგი არ უფიქრდება ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ შიშის ატმოსფეროს შექმნის, მონური ფსიქოლოგიისა და შრომის დაფუძნების, მილიონობით ადამიანის უფლებათა გათელვის, ყველაზე უმნიშვნელო ოპოზიციისა და სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გაჟლეტის გზით მიღწეული წარმატებები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დადებითად იქნას მიჩნეული. ამით ბ-ნი ხაინდრავა უკიდურეს წინააღმდეგობებში ვარდება თავისი მსჯელობისას. იგი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ეყრდნობა სტალინის დროინდელი პროპაგანდისტული მანქანის მიერ შექმნილ წარმატებათა მომხიბლავ სურათს, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა სინამდვილესთან.

და განა საკადრისია დღევანდელ პირობებში ავტორის ცდა, რომ მოუხსნას სტალინს დანაშაული „ნეპისათვის“ ბოლოს მოღებაში, კოლექტივიზაციაში, ინდუსტრიალიზეციასა თუ ჰიტლერულ გერმანიასთან ყოვლად უზნეო საიდუმლო ხელშეკრულების დადებაში მხოლოდ და მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ყველაფერი ეს თითქოს ნაკარნახევი იყო იმ დროს არსებული საერთაშორისო თუ შინაური მდგომარეობით (?) ნუთუ იმ მდგომარეობიდან გამოსავალი მოითხოვდა ათობით მილიონი ადამიანის გასრესას, საკუთარი მოსახლეობის გარდა აღმოსავლეთ ევროპის ათობით მილიონი სხვა ერების დამონებასაც?! ამას ჰქვია მიღწევები და თანაც გენიალური?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთად სტალინის ნაღვაწის წარმოსახვისას ავტორი ჯერ ერთ, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოღვაწეთა მიერ სხვადასვა მოსაზრეებით ნათქვამი სიტყვების გამოყენებას, საწინააღმდეგო მოსაზრებების სრული უგულებელყოფის პირობებში.

ჰიტლერთან დანაშაულებრივი პაქტის დადებას, სტალინის მიერ გადადგმულ თითქმის გენიალურ სტრატეგიულ ნაბიჯად მიიჩნევს ავტორი ნარკვევისა იმ დროს, როცა მსოფლიოსთვის უკვე ნათელია, რომ თუ არა ეს ავბედითი პაქტი, შეიძლება სულ სხვანაირად წარმართულიყო მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ევროპის ბედი და თავიდან ყოფილიყო აცილებული მსოფლიოს ისტორიაში არნახული სისხლისღვრა, საშინელი ნგრევა და ათეული მილიონი ადამიანის ენითაუწერელი ტანჯვა-ვაება, ვაი-ვაგლახი.

სტალინმა ჰიტლერთან იმიტომ კი არ დასდო საიდუმლო პაქტი, რომ თავიდან აეცილებინა მასთან ომი, არამედ იმიტომ, რომ ერთიანი დარტყმა მიეყენებინა მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებისათვის და ჰიტლერთან ერთად მოეხდინა მსოფლიოს განაწილება. ამისთვის მას მონუარ ბანაკად ქცეული და ოპოზიციის გარეშე დარჩენილი საკუთარი იმპერია უკვე მზად მიაჩნდა. განა მარტვა ჰიტლერი იყო მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებელი? იგი ხომ სტალინთან ერთად შეესია *1939* წელს პოლონეთს, მოსპო მისი დამოუკიდებლობა და სტალინთან ერთად გაიყო მისი ტერიტორია. განა მაშინ არ მოუსპო სტალინმა დამოუკიდებლობა ლიტვას, ესტონეთსა და ლატვიას და არ მიიტაცა სხვათა მიწები? ეს რა, ომობანას თამაში იყო თუ ნამდვილი მტაცებლური აგრესია სუვერენ ხალხების წინააღმდეგ, ჰიტლერთან დადებული საიდუმლო პაქტის საფუძველზე? და განა საბჭოთა ტერიტორიის გაგლით არ დებულობდა ჰიტლერი სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულს შორეული აღმოსავლეთიდან იმისთვის, რომ წარმატებით ეწარმოებია საფრანგეთთან და ინგლისთან უკვე დაწყებული ომი?

მაგრამ განგებამ ინება, რომ ორი მხეცი ერთმანეთში ვერ მორიგებულიყო. უფრო სწორად, ჰიტლერმა აღარ მიიჩნია საჭიროდ მოკავშირეობის გაგრძელება ქვეყანასთან, რომლის სისუსტესა და სიდამპლეში ჰიტლერი სწორედ მასთან დადებული პაქტის პრაქტიკული განხორციელებისას დარწმუნდა, მაგალითად, როცა პატარა ფინეთმა ისეთი დარტყმები აგემა ამ უზარმაზარ იმპერიის არმიას. თანაც ჰიტლერის დაზვერვამ კარგად შეისწავლა საბჭოთა ქვეყანაში არსებული განწყობილება, ჯარის სისუსტე, მისი მეთაურების თითქმის

სრული გაწყვეტის შემდეგ და ამდენად მან გადაწყვიტა, ჯერ ბოლო მოეღო ამ დიდი იმპერიისათვის. იგი ახლოს იყო ამ მიზნისთან, რა-დგან ასეული ათასობით საბჭ. ჯარისკაცი ნებაყოფლობით ჩაბარდა გერმანელებს ტყვეობაში, რათა ამით თავი ეხსნათ მონობიდან, ჰიტ-ლერის ჯარები სულ მალე მიადგა მოსკოვს.

მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში სტალინს მშვეელად სწორედ ის ქვეყნები მოევლინა, რომელთა მოსპობასაც იგი ნატრულობდა. რომ არა ინგლის-ამერიკის დახმარება სტალინური რეჟიმი დაემხო-ბოდა. რატომ არაფერს ამბობს პატივცემული ღევან ხაინდრავა ამ დახმარების მნიშვნელობაზე და ომში გამარჯვების მხოლოდ სტალი-ნურ საბჭ. კავშირს მიაწერს? განა დასავლეთი გულხელდაკრეფილი იჯდა? ვინ გაასწორა მიწასთან გერმანიის ქალაქები? ვინ აქცია ნა-ცარ-ტუტად მისი ინდუსტრია„ საბჭოთა კავშირის თუ ინგლის-ამერი-კის ავიაციამ? ზღვებსა და ოკეანეებში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამ-ხრეთ ევროპაში, და ბოლოს, მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, და-სავლეთ ევროპაში დასავლეთი რა? კატა-თაგვობიანას თამაშით იყო გართული?! რომ არა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო თუ სასურსა-თო დახმარება, რამდენ ხანს გაუძლებდა საბჭოთა ჯარი გერმანელთა ძლევამოსილ ჯარს ვოლგასა და კავკასიონზე მიბჯენილს?

მოკავშირე ქვეყნების როლის უგულებელყოფა ნაციზმზე გამარჯვე-ბაში სამარცხვინო ლაქად გასდევს მთელს საბჭოთა ომის შემდგომ ისტორიოგრაფიას და ამ ხაზს, სამწუხაროდ, ღევან ხაინდრავაც აგრძელებს, ცდილობს რა სტალინის წარმოსახვას, არა როგორც მე-ორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ გამჩაღებლად„ არამედ ნაციზმზე გა-მარჯვების ერთ-ერთ ყველაზე გენიალურ მჭედელად.

ჩემი საუბარი მსურს დავასრულო თვით ღ. ხაინდრავას შემდეგი სიტყვებით: "ხალხი კი არ არსებობს სახელმწიფოსთვის, არამედ სა-ხელმწიფო – ხალხისთვის, და მხოლოდ იმ ხელისუფლებას აქვს არსე-ბობის უფლება, რომელიც თავის ფუნქციებს ხალხისათვის, ხალხის მეშვეობითა და ხალხის კონტროლით ასრულებს. მოკლედ, ძალაუფლე-ბა ხალხის მსახურია". დიდებული სიტყვებია! მაგრამ შეიძლება მა-თი მიყენება ღენინური, სტალინური თუ ღღევანდელი საბჭოთა რე-ჟიმისათვის? ამ სიტყვების მოყვანის შემდეგ სტალინის ნამოქმედარ-ის დაცვა, ზოგჯერ კი გენიალურის წოდება? არამც და არამც, არავითარ შემთხვევაში! არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქო-ნდეს იმ ბანდის, მაფიის წევრად ყოფნას, რომელიც ხალხის დაუკი-თხავად, ძალით მოექცა ხელისუფლების სათავეში, დაამონა ხალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე მოახვია მას მაფიების, დანაშაულებრივი ბანდებისა და ... ... ხასიათებელი ცხოვრების წესი და ეცადა ამ წესის გავრცელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამას ნარკვევის ავტორიც ხედავს და აღნიშნავს, რომ „რევოლუციას არ მოჰყოლია სასურველი შედეგი“, ამ შემთხვევაშიც უწოდებს რა შეცდომით სახელმწიფო გადატრიალებას რევოლუციას.

გაოგნებას იწვევს ასევე „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოქვეყნებული ღ. ხაინდრავას ნარკვევში მოყვანილი შემდეგი კითხვა: „მართებდათ თუ არა ჩვენს მამებსა და პაპებს რევოლუციის მოხდენა?“ თუ იგი ამ შემთხვევაში ქართველებს გულისხმობს, მაშინ ესეც უაზრობაა, რადგანაც ჩვენს მამებს და პაპებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ *1917* წლის ოქტომბრის გადატრიალებასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი ერიდან განთესილ სტალინს, ორჯონიკიძეს, მახარაძესა და სხვა ულირს შვილებს. მათ, მიიღეს რა მონაწილეობა რუსეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული მთავრობის დამხობაში, თავის თავზე აიღეს საქ. დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობის ინიციატივა და *1921* წლის თებერვალში უსირცხვილოდ შემოუძღვენ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში უცხო ჯარს. სტალინის ნამოღვაწარის შეფასებისადმი მხოლოდ ამ კუთხიდან მიდგომაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მას გენიალური კი არა უგუნური ეწოდოს, რადგან მხოლოდ უგუნურმა, სინდის-ნამუსიდან გარეცხილმა გარეწარმა შეიძლება მიიღოს აქტიური მონაწილეობა საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსპობაში, მშობლიური ხალხის დამონებაში, კოლონიურ ერად მის ქცევაში, ძმათა სისხლისღვრაში. კმარა, დროა თავი დავაღწიოთ სტალინური ფენომენის ტყვეობას!

ზურაბ ნარსია

*** *** ***

აგვისტოს ეროვნული აჯანყების სამოცდახუთი წლისთავი

წელსაც ტრადიციულად სოფელ ღევღლში აღინიშნა *1924* წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების *65* -ე წლისთავი. კვირას, *17* სექტემბერს *11* საათზე დაიწყო სოფლის ქართველ ძმათა სასაფლაოზე თავმოყრა პარიზისა და მის შემოგარენში მცხოვრები ქართველების. ემიგრაციის რიცხვმა მართლაც რომ საგრძნობლად იკლო, მაგრამ სამაგიეროდ მხარს გვიმშვენებდა სამშობლოდან სტუმრად ჩამოსული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი თანამემამულე. ჩვენი ეკლესიის მღვდელ ჯერ ... ბაში იყო, ამიტომ სამწუხაროდ, წირვა ეკლესიაში და საფლავებზე მოძღვრის ლოცვა-კურთხევა ვერ შედგა. სამაგიეროდ „დიდების“ გალობით და ლიტანიით ჩამოურეთ ყველა ქართველის საფლავს.

შემდეგ ჩვენი სათვისტომოს გამგეობამ დამსწრენი მიიწვია სადილზე. მაგიდები გაშლილი იყო ქართული მამულის სალონში და მის წინ მდებარე ეზოში. საბედნიეროდ ამიდი მზიანი და ზომიერად თბილი იყო. პურობა-სიტყვა-სადღეგრძელოები გვიანობამდე გაგრძელდა. სათვისტომოს თავმჯდომარემ შესავალი სიტყვის შემდეგ, რიგ-რიგობით სიტყვა მისცა: ლევან ფაღავას, თამაზ ნასყიდაშვილს, გიორგი წერეთელს, სიმონ ბლიაძეს, აკადემიკოსს აკაკი სურგულაძეს და მის ვაჟს ბ-ნ პაატა სურგულაძეს, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს. სიტყვები ყველა ორიგინალური, შინაარსიანი და დიდი განცდით იყვენ თქმული. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყვნენ ჭიათურის გამოსვლების მონაწილეების ბ-ნ ლევან ფაღავას და ბ-ნ სიმონ ბლიაძის მოგონებები.

*

აკაკი სურგულაძე

ს ი ტ ყ ვ ა

ლევილში პარიზელ ქართველთა შეკრებაზე *1924* წლის აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონარად

ბატონო თავმჯდომარეე, ქალბატონებო და ბატონებო! მე და ჩემს კოლეგებს თბილისიდან წილად გვხვდა დიდი პატივი და ბედნიერება ვიყოთ მონაწილე პარიზელ ქართველთა ამ ტრადიციულ შეკრებისა, რომელიც ეძღვნება *1924* წლის აჯანყების *65* წლისთავსა და მაშინ დაღუპულთა ხსოვნას. ამ მოპატიჟებისთვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ამასთან ერთად გადმოგცემთ დედა-სამშობლოს მკვიდრთა დაძმურ სალამსა და კეთილ სურვილებს.

ამ ქვეყანაზე ყველა ადამიანი საკუთარი სიხარულით და მწუხარებით, საკუთარი ტკივილებითა და სიამით ცხოვრობს. მაგრამ საზოგადოება და მით უმეტეს ერი ვერ იარსებებდა, რომ კერძოსთან ერთად არ იყოს საერთო სიხარული თუ მწუხარება. და რამდენადაც ეს საერთო საყოველთაოა, იმდენად მაღალია ერის ინტელექტუალური დონე და დიდია მისი პოტენციალი.

პარიზში ყოფნის ამ თითქმის ერთი თვის მანძილზე ჩვენ, ბევრად ბისადაგვარად გავეცანით აქაურ ქართველ. ცხოვრების ხასიათს, მათ ტკივილებს და სიხარულს, მათს ყოველდღიურობას და შემოქმედებითს მემკვიდრეობას.

ჩვენი ყურადღება საგანგებოდ მიიქცია მტკიცედ დამკვიდრებულმა ტრადიციამ,– განსაკუთრებული მოწიწებით და ეროვნული შემართებით აღინიშნოს სამი თარიღი: –*1918* წლის *26* მაისი, *1921* წლის *25* თებერვალი და *1924* წლის აგვისტო. ამ თარიღთა აღნიშვნისას ყველა პარიზელი ქართველი საერთო სულისკვეთებით სუნთქავს, ერთი ფიქრითა და გრძნობითაა განმსჭვალული.

მართლაც, ბევრი საერთოა ამ თარიღთა შორის: *1918* წლის *26* მაისი ის დღეა, როცა ჩვენმა სამშობლომ აღიდგინა თავის სუვერენიტეტი და ამით გამარჯვებით დააგვირგვინა თავისი საუკუნეებრივი ბრძოლა მეფის რუსეთის მხრივ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა დაეცა *1921* წლის თებერვალში და „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ აბრის მიღმა ისევ აღმოვჩნდით ჩვენთვის უცხო ძალის ბატონობაში, რომელიც ადრინდელთან განსხვავებით მოხერხებულად იყო შენიღბული სოციალისტური ამალგამით.

ქართველი ხალხი თავიდანვე შეურიგებელი აღმოჩნდა *1921* წლის თებერვლის აქტისადმი. იგი კვლავ იწყებს გმირულ და შეუპოვარ ბრძოლას დემოკრატიზმისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლის ყველაზე მაღალი ფაზაა *1924* წლის აგვისტო, როცა საქართველოში განხორციელდა საყოველთაო სახალხო აჯანყება.

მართალია, ეს აჯანყება მარცხით დასრულდა და ასეც იყო მოსალოდნელი, მაგრამ იგი ისტორიას შემორჩა მონობისადმი ხალხის დაუმორჩილებლობის უმნიშვნელოვანეს თარიღად, ისევე, როგორც *1812* და *1832* წლებში *XIX* საუკუნეში.

ეს სამი თარიღია მთავარი ფუძე და ორიენტირი, რომელზედაც უნდა აიგოს უახლოესი პერიოდის საქართველოს ისტორია.

თქვენ, ძვირფასნო თანამემამულენო, თქვენს მძიმე ყოველდღიურობაში ჩვენთან შედარებით მაინც გქონდათ ერთი უპირატესობა:– შეგეძლოთ თავისუფლად, საჯაროდ აღგენიშნათ ყოველწლიურად *1918* წ. *26* მაისიც, *1921* წ. *25* თებერვალიც, *1924* წ. *29* აგვისტოც, ჩვენთან კი ამ თარიღებს ტაბუ ჰქონდათ დადებული. გამონაკლისი იყო მხოლოდ *1921* წლის *25* თებერვალი, მაგრამ იგი აღინიშნებოდა ჭეშმარიტი განცდისაგან საპირისპიროდ, როგორც დღე ე. წ. „თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფალი საქართველოს“ დაბადებისა.

მხოლოდ წელს, საყოველთაო დემოკრატიზმისა და სოციალიზმის შემობრუნების ვითარებაში, საქართველომ პირველად იზეიმა 1918 წლის 26 მაისი, პირველად თქვა სიმართლე 1921 წლის 25 თებერვლის შესახებ და პირველად დაიწერა შეუღამაზებელი, დადგენილი სტერეოტიპიდან თავდაღწეული, მართალი გამორკვევა 1924 წლის აჯანყებაზე.

ახლა უკვე ერთმანეთს უახლოვდება და ავსებს საქართველოს ისტორიკოსთა პროგრესული ჯგუფისა და თქვენი თვალსაზრისი ამ სამი თარიღის თაობაზე. პროგრესიული ჯგუფისამეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი სამწუხაროდ კვლავ ძველი დოგმების ტყვეობაშია და ან სდუმს, ან გზას უღობავს ახალ თვალსაზრისს ქართულ ისტორიოგრაფიაში. პირადათ მე მიმაჩნია, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი აქტი, რომ მის დამარცხებას და თანმხლებ უსაშინელეს რეპრესიებს არ გამოუწვევია სრული დათრგუნვა ეროვნული შემართებისა. ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლა გრძელდებოდა და მისი შემდგომი გამოვლინება იყო 1956 წლის საგაზაფხულო ახალგაზრდული სინდრომი და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამრიგად, 1921 წლიდან დღემდე საქართველოში სხვადასხვა ფორმით და დონით მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტისათვის. ეს ბრძოლა დღეისთვის კვლავ ავიდა უმაღლეს ფაზაში და იმედი გვაქვს იგი დაგვირგვინდება გამარჯვებით ისევე, როგორც ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს; რომ კვლავ აღსდგება დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო.

ვიყოთ ერთად ამ ბრძოლაში! მაგრამ ნუღარ გავიმეორებთ ადრინდელ შეცდომებს. ვიყოთ მკაცრი რეალისტები პოლიტიკაში და ჩვენი სამომავლო გეგმები შევუფარდოთ პირველ რიგში ჩვენს შესაძლებლობას და იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელიც ისტორიულად ყოველთვის რთული იყო ჩვენთვის და განსაკუთრებით რთულია დღევანდელ ვითარებაში. მთავარი მაინც ისაა, რომ ვიყოთ ერთსულოვანნი, ყოველგვარი პარტიული განცალკევებისა და ამბიციურობის გარეშე.

ნათელი ხსოვნა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყველა დაცემულს! სამარადისო დიდება და შარავანდედი ჩვენი სამშობლოს ყველა იმ ჭეშმარიტ შვილებს, რომლებმაც 1924 წლის აგვისტოში თავიანთი თავი მიიტანეს ეროვნული სუვერენიტეტის სამსხვერპლოზე!

აკაკი სურგულაძე

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

24-ს აგვისტო და დღევანდელობა

[შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლება]

პატივცემულნო სტუმარნო და ძვირფასნო თანამემამულენო! ჩვენ, საფრანგეთში გადმოხვეწილი ქართველები, ყოველწლიურად სასკოლო არდადეგების დამთავრების შემდეგ ვიკრიბებით აქ, საფრანგეთის ამ დალოცვილ სოფელ ლევიწში, ჩვენი ძვირფასი მიცვალებულების სასაფლაოზე და ამ პატარა ქართულ მამულში, რათა სიმბოლიურად გამოვხატოთ ჩვენი უსაზღვრო ერთგულება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, ცოცხლად შევინახოთ ხსოვნა *1924* წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებისა და პატივი მივაგოთ იმ დიდ უთანასწორო ბრძოლებში გმირულად დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.

26 მაისი, დღე საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მკვდრეთით აღდგომისა, *25* თებერვალი, დღე მისი ხელახალი დამხობისა, *29* აგვისტო, დღე გმირული ცდისა, ძალმომრეობით წართმეული ეროვნული უფლებების ძალითვე დასაბრუნებლად, ეს სამი თარიღია ჩვენს სამშობლოსთან სულიერი ზიარების მთავარი მომენტები.

წლევანდლამდე ამ ჩვენს დიდ ეროვნულ თარიღებს მხოლოდ ჩვენ, სამშობლოდან გადმოხვეწილი, ე. წ. „ემიგრანტები", ვუნთებდით სანთლებს და ვუკმევდით საკმეველს მაშინ, როცა სამშობლოში მამულიშვილებს ეს სასტიკად ეკრძალებოდათ. წელს პირველად ჩვენ მარტონი აღარა ვართ. წელს სამშობლოდანაც გვესმის გამამხნევებელი და მართებული სიჯარო გამოსვლები, რომლებიც აბათილებენ ათეულ წლების განმავლობაში გაბატონებულ ოფიციალურ ვერსიას, რომ თითქოს *1924* წლის აგვისტოში ადგილი ჰქონებოდეს ე. წ. „მენშევიკების, თავად-აზნაურების და მღვდელ-დიაკვნების ავანტიურას" და ჩვენსავით ამტკიცებენ, რომ ეს იყო საქართველოს ეროვნული გამანთავისუფლებელი ბრძოლის ერთი დიდი უკეთილშობილესი მომენტი და რომ მასში მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენელი პატრიოტები.

სამშობლოში შენიშნული ეროვნული მოძრაობის გააქტიურება ჩვენ, რა თქმა უნდა, გვამხნევებს, კიდევ მეტი, გვაღფრთოვანებს და სრულიად ბუნებრივად ახმიანებს ჩვენში ქართული სულის მესაიდუმლის სულმნათ აკაკის სიტყვებს:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჯერიმე!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ეს ფაქტი, ჩვენი ხალხის პოლიტიკური გააქტიურებისაც ჩვენ გულს გვიხალისებს, თუმცა იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება ხიფათებით სავსე საბედისწერო მდგომარეობაში, შეიძლება უარესშიდაც კი, ვიდრე ის იმყოფებდა *1924* წლის აგვისტოს აჯანყების წინ. ჩვენს ოპტიმიზმს მაინც ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ ფხიზელი და ერთ მუშტად შეკრული ერი დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას. ჩვენც ვიზიარებთ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დევიზს: **„ერი, რომელიც იბრძვის, გაიმარჯვებს!“**

ოთხი წლის თავისუფალმა ცხოვრებამ (არ უნდა დავივიწყოთ: *1917* წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველო ფაქტიურად თავისუფალი ეროვნული ცხოვრებით ცხოვრობდა, ის დინჯად, მაგრამ შეუბრუნებლად მიაბიჯებდა საერთაშორისოდ აღიარებულ ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ. უსინდისო ტყუილია ხაჭაპურიძეთა მონაჩმახი: საქართველოს დამოუკიდებლობა „ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მოუტანაო“. ეს სხვათა შორის.) გაადვივა, ააღორძინა საუკუნეზე მეტი ხნით რუსთა მპყრობელობით მოდუნებული ეროვნული სიამაყე და თავის–თავადობის გრძნობები ქართველი რიგითი კაცისა. ამიტომ თუმცა ის *1921* წლის თებერვალ-მარტის დიდათ უთანასწორო ომში დამარცხდა, ქართველს აღარ შეეძლო დაპყრობილის ბედს შერიგებოდა.

მან ეროვნული განთავისუფლების ყველა გზა მოშინჯა. დამარცხებისთანავე ეროვნული მთავრობა, დამფუძნებელი საკრებულოს პრეზიდიუმი, პარტიების ლიდერები, მთავარსარდლობა საზღვარგაღეთ წამოვიდა საერთაშორისო სამართლის საძიებლად. შიგნით კი ეროვნულ-პარტიებში დარაზმულმა ხალხმა პოლიტიკური პროტესტებითა და პეტიციებით შეეცადა ოკუპაციისაგან განთავისუფლებას. მაგრამ ამაოდ. კუთხური სტიქიური აჯანყებები (სვანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის) დამარცხდენ. ვერც მეორე სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, ვერც ერთა ლიგამ და ვერც გენუის საერთაშორისო კონფერენციამ ქართველი ხალხის იმედები ვერ გაამართლეს. ცხადი იყო: ლენინის საბჭოთა მთავრობა არავითარ ხრიკებს არ თაკილობდა, ვითომ საერთაშორისო არბიტრაჟსაც ღებულობდა, მაგრამ სინამდვილეში დროს იგებდა მისი საფუძვლების განსამტკიცებლად.

მხოლოდ ასეთი პოლიტიკური დასკვნის გაკეთებისა, ეროვნული პარტიების ლეგალური არსებობის გაუქმებისა და ყველა დემოკრატიული გზის დახშობის შემდეგ ერ. პარტიების გაერთიანებამ, დამოუკიდებლობის კომიტეტმა, *1923* წლის შემოდგომიდან, გადაწყვიტა ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული აჯანყების მოხდენა. აჯანყება გულდასმით მზადდებოდა. თუ-ლი ერთი წლის განმავლობაში თითქმის. ეს მზადება არ გამოპარვია კომუნისტურ ხელისუფლებას და მის ავად სახსენებელ „ჩეკას", რომელმაც წამების ყოვლად დაუშვებელ მეთოდებით გახრწნა, ჯაშუშგამცემლებად აქცია მთელი რიგი, წინად პატიოსნად ცნობილი ქართველებისა და ამ ხალხით ავსო დამკომიცა და მისი შემადგენელი ეროვნული პარტიების მმართველი ორგანოები.

ამრიგად, აჯანყების მზადების შესახებ ყველაფერი იცოდა ხელისუფლებამ, იგი მას ელოდა და მის წინააღმდეგ გაფაცცებით ემზადებოდა, რომ აჯანყებულებზე შემდეგ სადისტურად შური ეძია.

ჩემს დღევანდელ განზრახვაში არ შედის აჯანყების ფურცლების გადმოშლა, აჯანყებისა და მასში მონაწილეთა დახასიათება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მიუხედავად აჯანყების გაცემისა, მიუხედავად საალყო წესებისა, ქართველი ხალხი, ყველა მისი ფენებით, პირველ რიგში მუშები და სტუდენტ-მოსწავლე ახალგაზრდობა, მასიურად გამოვიდა ქუჩებში, მახვილი იშიშვლა და დამპყრობელს ეკვეთა, მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად ჭიათურა-საჩხერეში, ზესტაფონში, ჩხარში, რაჭაში, სვანეთში სამეგრელოსა და გურიის უმთავრეს უბნებში ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადავიდა. ქართველმა ხალხმა მაშინ, ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ საქართველო ღირსი იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებელი არსებობისა.

მიუხედავად აჯანყებულთა დიდი ჰუმანიურობისა (აჯანყებულებს შურისძიებით არ მოუკლავთ არცერთი ტყვედაყვანილი კომუნისტი, ჩეკისტი, მით უფრო რუსი ან ქართველი საბჭოთა მოხელე.), ჩეკა და საბჭოთა ხელისუფლება მხეცურად გაუსწორდა არა მარტო აჯანყებულებს, არამედ ასობით ციხეებიდან და გადასახლებებიდან გამოჰყავდა და უმოწყალოდ ხვრეტდა ერის საუკეთესო შვილებს.

საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთებამ მაშინ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახადა ხალხის ელეტა შეეწყვიტა, ამნისტია გამოეცხადებია, მაგრამ ყველა ყოფილი პატიმარი, თუ აჯანყებისადმი სიმპათიით დაღდასმული აღრიცხვაზე იყო აყვანილი და ცოტა მოგვიანებით, როცა კიდევ უფრო ხელსაყრელი პერიოდი დადგება, დარჩენილებსაც უღვთოდ გაუსწორებენ ანგარიშს. მათ მსახვრალ ხელს ძალიან ცოტანიღა თუ გადაურჩენ *1924* წლის აჯანყების შესანიშნავ თაობიდან. იმ იშვიათ გადარჩენილთა შორის იყვნენ უცხოეთში გადმოხვეწილები, რომელთა შთამომავლებიც ბრძანდებით დღეს ამ შეკრებულებაზე დამსწრეთა უმრავლესობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის *9* მარტის და წლევანდელმა *9* აპრილის ჩვენმა, იაფეთის, მასიერმა ხოცვა-ყლეტებმა მსოფლიო საზოგადოებას კვლავ შეახსენა, რომ, მიუხედავად ოკუპანტთა შეუწყალებელი რეპრესიებისა, ერთგნული განთავისუფლების იდეა არ მომკვდარა ქართველ ხალხში, არამედ, პირიქით, ახლა თითქმის მთელი ერი მზადაა თავი დასდვას მისთვის.

ამ იდეის განსახორციელებლად ქართველი ხალხი გადაჭრით ადგია დემოკრატიული ბრძოლის გზას, უსისხლო, მშვიდობიან პოლიტიკური ბრძოლის გზას. სრულიად ასეთ მშვიდობიან მანიფესტაციას ჰქონდა ადგილი წლევანდელ ცხრა აპრილსაც ჩვენს დედაქალაქში, რომელიც ასეთი შმაგური სისასტიკით დასჯა მ. გორბაჩოვის საბჭოთა ხელისუფლებამ, მისმა რუსულმა მხედრიონმა; და მის შემდეგაც კრემლის აფხაზი, თათარი, ოსი და სხვა შენიღბული აგენტები ბანდიტურ თავდასხმებსა და მკვლელობებს ახორციელებენ მშვიდობიან ქართველ მცხოვრებლებზე. ბრმისთვისაც ცხადზე-უცხადესია: კრემლის დღევანდელი ხელისუფლება, რუს პირსისხლიან იმპერიალისტებთან ხელიხელჩაკიდებული, ტერორით ცდილობს ქართველი ხალხის დაშინებას, რომ მას ხელი ააღებიოს თავისუფლებისაკენ ლტოლვაზე.

ჩვენ გვინდა ყველამ კარგად გაიგონოს, პირველ რიგში კი რუსებმა: ქართველებს არ სურთ სისხლისმღვრელი ომი გაუმართონ რუსებს, სამუდამო შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს რუსთსა და საქართველოს შორის. პირიქით, ჩვენს ხალხს მუდამ უნდოდა კეთილმეზობლური, ქრისტიანული სიყვარულით გამთბარი და ნასაზრდოები ურთიერთობა ჰქონოდა რუსის ხალხთან. ახლაც ამის მსურველი და მოწადინეა ქართველი ხალხი, იმ პირობით, რომ ისინი პატივს სცემენ ქართველი ერის ხელშეუხებელ საერთაშორისო სუვერენულ უფლებებს, მაგრამ თუ რუსები ბოლოს და ბოლოს ხელს არ აიღებენ ძალმომრეობაზე და ვერაგობაზე, მაშინ მათ შეგახსენებთ, რომ დღევანდელი ქართველები ჭეშმარიტი შთამომავლები არიან ძველი ივერიელების, ესე იგი „კაცთა უხორცოთა“, და არა–მათი ნაბიჭვრები.

გიორგი წერეთელი

***

ღია წერილი ბ-ნ აკაკი სურგულაძეს

„...*1918* წლის მეორე ნახევრიდან ... კონტრრევოლუცია გამარჯვებას ზეიმობდა. საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში ოკუპანტები დათარეშობდენ.“ („საქართ. ისტორიის ნარკვევები“, *ტ.6*, *გვ. 651*)

„...გვარდია წარმოადგენდა აზნაურების, ვაჭრების, სპეკულიანტებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, კონტრაბანდისტების, ყაჩაღების ბრბოს და იქ იმიტომ [illegible] დნენ გადაგვარებული ელემენტები, რომ ხალხი ეძარცვათ [illegible] ოკებინათ.“ (იგივე სახელმძღვანელო, გვ. *659*)

„...მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ერთნაირი მებრძოლი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები.“ (იგივე წიგნი, გვ. *672*)

„აჯანყების კერა, რომელსაც პირველად ქვემო ქართლი წარმოადგენდა, თანდათანობით გაფართოდა. შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის მაზრებში, საქართველოს მთიან რაიონებში. რევოლუციურმა კომიტეტმა რაიონებში დაგზავნა თავისი რწმუნებულები, რომლებიც მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ბრძოლებს ჩაუდგნენ სათავეში.“ (იგივე წ., გვ. *691*)

დიახ, ბ–ნო აკაკი, თქვენ ალბათ არ გაგიჭირდებათ ამ სტრიქონების გამოცნობა, ისინი ამოკრეფილი არიან თქვენი რედაქტორობით *1972* წელს, თბილისში, გამოცემულ **„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“** ***VI*** ტომიდან, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს, ისევ თქვენი ავტორობით, *1957* წელს (სტალინის განგვირგვინების ხანაში), გამოცემული **„სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში“**. ეს წიგნი, როგორც წყარო, დასახელებულია „**საბჭ. საქარ. ენციკლოპედიის**“ იმ სტატიაში, რომელშიც განმარტებულია „საქარ. დემოკრატიული რესპუბლიკა“ (ტ. *9*, გვ. *172*).

ერთი სიტყვით, ბ–ნო აკაკი, თქვენ ბრძანდებოდით ის საბჭოთა ოფიციალური ისტორიკოსი, რომელიც ასე ამახინჯებდა ყველა ქართველი პატრიოტისათვის საამაყო დამოუკიდებლობის ხანის ისტორიას და ცინიკურად ამართლებდით უცხო ძალის მიერ მის დამხობას. მთელი *30* წლის განმავლობაში საწყალი ჩვენი ახალგაზრდობა იზრდებოდა ჩვენი ერის უახლესი წარსულის თქვენეული სიმახინჯით.

დღეს, როცა თქვენს სიტყვას ვისმენდი ლევიღის ქართულ შეკრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო *1924* წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებისადმი, გამაოცა თქვენი აზრების სასწაულებრივმა მეტამორფოზამ და, მეტი რომ არ ვთქვათ, თავხედობამ.

ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო, მათ შორის ჩვენი ემიგრაციაც, ხელს როდი ჰკრავს მათ, ვინც წარსულში შესცოდა სამშობლოსაცა და სიმართლესაც, მაგრამ დღეს გულწრფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ალიარებს ძველ შეცოდებებს, მაგრამ თქვენს სიტყვებში ასეთი რამ ვერ გავიგონე. თქვენ თითქოს თავი იმართლეთ, როცა ბრძანეთ: „ამ თარიღებს ტაბუ ჰქონდათ დადებული“, კეთილი, გეთანხმებით ჩემო ბატონო, მაგრამ დუმილი ხომ აღარ იყო აკრძალული?!

ხრუშჩოვ-ბრეჟნევის დროინდელ ცოდვებს რომ თავი დავანებოთ, თვით გორბაჩოვის „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ დროინდელი თქვენს მიერ საჯაროდ გამოთქმული აზრები არ იძლევიან იმის იმედს, რომ თქვენ შეძლებდით ჩვენ თვალსაზრისზე გულწრფელად მოსვლას. გასული წლის *24* აპრილს, გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში **„ნისლი გადაიწმინდა“**, სხვათა შორის ვკითხულობთ: „რა თქმა უნდა, *1918* წ. აქტს არ მოჰყოლია გამათავისუფლებელი ბრძოლის საბოლოოდ დამთავრება. მენშევიკურმა მთავრობამ თავისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით ვერ შეძლო შეენარჩუნებია დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულობის სიკეთე. საქართველო ჯერ თურქი და გერმანელი, შემდეგ ინგლისელი დამპყრობლების ბატონობის ასპარეზი გახდა. ფიქცია აღმონჩდა დემოკრატიულობაც, რადგან ვერ გადაწყდა სოციალური სამართლიანობის ვერც ერთი საკითხი, ვერ მოგვარდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკურ ერთეულთა ურთიერთობანი. მენშევიკური მთავრობა წავიდა ეროვნული ბურჟუაზიის საფუძვლების განმტკიცების მიმართულებით და გვერდზე გადასდო მუშათა და გლეხთა მასების ჭეშმარიტი სოციალური ინტერესები. ამიტომ გახდა მენშევიკური საქართველო პერმანენტური აჯანყების ასპარეზი, ამიტომ ისწრაფვოდა მშრომელი ჯხალხი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, რომლის სასიკეთო შედეგები ნათლად ჩანდა რუსეთში გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის, მისი პირველივე დეკრეტების მაგალითზე.“ ... „*1920* წლიდან, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველო კონტრრევოლუციის ბუდედ გადაიქცა. იგი გახვეული იყო იმპერიალისტური ანტანტის ბადეში. ეკონომიკური თვალსაზრისითაც კატასტროფის წინაშე იდგა, რასაც მთავრობის ლიდერებიც არ მალავდნენ. ამ უმძიმესი მდგომარეობიდან ქვეყნის ხსნა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც შეესაბამებოდა ხალხის ცხრამეათედის ჭეშმარიტ ინტერესებს. ამრიგად, ის ე. წ. „ანექსია“, რომელსაც განგებ მუქ ფერებში წარმოადგენენ სოციალისტური რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუციის მტრული ძალები, ნაკარნახევი იყო რევოლუციის მეტო�sტი ინტერესებით და გზას უხსნიდა ქართველ ხალხს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისაკენ“.

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ თქვენ სულ რაღაც ერთი წლის წინად უთუოდ ანვითარებდით საბჭოთა ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ თვალსაზრისს, თითქოს *1921* წლის თებერვალ-მარტის ომის დროს და მის შედეგად ჩვენს სამშობლოში შექმნილი სიტუაცია იყო არა ანექსია, რომელსაც, თურმე, „განგებ მუქ ფერებში წარმოადგენენ სოციალისტური რევოლუციის მტრული ძალები“, არამედ მენშევიკური ტირანიიდან განთავისუფლება, პროგრესიული მოვლენა ქართველი ერისათვის, განპირობებული ისტორიული აუცილებლობით.

ღღეს კი, ღვივლში, ბ–ნო აკაკი, თქვენ თვალის დაუხამხამებლად წარმოგვიდგენთ ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესული ჯგუფის წარმომადგენლად, რომლის თვალსაზრისი თურმე უკანასკნელი პერიოდის სამი დიდი თარიღის შესახებ „უახლოვდება და ავსებს“ ეროვნული ემიგრაციის თვალსაზრისს. ეს განცხადება ისე მოულოდნელი და დიამეტრალურად საწინააღმდეგოა თქვენს წინანდელ ნაწერებში გამოთქმულ პოზიციებიდან, რომ თავისთავად გვებადება დაგისვათ კითხვა: როდის ბრძანდებოდით გულწრფელი, *1957* წელში, როცა გამოაქვეყნეთ თქვენი „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში“, თუ *1972* წელში, როცა თქვენი რედაქტორობით გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თუ *1988* წლის *4* აპრილს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული თქვენი სტატიის „ნისლი გადაიწმინდა“-ში გამოთქმული აზრების დროს, თუ, ბოლოს, ა. წ. *17* სექტემბერს, სოფელ ღვივლში, *1924* წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების წლისთავისადმი მიძღვნილ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვის დროს?

მამულს განშორებული

*** *** ***

ხელოვნების ფესტივალი სან დიეგოში

წელს *21* ოქტომბრიდან *11* ნოემბრამდე კალიფორნიის შტატის ქ. სან დიეგოში მიმდინარეობდა „საბჭოთა ხელოვნების ფესტივალი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სინამდვილეში აღმოჩნდა ქართული ხელოვნების ფესტივალი.

მე, ყოფილმა კალიფორნიელმა, სწორედ ამ ფესტივალის „ბაზ ყვავილის“ დღეებში ვესტუმრე ქ. ლოს ანჯელესს. განსაზღვრული ვადის გამო, მხოლოდ სამი დღე დავრჩი სან დიეგოში და ეს სამი დღე მოვანდომე ე. წ. „საბჭ. ხელოვნების“ დათვალიერებას და სან დიეგოელ მეგობრებთან სტუმრობას.

ქალაქებს— ლოს ანჯელესსა და სან დიეგოს — შორის მანძილი დაახლოებით *130* მილია. ეს სივრცე ამ ქალაქებს შორის იმდენად გაშენდა უკანასკნელი *30* წ. განმავლობაში, რომ მათ შორის თითქმის არ არსებობს ზღვარი და იქ პირველად მყოფ ადამიანზე ეს მანძილი სტოვებს ერთი უზარმაზარი ქალაქის შთაბეჭდილებას. იყო დრო, როდესაც ამ ქალაქებს შორის ავტომანქანით მგზავრობა სასიამოვნო გართობად ითვლებოდა, ოკეანის სანაპიროს პარალელურად მიმდევარი, ციტრუსების პლანტაციათა შორის მდებარე გზატკეცილზე. მგზავრს ატკბობდა ციტრუსთა ყვავილებისა და ევკალიპტების სურნელება და ნაკლებად აწუხებდა ახლა ასე მომრავლებულ ავტომანქანების მიერ მოწამლული ჰაერი. იმ დროს არავინ ჩქარობდა. მგზავრობა არ იქნებოდა სრულყოფილი, თუკი არ შეჩერდებოდით დაბა სან ხუან კაპისტრანოში სადილად, ერთ ცნობილ მექსიკურ რესტორანში, სადაც ამ ქვეყნის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები და კაცები გემსახურებოდნენ, კარებში რესტორნის პატრონისაგან ესპანური ტრადიციითა და ზრდილობით მისალმების შემდეგ.

დღესაცაა გზატკეცილ №5 -ის ორივე მხარეზე განლაგებული მრავალი რესტორანი— მექსიკური, ჩინური, თაილანდური თუ ამერიკული სამზარეულოებით, მაგრამ უნდა დასტოვოთ გზატკეცილი, გახვიდეთ ხიდს ზემოთ ან ხიდს ქვემოთ, გაიაროთ ორი ან სამი მოსახვევი და ერთ კუთხეში, ავტომომსახურეობის სადგურის გვერდით, სადაც ბენზინის სუნი ტრიალებს, შეგიძლიათ ისადილოთ ერთ მათგანში, სადაც ძველებურად ციტრუსების და ევკალიპტების სურნელება აღარ დაგატკბობთ.

დაქირავებული ავტომანქანით ორნახევარი საათის მგზავრობის შემდეგ ქ. სან დიეგოს ცენტრში ამოვყავი თავი, სადაც ქუჩების ორივე მხარეზე შენობებსა და ელექტრო ბოძებზე გადაჭიმული იყო ხეშეშ ქსოვილზე აღბეჭდილი აფიშები, მოსკოვის წმ ბასილის ტაძრისა და ჰაერში შემხტარი ქართველი მოცეკვავე ბიჭუნას გამოსახულებით, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა „საბჭოთა ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტივალისაკენ". ფესტივალის მთავარი ადგილსამყოფელი იყო ბალბოა პარკი", სან დიეგოს ძველი ქალაქის ნაწილი, ესპანური და თანამედროვე სტილის შენობებით. აქ არის სხვადასხვა მუზეუმი და თეატრი, ისეთები მაგალითად, როგორიცაა კოსმიური მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, ისტორიული მუზეუმი, სახელგანთქმული სან დიეგოს ზოოპარკი, თოჯინებისა და დრამატიული თეატრები, „ოლდ გლობ", რომელიც ქალაქის სიამაყეა შექსპირის პიესათა წარმოდგენებით. „ოლდ გლობის" თეატრი უჩვენებდა რუსულ დრამას „ძმები და დები" ორ სერიად. თოჯინების თეატრი ეჭირა თბილისის თოჯინების თეატრის დასს. ბილეთები ყველგან გაყიდული იყო მომავალი ორი კვირის წარმოდგენებისათვი. მუზეუმში უჩვენებდნენ 50 -ამდე ფაბარჟეს მიერ შექმნილ სამკაულებს. მნახველთა რიგი იყო არაჩვეულებრივად გრძელი, ამიტომ არავითარი აზრი არ გააჩნდა ვაშინგტონში მცხოვრებისათვის, რომ ამ გრძელ რიგს შეერთებოდა, რადგანაც ფაბარჟეს საუკეთესო გამოფენა შეუძლია ნახოს ვირჯინიის ქალაქ რიჩმონდში.

ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის გუნდის კონცერტები. ნორჩი მოცეკვავენი კონცერტებს მართავდნენ სკოლებში. სან დიეგოს ოპერის კომპანია უჩვენებდა „ბორის გოდუნოვს" ქართველი, ამერიკელი და რუსი მომღერლების მონაწილეობით, ქართველი ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. ქართველ მომღერლებს შორის იყვნენ: გ. ასათიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, და ომარ ხოფერია. ჯ. კახიძე აღიარებული იქნა კალიფორნიის მუსიკისმცოდნეთა მიერ, როგორც ერთ-ერთი წამყვანი დირიჟორი ამ ოპერისა. კრიტიკოსებმა მოწონებით მოიხსენიეს ქართველი მომღერლები და მათთან ერთად მაყურებლებისაგან ენთუზიაზმით იქნა აღიარებული მაღალი დონე თბილისის ოპერის თეატრის ტენორი თეიმურაზ გუგუშვილი. ერთმა აღფრთოვანებულმა კრიტიკოსმა მოუწოდა, რომ – „სან დიეგოს ოპერის გამგეობამ ყველაფერი იღონოს, მიწა შეანძრიოს და ახლო მომავალში გუგუშვილი მოიწვიოს".

რეზო გაბრიაძის ნიჭიერი ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით მიმდინარეობდა თბილისის თოჯინების თეატრის წარმოდგენები, რომელთაგანაც, მიუხედავად ბილეთის არ ქონებისა, ერთს მაინც დაესწარი, რისთვისაც უნდა დავუმადლო დასის შემადგენლობას. დიდად ვისიამოვნე წარმოდგენით და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სკოლის მოწაფეთა სიხარული, რომლებიც ავტობუსებით მოჰყავდათ მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის საგანგებოდ გამართულ წარმოდგენებზე.

ლოს ანჯელესისა და სან დიეგოს გაზეთებში ყოველდღიურად ჭდებოდა სტატიები ფესტივალის ამა თუ იმ ასპექტზე და ყოველ სტატიაში მთავარი ყურადღება იყო მიპყრობილი ქართული კულტურის, ქართველი შემსრულებლებისა და საერთოდ საქართველოსადმი. მიუხედავად იმისა (როგორც გავიგე), რომ ქართველთა საკმაო რიცხვი ეწინააღმდეგებოდა ამ ფესტივალში ქართველების მონაწილეობას, ფესტივალმა, თუ არა მთელ ამერიკას, კალიფორნიის შტატს, განსაკუთრებით სამხრეთში, საბოლოოდ გააცნო ქართველები, საქართველო და ქართველი ხალხის კულტურის ერთი ნაწილაკი მაინც. ჩემი ეს გრძნობა საუკეთესოდ გამოთქვა სან დიეგოს ერთმა წარმომადგენელმა:– „საბჭოთა ხელოვნების ფესტივალმა ბევრი რამ შეგვასწავლა საქართველოს კულტურაზე“-ო.

რამდენიმე დღის წინ, სან დიეგოდან ერთი მეგობრისგან მივიღე გაზეთ „სან დიეგო ტრიბუნიდან“ ამოჭრილი სტატია, რომელშიდაც თვით კორესპონდენტის კომენტარებთან ერთად მოტანილია ადგილები ინტერვიუდან, რომელიც მან ჩაუტარა ცნობილ ქართველ კინორეჟისორ ქალს ნანა ჯორჯაძეს. სტატიის სათაურია–„ჩვენ გვსურს დამოუკიდებლობა, ჩვენი სურვილია თავისუფლება“.

მწამს, რომ „გუშაგის“ მკითხველებისათვის აქ შეერთებულ შტატებში, ევროპაში და სხვა ადგილებში, სადაც ის ხელმისაწვდენია, საინტერესოა აზრი მკვიდრი ქართველისა და ზოგი ამერიკელის. აი, ეს სტატია::

„ნანა ჯორჯაძე კინო რეჟისორი და არქიტექტორია და არა მეამბოხე. ის არასდროს მიმხრობია რომელიმე მიზანს. მაგრამ ეს შეიცვალა ამ წლის 9 აპრილის გათენებისას. ეს იყო იმ დროს, როდესაც ათასობით სხვებთან ერთად ქალბატონი ჯორჯაძე იდგა საქ. დედაქალაქის, თბილისის, ერთ მოედანზე, მაღლა აღმართულ ხელში მოციმციმე სანთლითა და ლოცვით. სწორედ იმ დროს დაშალეს ჯორჯაძე და სხვები საბჭოთა ტანკებმა და ჯარის ნაწილებმა. ქალბატონი ჯორჯაძე მოწმე გახდა ბავშვების მოწამლისა გაზის ერთი ნაერთით, რომელიც მოგვიანებით, დასავლეთელ ექსპერტთა მიერ შეცნობილი იქნა, როგორც მომწამლავი ცრემლმდენი გაზი. მან საკუთრივ დაინახა, თუ როგორ ჩამოაცილეს მკლავი თუ მაჯა ახლო მდგარ ხალხს, ხმლებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Nana Jorjadze: "My country is not the Soviet Union. My country is Georgia."

იმ დილით თბილისში მზის ამოსვლამდე მოკლული იქნა ოცი კაცი და ასობით სხვა კი დაშავდა. ამჯერად კი ნანა ჯორჯაძე, რომელიც ფილმზე მუშაობის შედეგად ხშირად მოგზაურობს უცხოეთში, ევროპასა და სხვა ადგილებში, იქცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ რწმუნებულად. მოკლე ხნის წინ მასთან ჩატარებულ ინტერვიუში, ემოციებით აღსავსე რბილი ხმით, მან განაცხადა: „საბჭოთა კავშირი არ არის ჩემი სამშობლო. ჩემი სამშობლო საქართველოა".

სან დიეგოში ხელოვნების ფესტივალზე საქ. რესპუბლიკის ხელოვნება ბევრად უფრო მეტად იყო წარმოდგენილი, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებისა. ქალბატონი ჯორჯაძე იმ ქართველ ხელოვანსა და შემოქმედს შორის ერთია, რომლებმაც ქალაქი აღავსეს ქართული ცეკვებით, სიმღერებით, თოჯინებით, სამზარეულო ხელოვნებითა და კინო ფილმებით.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ ფესტივალმა სან დიეგოს გააცნო ქართული კულტურა, მან ჩვენ გაგვაცნო ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე ვიცოდით ქართველი ხალხის შესახებ. აშკარად, ქართველების ღრმა ეროვნულმა სიამაყემ და მზარდმა სიძულვილმა ქართველებსა და რუსებს შორის, საბჭოელებსა და ამერიკელებს წარუდგინა ფესტივალის ზოგი მტკივნეული გაკვეთილი.

ფესტივალის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქ. კულტურის მინისტრმა ვალერიან ასათიანმა მოულოდნელად გაუქმა დაგეგმილი გამოფენა ქართული ხატებისა და ჭედურობისა. მან განაცხადა, რომ ქართველები შიშობენ, შეხაძლოა დაზიანდეს ან დაიკარგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. უძველესი ხატები. მაგრამ სხვა წყაროთა მიხედვით, საქართველო ხელოვნების მნიშვნელოვანმა ოფიციალურმა პირებმა წინააღმდეგობა გამოთქვეს ხატების ამ ფესტივალზე გამოფენის გამო, რომლის მთავარი ყურადღების ცენტრი „საბჭოთა ხელოვნებაა". გარდა ამისა, როდესაც საქ. კულტურის ოფიციალურ პირებისთვის ცნობილი გახდა რამდენიმე თვის წინ, რომ ფესტივალის ოფიციალურ რეკლამაზე აღნიშნული იყო მხოლოდ მოსკოვის წმ. ბასილის ტაძრის გუმბათი, მოითხოვეს დაემატებიათ ფესტივალის ყოველ კომერციალურ რეკლამაზე ქართული სიმბოლო. როგორც ფესტივალის ადმინისტრატიულმა დირექტორმა ბრუს ჰერინგმა განაცხადა, ამის შემდეგ ყველა აფიშას და ბაირაღს დაემატა ქართველ მოცეკვავის სურათი. ბ–ნმა ჰერინგმა აგრეთვე განაცხადა, რომ მრავალი ქართველი ხელოვანი და შემსრულებელი უკმაყოფილო დარჩა, ტელევიზიისა და გაზეთების მიერ, ფესტივალისათვის ზოგადად რუსულის წოდების გამო. მან განაცხადა, რომ თავი უნდა აარიდოთ ქართველისათვის რუსის წოდებას. მაგრამ სან დიეგოს მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ცნობილი არ არის განსხვავება.

ქ – ნი ჯორჯაძე თანახმაა, რომ, როდესაც ვინმე უცხო ითვისებს ჩვენს სიმღერებს, ცეკვებს, მინიატურებს და ამბობს, რომ ეს არის რუსული, უდაოდ მტკივნეული რამაა. ქ – ნმა ჯორჯაძემ თარჯიმნის, ელენა სერებრიაკოვას მეშვეობით აგრეთვე მიუთითა, რომ ის არ ადანაშაულებს ამერიკელებს საქ. კულტურის უცოდინარობისათვის. უკანასკნელ დრომდე საბჭოთა მთავრობა არ აწოდებდა თავისუფლად ინფორმაციებს მის მრავალ სხვა რესპუბლიკაზე და უმცირესობებზე. აგრეთვე ძნელია ამერიკელებისათვის ქართველების გრძნობების შეცნობა, რადგანაც ადამიანი, რომელიც გაიზარდა თავისუფლებაში, ძნელია შეიგნოს თუ რა არის საპატიმრო. ამერიკელთა უმრავლესობისათვის გაუგებარია თუ რატომ მხოლოდ ახლა იჩინა თავი საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ, იმ დროს, როდესაც საბჭოთა ლიდერ მიხეილ გორბაჩოვის რეფორმები უფრო ზრდის თავისუფლებას ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის.

ქ – ნი ჯორჯაძე აღიარებს, რომ გორბაჩოვის მეთაურობის ქვეშ გაიხსნა კარები გარე მსოფლიოსაკენ და თავისუფალია აზრის გამოთქმა. ეს წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. მაგრამ ცვლილებები ამ წარტილზევე წყდება. ქართველებისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ უცხო ძალა განაგრძობს მათი ქვეყნის ოკუპაციას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბჭოთა კავშირის მიმართ ქართველთა უკმაყოფილებამ, რომელიც *1920*-ანი წლებიდან განაგრძობს ზრდას, საბოლოოდ მიაღწია ფეთქად წერტილამდე. საბჭოთა კავშირი ნაერთია სხვადასხვა ქვეყნებისა, რომლებიც ძალდატანებით არიან გაერთიანებული. ის არის სისტემა და არა ქვეყანა. ჩვენ გვსურს დამოუკიდებლობა. ჩვენი სურვილია თანაბარ დონეზე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა, მაგრამ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკის დაწყებისთანავე საბჭოთა მთავრობა გვწამებს ეროვნული კონფლიქტების პროვოცირებას. ისინი მიმართულებას უცვლიან სიტყვებს და მათ მნიშვნელობას, ნათლავენ აგრესორად, ამბობს ქ–ნი ჯორჯაძე. მაგრამ სიტყვა „აგრესორი“ არ არის ქ–ნ ჯორჯაძის დამახასიათებელი, უფრო სწორი დამახასიათებელი იქნებოდა „მკაფიო“ და „ზრდილობიანი“.

38 წლის ჯორჯაძეს თბილისს უნივერსიტეტისაგან მიღებული აქვს ორი დიპლომი – არქიტექტორისა და კინორეჟისორის. გადაღებული აქვს ხუთი ფილმი და ამჟამად ამთავრებს დოკუმენტურ ფილმს ერთი ახირებული ქართ. პოეტისა და ფილოსოფოსის ცხოვრებაზე, რომელმაც ამ საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული თეატრის ჯგუფი. ქ–ნი ჯორჯაძე აგრეთვე აქტიურად მუშაობს როგორც არქიტექტორი და ინტერიორის დეკორატორი (დესაინერი). საქართველოში მისი ნახელავია სასტუმრო, სამედიცინო კლინიკა და სხვა, ისევე როგორც რესტორნებისა და ბარების ინტერიერები.

მან თქვა: არქიტექტურა მე დახმარებას მიწევს ფილმების გადაღებაში. მან მასწავლა, თუ როგორ ვიაზროვნო გამოსახულებებში ... ძირითადად, არქიტექტურა საფუძველს უყრის გარემოს, ის ორგანიზაციას უკეთებს ხალხის ამა თუ იმ საჭიროებას. ფილმი კი ერთგვარი ორგანიზაციაა ადამიანთა ან ზოგი მომქმედი პირის ცხოვრების.

ქ–ნი ჯორჯაძის პოლიტიკური მოღვაწეობა აპრილამდე განისაზღვრებოდა ერთი ორგანიზაციის წევრობით, რომელიც ფულად და მორალურად ეხმარება უსახლკარო ქართულ ოჯახებს, ობლებს, ინვალიდებს და ხანდაზმულებს. მან ღიმილით გაიხსენა, რომ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის დემონსტრაცია დაიწყო ზემის სულისკვეთებით. რუსთაველის პროსპექტზე თასასბით ხალხი იკრიბებოდა ყოველდღიურად სიტყვების წარმოსათქმელად და საღოცავად. მაგრამ საბოლოოდ დემონსტრაცია დაშალეს შეიარაღებული შემოტევითა და სიკვდილით. ცხრა აპრილის ინციდენტი, თქვა მან, ჯერ კიდევ ნათლადაა აღბეჭდილი ქართველების მახსოვრობაში, მაგრამ იგი ამტკიცებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამას არაფერი საერთო ჰქონია ხატებისა და ჭედურობის გამოფენის გაუქმებასთან. ქართველები უაღრესად უფრთხილდებიან ამ ხატებს, რომლებიც რამდენიმეღაა საქართველოს კულტურის შემორჩენილ სიმბოლოთა შორის და ღრმადაა ჩანერგილი ქრისტიანობაში. საქ. ხელოვნების ექსპერტებთან არავითარი კონსულტაციები არ ჩატარებულა ამ საუნჯეთა გატანაზე, როდესაც ხელს აწერდენ ფესტივალზე შეთანხმებას.

მაგრამ ტიმკენის გალერიის წარმომადგენელმა ჰალ ფიშერმა სცადა ქართულ ტელევიზიაზე უკანასკნელი წუთების თხოვნით, რათა გადაერჩინა გამოფენა და შემდეგ განაცხადა, რომ ქართველმა ნაციონალისტებმა წამოაყენეს ხატების სათუთობის საკითხი, რათა ხალხი მიეთხოვოთ „საბჭოთა ხელოვნების ფესტივალზე“ ხატების გაგზავნის წინააღმდეგ. ფიშერის განცხადებით, პრობლემის ძირი იყო ის, რომ ქართველებს არავითარი განმარტება არ მიუღიათ კრემლისაგან დემონსტრაციაზე დახოცილი ხალხის შესახებ. მათი აზრით, საქართველო უნდა გლოვობდეს.

ქ-ნ ჯორჯაძემ განაცხადა: „ჩვენი სურვილია მთელი მსოფლიო გაეცნოს ჩვენს კულტურას... და ზოგჯერ, ქართველების ემოციურობისა და ზემგრძნობარების გამო, ჩვენ ვაჭარბებთ ხოლმე, მაგრამ ამჟამად ხატების სადმე გაგზავნის საკითხი საერთოდ გამორიცხულია საქართველოში არსებულ დაძაბულობის გამო“.

ქ-ნ ჯორჯაძის განცხადებით, ქართველების ზრუნვა ხატებზე, შეესაძლებელია, რომ ნაწილობრივად გაზარდა განახლებულმა გრძნობამ ქრისტიანული სულისკვეთებისა, რომელიც უაღრესად იგრძნობა მთელს ქვეყანაში. რელიგია საქართველოში არასდროს ყოფილა აბსტრაქტული ან ფანატიკური რამ. ჩვენთვის ღმერთი ყოველთვის შეცნობილი იყო, როგორც უძვირფასესი მეგობარი. მაგრამ ეკლესია უფრო პოპულარულია ამჟამად, რადგანაც ის ხანგრძლივად იყო აკრძალული საბჭ. მთავრობის მიერ და ამან წარმოშვა კვლავ შობის გრძნობა“.

თუ როგორ მოგვარდება ამჟამინდელი განხეთქილება ქართველ ნაციონალისტებსა და საბჭოთა მთავრობის შორის, ქ-ნმა ჯორჯაძემ ამ შეკითხვას უპასუხა: „მხოლოდ ღმერთმა იცის რა იქნება ჩვენი მომავალი“. მან დასძინა: „ჩვენ არასდროს წავახალისებთ სისხლის ღვრას, მაგრამ ყოველთვის დავიცავთ ჩვენს ღირსებას და ნამუსს. თუ ვინმე შეცდომაში შევა და დაღვრის ქართულ სისხლს, მე ვფიქრობ, რომ ისინი მიიღებენ პასუხად იმას, რისი ღირსიც არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიბრძოლეთ დამოუკიდებლობისათვის, სანამ უკანასკნელი ქართველი ცოცხლობს საქართველოში".

ლადო ბაბიშვილი

ვაშინგტონი – ნოემბერი – *1989*

*** *** ***

მოკლე ანგარიში სამშობლოში მოგზაურობაზე

მე– იონა გუნია და ჩემი ქალიშვილი ნოელი ჩვენს სამშობლო საქართველოში გახლდით *14* სექტემბრიდან *18* ოქტომბრამდე, წელს. *18* სექტემბერს, თბილისში, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში, სადაც ვამოფენილია, ცხრა აპრილს რუსების ველური ჯარების მიერ დახოცილი *21* ქართველი ბავშვთა, ქალების, მამაკაცების, რომლებიც მუხლმოდრეკილნი ლოცულობდნენ უფლის მიმართ სამშობლოს განთავისუფლებაზე, სურათები,– მივიტანეთ და შევამკეთ *21* წითელი ვარდით, თეთრ ქაღალდში, შემდეგი წარწერით: **საფრანგეთში მცხოვრები ქართველები ნეტარხსენებით მოიგონებენ თბილისში ცხრა აპრილის შეწირულებს.** ჩემი თხოვნით, მათი სულის საოხად წირა ამ ეკლესიის მღვდელმა მამა ღვთისავარ შალიკაშვილმა, რომელმაც მათთან ერთად მოიხსენია ღვიღლში დასაფლავებული ქართველები.

30 სექტემბერს, თბილისში, იმ ადგილას, სადაც ცხოვრობს მერაბ კოსტავა, გაიმართა დიდი უზარმაზარი მიტინგი საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. სანამ მიტინგი დაიწყებოდა გავიცანი ბ–ნი მერაბ კოსტავა, მამაშვილურად გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი. ვაჩვენე ჩემი ღეკსები. ძალიან მოეწონა და მთხოვა აუცილებლად წამეკითხა მიტინგზე.

მიტინგზე პირველად ილაპარაკა ბ–ნმა ირაკლი წერეთელმა, თავისი დიდი ორატორული ნიჭით, მერე მე, იონა გუნიამ წავიკითხე *4* ჩემი ღეკსი. მსმენელნი, ქალნი და კაცნი, ტიროდნენ და შეძახილებით მიწონებდნენ. ჩემს შემდეგ ჩემმა სასიქადულო ნოელმა აილო მიკრო ხელში და ძალიან მაგრად წარმოსთქვა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!". ოვაცია. სამჯერ ვაკოცე ჩვენს სამფერ ეროვნულ დროშას და ამ დროს ძალიან, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ჩემს შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჩვენი დიდი პატრიოტი, ცხრა წელიწადი ციმბირის „გულაგებში" წამებული მერაბ კოსტავა, რომელმაც დასაბუთებული ნიჭიერი სიტყვით მიწასთან გაასწორა საბჭოთა

მთავრობის პოლიტიკა, რაც მიტინგმა მქუხარე ტაშით დამაჯილდოვა. მიტინგმა, რომელსაც მრავალი სამფეროვანი ეროვნული ქართული ... ვენებდა, გასტანა გვიან საღამომდის.



ჩემს თბილისში ყოფნის დროს ბევრმა პატივცემულმა მამულიშვილმა და დაწესებულებამ დამპატიჟა. ჯერ პოეტებმა, დაახლოებით 50-ამდე, ძალიან გულთბილად მიმიღეს. ჯერ მათ წაიკითხეს თავიანთი ლექსები. მეკი ბოლოს წავიკითხე ოთხი. მოწონების ნიშნად, ფეხზე დგომით მხურვალე ტაშით დამაჯილდოვეს.

სურათებზე: ზემოთ მ. კოსტავა, მის გვერდით პროფილით ი. გუნია, ქვემოთ ი. გუნია ჰკოცნის ქართულ დროშას.

მეორეჯერ უნივერსიტეტში მიმიწვიენ, გაიმართა კითხვა-პასუხი საქართველოს შესახებ საკითხებზე. ატმოსფერო იყო მეტად სიმპათიური, პირდაპირი და სრულიად თავისუფალი. მე გავაკრიტიკე საბჭოთა მთავრობა, ვთქვი, რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. რექტორი, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა, ჩემთან მოვიდა და ხელი მაგრად ჩამომართვა. მას კიდევ ორჯერ შევხვდი მეგობრებთან სადილად და ძალიან დავმეგობრდით.

კიდევ მიმიწვია გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციამ. ხანგრძლივი საუბრისა და კითხვა-პასუხების შემდეგ, მე დაბეჯითებით ვთხოვე, ოქმში, რომელსაც ერთი ქალ–ნი წერდა, შემდეგი ჩაეწერათ: არ იპოვება საპონი, შაქარი, კარაქი, ბენზინი ავტომობილისათვის, ცხოვრება ძალიან ძვირია, მაშინ როცა ხელფასი ძალიან დაბალია, ბევრ, უმრავლეს სახლებში წყალი და ელექტრონი მხოლოდ დილით და საღამოს არის, და დავუმატე: ასეთ ცუდ მდგომარეობაში ცხოვრება იმის ნიშანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კომუნისტური დიქტატურის უკანასკნელი წლებია. ღმერთმა მოგცეს დასტური. ამინ!

სამშობლოში ყოფნის დროს ჩვენთვის ყველაზე ღამაზი და ტკბილადმოსაგონარია, როცა უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა *II* ერთი საათის განმავლობაში მიგვიღო სიონის ტაძრის გვერდით, სადაც ის ცხოვრობს, მე და ჩემი ქალიშვილი და ჩვენი მეგობრები ქნი და ბ-ნი კილაძენი. ხანგრძლივი გულითადი საუბრისა და ძვირფასი საჩუქრების გადმოცემის შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსთმთავარმა მამაშვილური სიყვარულით გადაგვკოცნა და გზა დაგვიოცა.

ბ-ნი მერაბ კოსტავა მეორედაც ვინახულე და მაშინ შევთანხმდით, რათა მენახა უკან დაბრუნების წინ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი ადამიანი და ქართველი პატრიოტი ავტომობილის ავარიაში დაიღუპა *13* ოქტომბერს. მერაბთან ერთად ავტომობილში იმყოფებოდნენ თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე და მას მართავდა ქნი თამარი. ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალს, სოფ. ბორითთან მანქანას მოულოდნელად წინ გადაურბინა ხბომ, რომლის გვერდის აქცევის ცდის დროს მანქანა ამოტრიალდა და ზემოდან დაეცა საწინააღმდეგოდ მომავალ ავტომობილს. მერაბ კოსტავა იქვე გარდაიცვალა, ზურაბ ჭავჭავაძე უგრძნობელ მდგომარეობაშია, ხოლო თ. ჩხეიძეს თავის ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს. (გამოძიება გრძელდებოდა).

როცა მერაბ კოსტავას ცხედარი სახლში ჩამოასვენეს თბილისში, ღამით მე და ნოელი მივედით და ყვავილების კონა მივუტანეთ, წარწერით: „საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულეებისაგან“. ამ უბედურმა შემთხვევამ დათალხა ჩვენი სამშობლოს ხილვით გამოწვეული ბედნიერება.

იონა გუნია

ქ. ბანიო, *3* ნოემბერი *1989* წელი.

*** *** ***

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს ე რ თ ი წ ე რ ი ლ ი

ბატონო გიორგი! ვპასუხობ თქვენს წერილს, გამოგზავნილს ამა წლის *19* სექტემბერს. გულის სიღრმამდე აღწევს სამშობლოს მონატრებული, მამულის ბედ-იღბლისადმი მზერა მიგეზებული თანამემამულის ხმა. ბუნებრივია, რომ განიცდით იმ გაყოფისა და უთანხმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების, ლანძღვისა და ურ„ურთიერთშემკობის“ ამბებს, ეროვნულ-გა-ძის საზოგადოებაში რომ მოხდა. ვისი ბრალია ეს ყოველივე? ვინ არის დამნაშავე? ჩემის აზრით, ჩვენ ყველანი. გაყოფა შეიძლებოდა მომხდარიყო, დაყოფა ერთი საზოგადოებისა ორ ფრთად, ორ ფრაქციად. ეს შეიძლებოდა მოლაპარაკებითაც, ურთიერთის ლანძღვის გარეშე, მაღალი შედეგების მიღწევითა და დიდი ეფექტით. ამგვარი გაყოფა არ იქნებოდა დანაშაული.

განხეთქილების ვაშლი მაშინ ჩამოვარდა, ცოდვას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ერთმა მხარემ საკუთარ ჟურნალში თავის თავს ჯანსაღი უწოდა, საკუთარი თავი ჯანსაღ ეროვნულ ძალად მიიჩნია, რომელიც თითქოსდა არაჯანსაღ ნაწილს გამოეყო. რაც გინდათ უწოდეთ ამას: ტრაბახი, შეურაცხყოფა, გინდაც ცილისწამება, ცხადია, ეს არაფრად ვარგა, ეს უკვე დანაშაულია, რადგან ცამდე მართალიც რომ იყვე (ეს კი მხოლოდ ღმერთმა იცის), ამგვარი განცხადების შერე თავად ხდები მტყუანი და არაჯანსაღი, მთესველი შულლისა, რომლის ნაყოფსაც დღეს უკვე უხვად ვიმკით, რადგან ჭეშმარიტად ქარიშხლის აღმძვრელი ხდება ქარის დამთესველი. უარესი შეიძლება ითქვას გარიცხვაზე. უკვე სხვა ჯგუფში მყოფი, შენ რიცხავ მეორე ჯგუფის გამგეობას. რა არის ეს, თუ არა კომკავშირელობანა, ბოლშევიკობანა, პლუს არასერიოზულობა, უწიფარობა გონისა (ამას მე პირში ვეუბნები ჩემს მეგობრებს), მით უმეტეს, თუ მეორე მხარე თავის უფლებებში რჩება, ოდნავადაც არ ანელებს ფუნქციონირებას. ამგვარი უგუნურების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ხმათა უმრავლესობით საკოორდინაციო ცენტრმა მაინც ჩაიდინა ეს „ბოლშევიკური“, სხვას ვერაფერს დავარქმევ, ქმედება, მოახდინა „წმენდა“, როგორც ამას „ქართული ქრონიკის“ ერთ-ერთი ნომერი აღნიშნავს (დაუკვირდით ტერმინებს).

ყოველივე ეს გახურებული ტვინის მოქმედებაა და სხვა არაფერი. ასე რომ მე ნუ მიგულებთ ლანძღვა-გარიცხვის იმ საქმეში, თქვენს ყურს რომ მოწვდა დასავლეთში და ი. ჭავჭავაძის საზოგადოების (*IV* დასი) საკოორდინაციო ცენტრი რომ აწერს ხელს.

არ ვიცი მომავალში რა გეზით განვითარდება ეს ურთიერთობა. მე ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას.

ახლა კი ცოტა სხვაც. ალბათ გაიგებდით, თუ რა მშფოთვარე იყო წრევანდელი შემოდგომა, ერთობ მსხმოიარე ხალხმრავალი აქციებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტინგებით, დემონსტრაციებითა და მასობრივი შიმშიერობით, უმნიშვნელესი პრობლემებით. ერის ცხოვრებაში აშკარად იგრძნობა აღორძინების ნიშნები, ჯერარნახული ძვრები, რისთვისაც ღაღადებენ მასშტაბები და სიმწვავე ერთკვირიანი მანიფესტაციებისა მთავრობის სასახლესთან.

ბ – ნო გიორგი! ჩემს ბარათს ერთი თხოვნით ვამთავრებ: მაცნობეთ, მართლა შემოთვალეს საქართველოდან ზაქარია ღაშქარაშვილზე, რომ ის უშიშროების კომიტეტის აგენტია და თუ შემოთვალეს, ვინ ჩაიდინა ამგვარი რამ? ღმერთმა ქნას, ეს ჭორი აღმოჩნდეს. ზაქარია ღაშქარაშვილი სუფთა, ალალი და ვაჟკაცი ბიჭია, რასაც არა მარტოოდენ საკუთარი ინტუიცია მალაპარაკებს, არამედ ის წრეც ჭეშმარიტი პოლიტპატიმრებისა, რომელშიც იგი პატიმრობის დროს ტრიალებდა.

ერთსაც დავამატებ. გთხოვთ, თუ გაგაჩნიათ როგორმე გამომიგზავნოთ *70* წლების პირველ ნახევარში საფრანგეთში რუსულიდან ქართულად ნათარგმნი და მანდ დაბეჭდილი ჩემი შრომა, (რომელსაც ხელს არ ვაწერდი) „მოსკოვის დამოკიდებულება საქართველოსადმი“. შრომას ხელს არ ვაწერდი მეგობრების თხოვნით, რათა ვადაზე ადრე არ დავეპატიმრებინეთ. მოძრაობა ხომ მაშინ ახალი დაწყებული იყო და გარეთ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. თუ გაგაჩნიათ, როგორმე მომაწვდინეთ ეგ სტატია*), რადგან ყველა ეგზემპლარი უშიშროებამ წაიღო *1977* წელს ჩვენი დაპატიმრებისას.

წერილს მოკითხვით ვამთავრებ მათ მიმართ, ვისაც თქვენთან, დასავლეთში გული სამშობლოსათვის უძგერს.

გისურვებთ ბედნიერებას, თანამემამულეებთან თანაზიარს, სულიერ მხნეობას და საქმეში შემართებას. დიდის პატივისცემით

თქვენი

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

5 / XII / 1988

*) მხოლოდ წელს მოგვიანებით გავუგზავნე მას ეს სტატია და არ ვიცი მიიღო თუ არა სიცოცხლეში აწ განსვენებულმა. გ.წ.

*** *** ***

ფ ი ქ რ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ი ს ი ა ზ ე

(გაგრძელება „გუშაგი“ №*18* -დან)

განა არ უნდა ენიშნოს დაკვირვებულ კაცს, თუ ვის შესახებ საუბრობდა ძველი სპასელი მოძღვარი ზარატუსტრა /იხ. „ზენდ ავესტა“/,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ამბობდა, რომ შუაღამით იგი ხედავს მზის სულს- „ჯვარა და ზდას /ორმუზდს/, რომელიც მომავალში სამი წლის მანძილზე ივლის დედამიწაზე. მეცნიერებისთვის დღეს სადავო არ არის შუაღამის, ანუ სულიერი მზისა და ქრისტეს იგივეობა. ვინ იარა სამი წელი დედამიწაზე იორდანეზე ნათლისღებიდან ჯვარცმამდე, თუ არა იესოში განკაცებულმა ქრისტემ. სწორედ იორდანეზე, ნათლისღებისას მოხდა ქრისტეს ანუ ღმერთის განკაცება ადამიანში და იოანეს სახარებაც შემთხვევით არ იწერება სიტყვის, ანუ კოსმიური ქრისტეს პირველითგან ყოფნით და იორდანეზე იესოში მისი განკაცებით.

უფრო ადრე, ძველი ინდოელები ვიშვა კარმანს*) უწოდებდნენ კოსმიურ ქრისტეს, ბერძნები კი–ეროსს, რომელიც ღმერთთა შორის პირველი მოიხსენიება ბერძნულ კოსმოგონიაში, ქაოსიდან კოსმოსის შექმნასთან და ბნელის წიაღიდან ნათლის აღმოცენებასთან დაკავშირებით. კოსმოგონიური ეროსი, ეს ის მაღალი ეროსია, რაგვარადაც ესმოდა იგი დიონისე არეოპაგელს /ფსევდოდიონისეს/.

უთუოდ იგივეს ღაღადებს იოანეს სახარების დასაწყისიც, რომელშიც ლაკონიზებულია ბიბლიური კოსმოგონია: „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვაი იგი, ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცერთი რაი იქმნა რაოდენი რაი იქმნა, მის თანა ცხოვრებაი იყო და ცხოვრებაი იგი იყო ნათელ კაცთა და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

განა ბერძნული კოსმოსი და ბიბლიური „ყოველივე მის მიერ შეიქმნა“, ერთი და იგივე არ არის? ერთი და იგივე არ არის ფორმადმქმნელი, ანუ გვართა და სახეთა ჩამომქნელი ცხოვრებაი და უმწყობრო ქაოსისაგან კოსმიური სიმწყობრის აღმომცენებელი ძალა? იგივეა აგრეთვე ბნელის წიაღიდან აღმოცენებული ბიბლიური და ბერძნული კოსმოგონიების ნათელი. (გახსენეთ ინდური პრალაიასა და მანვატარას ანუ კოსმიური დღისა და კოსმიური ღამის მონაცვლეობა. ნუ შეგაკრთობთ, რომ ღამესაც კოსმიური ჰქვია. ქაოსში ხომ ძევს კოსმოსის აღმოცენების, ისე ვით ბიბლიურ ბნელში, ჯერ კიდევ მნათობთა შექმნამდე, კოსმიური შემოქმედებითი სიტყვის: „იქმენინ ნათელის“ დარხევისა და სულიერი ნათლის აღმოცენების აუცილებელი შესაძლებლობა?).

განა დღეს მეცნიერებისათვის სადავოა სიტყვად შერაცხული ღმერთის, სიყვარულის ღმერთის, ცხოვრების ღმერთის, ბნელში აღმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენებული ნათლის და შუაღამის მზის იგივეობა? მხოლოდ ბაღი სოფისტიკის მიმდევრებს შეუძლიათ გაიხადონ საკამათოდ, ბერძნულ კოსმოგონიაში რომ არ არის ხაზგასმული კრეაციონისტული მომენტი (ბერძნულ მითოლოგიის კოსმოგონიაში განგებ არ არის ხაზგასმული კრეაციონისტული მომენტი, რადგან ადამიანი თავად უნდა მისულიყო ერთი ღმერთის, თავად უძრავი ყოვლის მამოძრავებელის, ყოვლის აღმომცენებელი ცხოვრებისეული საწყისისა, ანუ მიზეზის, კოსმიურ სიმწყობრეთა და ფორმათა გამაჯერებელი და გამმიზნავი ბრძენი ხუროთმოძღვრის და ყოვლის შემქმნელი არსების გაგებამდე, რაც თავის მხრივ აზროვნებისა და „მე ცნობიერების“ აღმოცენების საწინდარი გახდებოდა.), **რასაც ბიბლიურ კოსმოგონიაში ჰქონდა ადგილი,** ბიბლიური კოსმოგონიის მსგავსად რომ არ მიუთითებს იგი **„იქმენინ ნათელს“** მთქმელზე, სამყაროს შემოქმედ მამაზე, აგრეთვე აშკარად რომ იხრება იგი პოლითეიზმისკენ. მაგრამ პოლითეისტური მომენტი ხომ ერთობ მონოთეისტურ ბიბლიასაც ახლავს, განსაკუთრებით იქ, სადაც საუბარია ანგელოსთა იერარქიების, ანუ იგივე ღმერთების შექმნაზე და მთელი ბიბლიის მანძილზე ამა სოფლის საქმეებში მათი ჩარევისათვის, თანდათან რომ კლებულობს ადამიანის მე ცნობიერების განვითარებასთან ერთად. ვერა და ვერა! სოფისტიკა ვერ უარყოფს აქ ამ კოსმოგონიების სულიერ წყაროთა იგივეობას, ვერ უარყოფს განკაცებამდელი კოსმიური ქრისტეს მოქმედებას სხვადასხვა დროში სხვადასხვა ხალხთა კულტურებზე, მისი განკაცებისათვის მსოფლიოს ხალხების მოლოდინს. საქართველო ხომ ცენტრში, უჩინარი გლობალური საათის ისრის უძრავ ფუძესთან იმყოფებოდა, ჟამთა მსვლელობაში ხალხების კულტურათა ურთიერთ მონაცვლეობის წრიულმა ხაზმა რომ შემოუარა გარს. თითქოს მარადისობას ნაზიარები უძრაობის სიმაღლიდან ჭვრეტდა იგი ჯერ კოსმიური, ხოლო შემდეგ განკაცებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ზემოქმედებას ამ კულტურებზე, ვინაიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვან კულტურებთან ჰქონია შეხება და გულში იმარხავდა მათგან მომდინარე იმპულსებს. ამადაც მუდამ ენთო დაფარულად კოსმიური ქრისტიანობის ცეცხლი ქართველთა გულებში, ამადაც არა მარტოოდენ საკუთარი წარმართული კულტურა მოარიგეს მათ იმთავითვე ქრისტიანობასთან, არამედ სანამდე ხელი მიეწვდათ, სხვათა კულტურების მორიგებასაც ცდილან მასთან. თავად ხალხმა იმგვარად შეაჯერა ქართული წარმართული მითოლოგია ქრისტიანობასთან, რომ მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითი არცერთი ერის კულტურაში არ გვხვდება. ერთსა-და-იმავე მითში ვხვდებით ქრისტეს, ამირანს, ამ ქართულ პრომეთეს, და ნადირობის წარმართულ ღვთაებას, დალის. წარმართული ხატობები, წარმართი გმირები: კოპალა, იახსარი, გიორგი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქრისტიანობას. ქრისტიანობის სამსახურში ჩადგა ქართული წარმართული ხელოვნების ყველაზე განვითარებული დარგები: ოქრომჭედლობა და ქვისმთლელობა. ამიტომაც გასაკვირი არ არის საქართველოს როლი რენესანსის კულტურის, განსაკუთრებით აღრეული რენესანსის განვითარების ხანაში. (რენესანსის თავური იდეა, ეს გახლავთ სინთეზი ქრისტიანობისა არა ზოგადად წარმართულ, არამედ ყველაზე სრულქმნილ ბერძნულ წარმართულ კულტურასთან, ბიბლიური შინაარსისა და ბერძნული უსრულყოფილები ფორმის სინთეზი.)

გასაკვირი არ არის ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფსევდოდიონისესა და ქართველი რელიგიური მოღვაწის პეტრე იბერის იგივეობა, რაიც ამჟამად მსოფლიოს მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა სცნო. ფსევდოდიონისეს შრომები ხომ იმ ეზოტერული სკოლის სიბრძნის ნაყოფია პავლე მოციქულმა და დიონისე არეოპაგელმა რომ ჩაუყარეს საფუძველი ათენში, იმ სიბრძნისა, ბიბლიური და ანტიური კულტურების შერწყმა რომ განახორციელა, მათი შინაგანი მთლიანობა გამოხატა, მთლიანობა, რომლის ძალამაც დასძლია ამავე კულტურებს წონის ისტორიის ზედაპირზე, ეგზოტერულ პლანში არსებული მწვავე ანტაგონიზმი და რენესანსის ეპოქაში უკვე საჯაროდ ცხადჰყო მათი საბოლოო გაერთიანება.

ანტიური სიბრძნის დიდი მიმდევრები და ქრისტიანობასთან მისი მომრიგებლები იყვნენ ეფრემ მცირე და იოანე პატრიწი; ამდენად დიდია მათი ღვაწლი რენესანსის მსოფლმხედველობის დამკვიდრების საქმეში. შემთხვევითი არ არის საქართველოს როლი ბუდიზმის ქრისტიანობასთან მორიგების საქმეშიც, **„სიბრძნე ბაჰლავარისა“**-ს დასავლეთში გავრცელებასთან დაკავშირებით; გასაკვირი არ არის აგრეთვე აღმოსავლური სიბრძნით გამსჭვალული იგავთა წიგნის, „ქილილა და დამანას“ თარგმანის ქრისტიანიზება სულხან-საბა ორბელიანის მიერ, არც ვერსია ქრისტიანი მეფის ვახტანგ გორგასლანის მანიქეველობისა, არც დავით აღმაშენებლის მუსულმანურ სალოცავში სიარული და ფართე ინტერესი მსოფლიოს ხალხთა კულტურებისადმი, არც ლაშა-გიორგის რინდების სექტასთან ურთიერთობა და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებულ საოცრებას ამ თვალსაზრისით მაინც „ვეფხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისტყაოსანი“ წარმოადგენს. მაშინ, როდესაც ბიზანტიის კეისარმა, ალექსი კომნენმა მხარი დაუჭირა ორთოდოქსალურად განწყობილ სამღვდელოებას და კატეგორიულად აუკრძალა ორ ბრძენ სწავლულს: **მიქაელ პსალოსს და იოანე იტალოსს** აღემაღლებინათ ბიზანტიელთა აზროვნების დონე ქრისტიანობის შეწყვილებით პლატონიზმთან და არისტოტელიზმთან, რასაც ისინი გულდასმით ანხორციელებდნენ თავიანთ თხზულებებში, დაახლოებით იმავ დროს, რუსთაველმა, ქართველი ხალხისათვის ფართე სინთეზი განახორციელა, უფრო გასაგები პოეტური ფორმის საშუალებით. მისი „ვეფხვისტყაოსანი“ ესაა ქართული პოეტური გენიის პრიზმაში გარდატეხილი გასაოცარი სინთეზი ღრმად ნაციონალური, ეროვნული(პლატონი, არისტოტელი, ნეოპლატონიზმი), პირველქრისტიანული და ქრისტიანულ-თეოლოგიური (არეოპაგიტა), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, ევროპის რაინდული, ძველჰინდური (პარალელი „რამაიანას“ სიუჟეტთან), ძველსპარსული (შუაღამის მზე „**ზენდ ავესტაში**“), მანექეური და შედარებით გვიანდელ-მოსავლური კულტურებისა.

კულტურების ამგვარად შეჯერება ურთიერთშორის შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქრისტეს განკაცების, ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომისა და ცად ამაღლების შემდეგ, კაცობრიობის განვითარების იმ გარდამწყვეტი ეტაპის შემდეგ, მსოფლიო კულტურისადმი ადამიანის მიმართების შეცვლა რომ განაპირობა და ამასთან დაკავშირებით ქართველი კაცის სულიერ ცხოვრებასაც ღრმა კვალი დაამჩნია. ვინაიდან იესო ქრისტემ თავი დასდო არა რომელიმე ერისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის და გოლგოთის მისტერიაც კაცობრიობისათვის აღასრულა, შესაძლებელი გახდა კოსმიური ქრისტეს ზემოქმედების განკვრეტა მის განკაცებამდელ კულტურებზე, მათი ნაციონალური იზოლირებიდან გამოთავისუფლება. უზენაესი გაგებით ქრისტიანული კულტურა კულტურათა სინთეზის კულტურაა, კულტურის გლობალურობის საწინდარი.

საქართველო თავისი სიღრმისეული არსით იყო და არის კულტურათა სინთეზის კლასიკური ქვეყანა. და თუ ამ თვალსაზრისით როდესმე ბოლომდე ვერ გამოავლინა მან თავისი სულიერი შესაძლებლობა, მხოლოდ იმიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის თურქთაგან იავარქმნის შემდეგ, ანტიკულტურულ გარემოცვაში აღმოჩნდა ეულად შთენილი და ევროპისაგან მოწყვეტილი, რომლის გრანდიოზული, გლობალური მასშტაბების კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ერთმორწმუნე მეზობელი სახელმწიფოების ხანგრძლივ ურთიერთ-ზეგავლენათა შედეგად აღმოცენდა. მაგრამ როგორც კი ახალ ევროპულ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა მიეცა, საქართველო არა უცხო, არამედ თავისსავე საკუთარ სტიქიაში აღმოჩნდა და შესაშური სისწრაფით დაიწყო ოდესღაც მოცდენილის ანაზღაურება.

მიუხედავად ერთობ გამორჩეული კულტურულ-ისტორიული მისიისა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს არც მსოფლიო მნიშვნელობის რელიგია მიუცია კაცობრიობისათვის, არც თეოსოფიურ-თეოლოგიური და ფილოსოფიური სისტემები შეუქმნია ინდოეთის, საბერძნეთის, იტალიისა და გერმანიის, არც მსოფლიო მნიშვნელობის იურისპრუდენცია რომის იმპერიის მსგავსად, არც ლიტერატურისა და ხელოვნების უმთავრესი ჟანრები და ფორმები, არც თანამედროვე მეცნიერული სისტემები. მართლმადიდებლური ლიტურგია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთ-ერთი ბურჯი, ბასილი დიდი ქართველთა მონათესავე ტომის, კაპადოკიის წარმომადგენელი იყო, მაინც ბიზანტიამ მისცა საქართველოს და მთელ რიგ ქვეყნებს, რამეთუ იოანე ოქროპირმა და ბასილი დიდმა ბიზანტიის კულტურის წიაღში, ბერძნულ ენაზე აღმოაცენეს იგი.

ქრისტიანული თეოლოგიის ბურჯის, ფსევდოდიონისეს ქართველობისა გამო არ ვიცი გვაქვს თუ არა უფლება მისი თხზულებები ქართული თეოლოგიის ნიმუშებად შევრაცხოთ, მით უმეტეს, რომ პავლე მოციქულისა და დიონისე არეოპაგელის მიერ ათენში დაარსებული ეზოთერული სკოლის ტრადიციებზე არიან ისინი აღმოცენებული.

უთუოდ დიდი მოაზროვნენი, ანტიური ფილოსოფიის ღრმა მცოდნენი და ქრისტიანული თეოლოგიის ღირსეული მოღვაწენი იყვნენ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, მაგრამ მათ მხოლოდ ქართული ფილოსოფიური სკოლისა და აღრეული რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენლები შეიძლება ვუწოდოთ და არა მსოფლიო მნიშვნელობის თეოლოგიურ-სქოლასტიკური და ფილოსოფიური სისტემების შემქმნელები.

რაც შეეხება პოეზიას და ისტორიულ მწერლობას, აქ კი უდავოდ გვყავს გიგანტები მსოფლიო კულტურისა. ამ ჟანრებში შეისხა ეროვნულმა გენიამ არწივის ფრთები, რაიც რამდენადმე საქართველოს ისტორიულმა მისიამ, მისმა ისტორიამ განაპირობა. ვის უნდა გაეჩნდეს ბრწყინვალე ისტორიული მწერლობა და პოეზია, თუ არა უამრავ გმირთა და მოწამეთა სამშობლოს, განცვიფრებისა და აღფრთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანების ამ ჯეშმარიტ კერას, სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და ისტორიულ სასწაულთა კლასიკურ ქვეყანას?!

მიუხედავად ამისა, ჩვენი პოეზიისა და ისტორიული მწერლობის შეღასებისას, შესაძლოა გვითხრან: „ქართველი ერის მაღალ კულტურაში ეკვი არ გვეპარება. ამის დასადასტურებლად ისიც იკმარებდა, საკუთარი დამწერლობა რომ გაგაჩნიათ, რაიც მხოლოდ ერთეულ ეროვნებათა ხვედრია. მართალია, დიდებულია თქვენი პოეზია და ისტორიული მწერლობა, მაგრამ თქვენ არა ხართ პიონერები არც ამ, არც ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ჟანრებისა. მაინც რაში ყოფილხართ პიონერები, რა შესძინეთ სხვებისგან დამოუკიდებლად მსოფლიო კულტურას?“

ვუპასუხებთ, რომ ვინმესგან დამოუკიდებლად არაფერი იქმნება და ამგვარი რამ მხოლოდ სამყაროს შემოქმედს შეიძლება მივაწეროთ. არც ახლადმიჩნეული სისტემები და მიმართულებები იქმნებიან ძველისგან დამოუკიდებლად, თუმცა მათი შემქმნელები სამართლიანად იმკვიდრებენ ფუძემდებლის სახელს. მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში დიახაც პიონერები ყოფილვართ, მაგრამ აქვე ერთ პარადოქსულ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი. ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც მედიცინაა, უხსოვარ დროში საქართველომ შესძინა მსოფლიო ხალხებს /მედიცინა კოლხეთის მეფის ასულის, მედეას სახელთანაა დაკავშირებული /, მაგრამ თანამედროვე მედიცინის მეცნიერულ მიღწევებს ევროპამ გვაზიარა. მეტალურგიაც ხალიბთა ქართველმა ტომმა შესძინა მსოფლიოს, მაგრამ თანამედროვე მეტალურგიის მიღწევებიც ევროპიდან შემოვიდა ჩვენში რუსეთის გზით. მრავალხმიანი მუსიკის უძველეს კერებად საქართველო და ირლანდიაა შერაცხული; თანამედროვე მუსიკის მსოფლიოში აღიარებული ჟანრები და ფორმები კი ისევ ევროპამ შეგვძინა. რაშიც პიონერები ვიყავით შეგირდები გავხდით, რაც სხვებისგან საფუძვლიანად ავითვისეთ, ჯერჯერობით იმდენად ვერ განვავითარეთ, რომ მასწავლებლები შეგირდებად გვექცია. რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? მართლაც არა ქმედითი, არამედ ჭვრეტითი ელემენტია ძირეული მახასათებელი ქართული კულტურისა, სხვათა კულტურების თუნდაც საფუძვლიანი ათვისებისა და სინთეზის იქით რომ არ მიღის, როგორც ამას ქართული სიტყვის ჯადოქარი, კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში? ხომ თვალნათლივ ხედავდა იგი იმჟამად, რომ ჩვენსავე წიაღში აღმოცენებული იდე-

ებით, სისტემებითა და ფორმებით იმდენად ვერ ვიმოქმედეთ სხვა ხალხებზე, რომ მეთაურ ერთა შორის შეეერაცხეთ. მაგრამ ეს მიზეზი ქართული კულტურის მახასიათებლად მაინც ვერ გამოდგება. საქართველოს მუდამ შეეძლო კულტურათა საფუძვლიანი ათვისებისა და სინთეზის ეტაპიდან მარადაჟურ, სხვებზე ზემომქმედ საწყისამდე აღზევება, რისთვისაც მისი ხანმოკლე მშვიდობიან პერიოდთა მიღწევები ღაღადებენ. ამისათვის უფრო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება იყო საჭირო, იმჟამინდელ გარემოცვაში ყოვლად წარმოუდგენელი. ჩვენ ჯერჯერობით ვერ შეექმენით და ვერც შეექმნიდით, თუნდაც ძველნდურის, ძველბერძნულის თუ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის შესადარ კულტურას, სხვა ხალხებს ნიადაგ პირზე რომ აკერიათ, ვერ შეექმნიდით, რადგან საუკუნეების მანძილზე კი არ ვითვისებდით მხოლოდ, არამედ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, რამდენადმე განვსაზღვრამდით კიდეც უზარმაზარ დროსა და სივრცეში მსოფლიო კულტურის თანმიმდევრულ განვითარებას. მთელის ძალით რომ დაგვეთო კულტურის ცეცხლი, სადღაც უნდა ჩავმქრალიყავით კიდეც; ან გადავშენდებოდით ან კონსერვაციის ჟანგი მოგვედებოდა. მაშინ საქართველო თავს ვერ იდებდა იმ უხანგრძლივესსა და უმძიმეს, ერთი დასრულებული კულტურის შექმნაზე უფრო რთულსა და მნიშვნელოვან მისიას, განგების შორეულ მიზნებთან წილნაყრობით შორს რომ სცილდებოდა ნაციონალურ ფარგლებს. მსოფლიოს ერთ-ერთი თაური კულტურის შესაქმნელად დროც არ დაგვიტოვა განგებამ, ხელიდან ხმლის გაშვებისა და სულის მთქმის საშუალებაც არ მოგვცა და სწორედ იმიტომ, რომ ქმედება ჩვენი იყო მომართული ჩვენი ღირსების, სარწმუნოების, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და არა სხვათა ხელსაყოფად, იმიტომ რომ ჩვენი ბუნებით ვაჟკაცი ხალხისთვის, უცხო იყო ნადავლითა და ნაალაფარით ტკბობა, იმიტომ რომ სიკვდილისათვის მუდამ თვალებში მაცქერალნი, მსოფლიოს ხალხთა კულტურებიდან ვარჩევდით უფრო წარუდინებელსა და სულის შემძვრელს, ვიდრე ობიექტს ტკბობისა, რის გამიც კულტურათა საფუძვლიანი გათავისება კულტურით ტკბობაში არ გადაგვყავდა; ამიტომაც მიუხედავად ძალების არნახული ხარჯვისა, ხელუხლებლად შემოვინახეთ ეროვნული სამშვინველის ენერგია, სიბერისა და ახალგაზრდობის ლოგიკა დავარღვიეთ და სიკვდილის ძლევის გამოცდილებით მიღწეული სიცოცხლისუნარიანობისა და ჯანსაღი იუმორის მეოხებით დაგვირგვინების საშუალება არ მივეცით იმ ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელიას, საქართველოს ისტორია რომ ეწოდება. უკეთესი დროებისა-
ვის, უკვე არსებული გლობალური კულტურის ასათვისებლად, შემოკა-
ნახეთ ჩვენი ეროვნული ენერგია, რადგან მხოლოდ გლობალური კუ-
ლტურა გამორიცხავს კულტურის კონსერვაციისა და შემოქმედებით
ძალთა დაშრეტის საშიშროებას, მისთვის უცხოა იზოლირებიდან გა-
მომდინარე გასხვისება. სწორედ მსოფლიო კულტურის ახალმა გლობა-
ლურმა მასშტაბებმა გაავლეს ზღვარი საქართველოს აღრეულ, ფარულ
და სავსებით ახალ მისიას შორის, რომელიც მან ცნობიერად უნდა
იდოს თავს, და ის ენერგია, ანტიკულტურულ ძალთა შეკავებას რომ
ახმარდა, სხვა მიზნებისაკენ წარმართოს.

საქართველო უნდა იქცეს დიდ მისაბაძ ერად, მსოფლიო კულტუ-
რის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მოთავედ, მაღალი იდეების,
ფორმებისა და სისტემების შემქმნელად და მიმტანად მსოფლიო ხალ-
ხების წმინდა საკურთხეველზე. ამის გარანტიას იძლევა იმ ენერგიის
მასშტაბები, იმ შინაგანი ცეცხლის ძალა, თავისი ფარული ისტორი-
ული მისიის განხორციელებას რომ ახმარდა იგი. ეს ძალა უდავოდ
იმ გლობალური მისიის შესატყვისია, თუკი შეიძლება ასე განისაზღ-
ვროს დამანგრეველი ძალების შემაკავებელი ენერგია. ამგვარი ენერ-
გია კი ჭეშმარიტი საფუძველია შემოქმედებითი და ცნობიერი ცხო-
ვრების დამკვიდრებისა. სწორედ ქართ. ხალხის ყველაზე ცნობასრუ-
ლი ინდივიდუალობების გონებაში უნდა დამკვიდრდეს იდეა საქარ-
თველოს დიდ და მისაბაძ ეროვნებად ქცევისა. მათზეა დამოკიდებუ-
ლი ჩვენი ხალხის მიერ მისი მართებულად გაგება და ცხოვრებაში
რეალიზება.

დიდ ერად ქცევა როდი ნიშნავს ეთიკური ნორმების დარღვევას,
როდი ნიშნავს გული გვეთქმოდეს სხვისი მიწისა და ქონებისათვის.
ჩვენი ეროვნული ენერგია, თუნდაც ქვეცნობიერად, სხვათა კეთილ-
დღეობისთვისაც მოგვიხმარია და ამიტომ დაუშვებელია ქართველმა
ხალხმა თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს. ამგვარ ბე-
დნიერება ქართველისათვის ბედნიერება არ იქნება, მაგრამ თავისი
სანუკვარი მიზნის განხორციელებას იგი ეცდება და ყველას გზას
დაუღოცავს, ვინც თავისი ბედნიერებისა და ძლიერების სასახლეს
სხვების დაუზიანებლად ააგებს.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

*) ეს სიტყვა არ იკითხება ორიგინალის იმ ფოტო-ასლში, რომლი-
თაც ვსარგებლობთ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ო ე ზ ი ა ს ა კ ვ ე ბ ი ა ს უ ლ ი ს ა

9 ა პ რ ი ლ ი

კვნესოდნენ ძველი ქუჩები
ტანკებით დაღეჭილები,
ტანკებში რუხი დინგები
მძულვარედ დაღმეჭილები,
ჯარები ხალხთან საომრად
იარაღანასხამები,
სახეში შეშხეფებული
სულისმხუთავი შხამები,
თავების დასაჩეჩქვავად
ხელკეტები და ფარები,
ქვეყნის ლაჩარი მთავრობა
იმ ფარებს მონაფარები,
სანგრის სათხრელი ბარები
საკლავად აღესილები,
მხეცები ადამიანზე,
მის სისხლზე დაგეშილები;
საბჭოთა ჯარისკაცები
საფლეტად გალეშილები,
მუშტის ამარა ბიჭები
უწყალოდ დაჩეხილები,
თავისუფლების ბარტყები,
ახალი დაფრენილები,
უგნურად არა ფრთხილები,
ახლახან ფრთაგაშლილები,
ჩვენი მოხუცი ქალები,
ჩვენი უმწეო შვილები,
მეხდაცემული დედები,
თვალგამშრალ – თმაგაშლილები,
მამები ცოცხლად გვამები,
ბოღმით პირჩათეთქვილები...

***

გავა დრო აღარ იქნება
არაკაცების ბანაკი,
ვეღარ გაწვდება ყველა ხალხს
კაცისმკვლელების მარაგი,
დახსნილ სამშობლოს მთებიდან
წყალს ჩამოუტანს არაგვი,
ყოველ წელს, ყოველ ცხრა აპრილს
მკვდრეთით აღდგება არაკი
ითქმება ცეკვა–სიმღერით
როგორ დაიკლა ზვარაკი,
გამოვლენ მათი სულები
გაწმენდილ–განანათლები,
იმ დამის ამბავს იტყვიან
ღმერთთან და კაცთან მართლები,
ლოცვად დადგება ქართველი,
ილიცლიცებენ სანთლები.

***

მ ო მ ხ დ უ რ ი ს ...

მომხდურის ქცევა არ მიკვირს, უჯიშო ნაბიჭვარია;
მაგრამ ვინც ხალხის საფლეტად დამპყრობის ჯარი გარია,
ის რუსთა ჩექმის საწმენდი ფურთხით დასვრილი ჩვარია!

რ უ ს ლ ა ნ მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე

[გაზ. „ერთიანი საქართველო“, ორგანო წმ. ი. მართლის და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლიანი კვირა

ჩაჩქანიანი ჯარისკაცები,
ხელკეტიანი ბრბო,
ანგელოზების ნიჩბებით ხოცვა,
ეს რა დაგვიდგა დრო.
სიმართლეს იტყვი, ვეღარ გიშველის
ვერც გაფრენილი რაში.
ნეტავი გამაგებინა
დამნაშავე ვართ რაში?!
ან ასე რად გასწირა
ქართველი ერი ზენამ,
ისეთი ცოდვა მოხდა,
ვეღარ გაუწყოთ ენამ.

გლოვობს ქართველი ერი,
რადგან მსხვერპლია ბევრი,
ვაგლახ! ჩვენ- თავზე ცხრაში
დაგვიტრიალეს კვერი.
გვლეწეს და გვჩეხეს ისე,
ვით შახაბაზის დროში,
დაჭრილთა კვნესის ხმები
ნიავს მიჰქონდა გორში.
ნეტავი რისთვის დაგვიდგა
ეს უბედური წელი,
იქნება ნაადრევია:
„ხმალზე რომ ვიკრათ ხელი?“

9.IV. 89.

ანგელოზების ქლეტა

ცა დაიბურა შავი ღრუბლებით, გამეფდა ბინდი,
ძირს ზღვა ბობოქრობს, ემატება ტალღებს ტალღები,
სასახლის ბაღში ფერხულია: სმგა და სინდი,
ცეკვებით, როკვით სურთ ჩაიკლან თვისი დარდები.
მწუხრი ჩამოწვა, აკიაფდნენ ცაზე ვარსკვლავნი,
მთვარე გვიანობს, ამალასთან ერთად ვერ ვხედავთ.
და მის სანაცვლოდ აბრიალდნენ თაფლის სანთლები.
ირგვლივ სიჩუმე შემაზრზენი, სუნთქვას ვერ ვბედავთ.
„მოდის სატანა“, „დაიცავით სრული სიჩუმე“
და მეფისტოფელს კიდევ სურდა ბევრი რამ ეთქვა,
წმინდა სანთლებით განათებულ სასახლის ბაღში,
მათ საპასუხოდ წამოვიდა სიკვდილის სეტყვა...
და როცა მთვარე გამობრძანდა საბრძანებელში,
მაშინ შეიტყო, ზეიმობდა უკვე სატანა,
ანგელოზები ფრთებდაჭრილნი ეყარენ ბაღში,
მხოლოდ ჯალათებს თუ შეეძლოთ ამის ატანა.

ორშაბათი, *10.IV. 89*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერით სიკვდილი

მოდიან მწყობრით, მოდიან ხმაურით,
წინაფარებული ფარებით.
ნეტავი ვის ეომებიან
ხელში ორლესულა ბარებით?

მღეროდნენ „შავო მერცხალოს“,
აცეკვდა ათასი გოგონა.
ესროდენ, არავის სჯეროდა,
ეს ყველას სპექტაკლი ეგონა.

და მოშიმშილე ქალები
ფეხზე რომ ვეღარ დგებოდნენ,
მგზნებარე სულის პატრონნი
სიკვდილს სიმღერით ხვდებოდნენ.

გაოგნებული ჯალათი
ბრაზისგან გულზე სკდებოდა:
ქართველი ვერ დააჩოქა,
ყველა სიმღერით კვდებოდა.

***

გ ა ი ღ ვ ი ძ ე

გაიღვიძე ჩემო ტკბილო საქართველოვ!
გაიღვიძე, მტერს მიაგე ჯერი;
გაიღვიძე, თორემ ამდენ ძოლში,
ჩამოგენგრა თავზე ბინის ჭერი.
გამოფხიზლდი თორემ შენს ქვეყანას
შეესია უცხო ჯურის ხალხი,
მასპინძელი სტუმრად გადაიქეცი,
ხედავ, როგორ მოგახვიეს თალხი.
ღვთისმშობელის წილნაყარი ქვეყანა,
ასე რიგად ყველას რომ იზიდავს,
გაიღვიძე თორემ გოლგოთაზე
კვლავ მოგიწევს მძიმე ჯვარის ზიდვა.
მუმლი მუხას ისე შემოჭდობია,
უკვე მოსჩანს სისხლიანი კვალი.
მაშ, სიმართლის საძიებლად შეერთდით
საქართველოს კაცი, ბავშვი, ქალი.

***

მ უ ქ ი ა ჩ რ დ ი ლ ი

ცისფერ აპრილს შავი ჩადრი, შავი კაბა აცვია,
ყველას ერთი სევდა ჰკლავს, ქალია თუ კაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოდინში, როდის მოვა ქრისტიანთა მესია,
საქართველოს დედაქალაქს მტერი შემოესია,
მტრად მოსული იცოდეთ, „მეგობარი“ რუსია,
„უმცროსს“ ძმის დასაჩაგრად, ნეტავ ვინ მოგვისია?!
ძღვნად მოგვართვეს ბასრი ხმალი, საწამლავი და ტყვია,
მათი ნამოქმედარი სასახლის ბაღს ატყვია.
როცა უმანკო სისხლით მოისვარეს ხელები,
იმავ ღამეს გაფრინდნენ ინოპლანეტელები.

*

რაც ჩვენია – ჩვენია

ჩემს პატარა საქართველოს
წმინდა წყალი სწყურია,
მაგრამ წყაროს სდარაჯობს
ბრაზიანი მურია.

დავირაზმოთ, გამოვნახოთ
გზა სიკეთის მჩენია,
დაე, ყველამ შეიტყოს:
რაც ჩვენია – ჩვენია.

თინა ჩიქოვანი*)

*) ქალბატონი თინა ალექსანდრეს ასული ჩიქოვანი გახლავთ იმ ლექსების ავტორიც, რომლებიც გამოქვეყნდენ გუშაგის *17* და *18* ნომრებში, პირველში „თ. ჩივანი“ --ს და მეორეში „თინა ჩიანი“-ს ფსევდონიმით. **რედ.**

*** *** ***

სამშობლო

შორსა ვარ შენგან ზღაპრულ მანძილით,
აქედან გეტრფი, გეალერსები;
შენდამი მეტს ვგრძნობ, მეტად მიყვარხარ,
ვიდრე მეტყველებს ჩემი ლექსები.

<>

სევდით ვიგონებ ბავშვობის დღეებს,
როცა ვხაროდი შენს თბილს უბეში,
მახსოვს ჩვენ ხალხის წრფელი ალერსი
და დედაჩემის ტკბილი ნუგეში.

<>

შენთან ყოფნის დროს გამოცდა მაკლდა,
სრულად ვერ ვგრძნობდი შენს ფასს–ღირსებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთს მივხვდი შენს სიდიადეს,
სუსტი თვალები ცრემლით მევსება.

<>

ვინც დიდხანს, წლობით სამშობლოს მოსწყდა,
გაშორდა ოჯახს, ეროვნულ კერას,
ყველა გაიგებს ჩემს მწარე განცდებს
და განუწყვეტელ ნაზ გულისძგერას.

<>

ვნატრობ, ვლოცულობ, ღმერთს ვევედრები:
ჩვენ ნორჩ თაობას სხვა დრო ჰქონოდეს,
თავის პატრონი თითონვე იყოს,
აღარ იტანჯოს, აღარ დაღონდეს.

*** ***

ჰე სამყარო რა დიდი ხარ

ჰე სამყარო რა დიდი ხარ,
რა ვრცელი და ფართო,
შენმა სიღრმემ იდუმალი
გრძნობა კაცში ჩართო.

<>

სად იწყები, სად თავდები,
როგორ ჩაგწვდეთ ფსკერში,
სად ვეძებოთ ეს სიცოცხლე,
რომელ პირველ თესლში.

<>

უთვალავ მზის ოჯახებზედ
ძლიერ ცოტა ითქვა,
ბილიონი გრძელი წლები
შენს ძირში შთაინთქა.

<>

რა წესები გამოძრავებს,
როგორ ბრუნავ, საით?
ვერაფერი ვერ გაგიგეთ,
უსუსურ ბავშვსავით.

<>

კაცი ცნობისმოყვარეა,
სურს იცოდეს გარე:
შორს ბრწყინვალე გალაქსები,
ახლოს მარსი, მთვარე.

<>

დრო მოწმეა შენს წარსულის,
რა იყავი, რა ხარ,
რა ძალა და სიკვრივე გაქვს,
როგორ ღერძზე დგახარ.

<>

კიდევ დრო გვაქვს ნათელი ვყოთ,
რა ზე ძალა გარწობს,
თუ ვერ მიგწვდით, ვერ მიგიხვდით,
ღმერთი თითონ გვამცნობს.

ეორეიკა ფამალიშვილი
ბერლინი, *1941* წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იქნებოდა, ბოროტებას არ გაერანდა
ფარული ფიქრი – გმირთა მესსია!
მე ვხედავ: როგორ დაიცხრილა დაფნის ვერანდა...
ეს შხამზე უფრო უშხამესია.

<>

თავისუფლებავ, – ნუთუ ბედმა პირი იბრუნა?
ვეყო, რაც გულში წვალებით მები,
შენ შეგეწირა ოცნებათა თეთრი ტრიბუნა –
ის მეამბოხე და ურჩი ძმები.

<>

წინ ბრძოლებია მედგარი და ფიცი კაჟური.
თუ დარჩენილა მის მეტი რაღა...
ჯერ არ გამქრალა სასოება – მზის აბაჟური,
სისხლიან დროშებს იკონებს პრაღა!

1969 წელი.

***

გითვლიან წყევლას

რამდენი მახსოვს უამური მზეები, ტრავმა
და ახლაც გულში მიდუღს ტროპიკი;
ხოლო მამაცი ლექსის სტროფი კი
გამიხსნა ექომ მე – ღაღმა და ელვანაკრავმა.

<>

ეგ თქვენი ძუძუ უყმურებს და ბაღლამს იწველის,
ო, როგორ გათრობთ ბნელეთის რაზმნო
ხალხთა დაპყრობა ასე უსაზმნო
და სიძულვილი როგორც ახლის, ისე სიძველის.

<>

გითვლიან წყევლას, მონარქია! ყველა შენობა
ინგრევა, რაღას უნდა მივარდე,
როცა იმედის სიყოჩივარდე
ეღავს, ვით აზრის და სამშობლოს **სუვერენობა.**

1979 წელი

ისრაელელი თანამემამულე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ა მ თ ა რ ი

გამხმარ ტოტზე
მობუზულა ჩიორა,
ისე კრძალვით
მარტოობას ჩიოდა.

მივეპარე,
მოვეფერე, წიოდა.
გამხმარ ტოტზე
ჩამოთოვა, ციოდა.

*

სიყვარულმა ამოხეთქა

სიყვარულმა ამოხეთქა საუცხოო ძალით!
მომეხვია სურნელება ნაძვის ისე კრძალვით.

შრიალობენ, ბუტბუტებენ კენწერონი მაღლით,
ხეივანში ვიწრო ბილიკს ბორიალი დაღლის.

ამიტაცებს სიმღერათა არნახული წყება,
ტუჩებს სიტყვათ ფორიაქი დაუდევრად წყდება...

გამახევა გაზაფხულმა. თურმე ასეც ხდება;
აშოლტილი ანცი გოგო უცხო გრძნობას ხვდება...

და ღლაბუცი ოცნებათა უკაცრიელ ბგერად
ახმიანდა უცნაურად, როგორც გულის ძგერა.

ფოთოლთ უცხო სითამამე ახმაურდა მაღლით,
ხეივანში ვიწრო ბილიკს ბორიალი დაღლის...

***

მ ო ქ ა ნ დ ა კ ე ს

ო, რარიგ სუფთა იყო ზეცა
მაშინ, აღმართზე...
მე ისევ ნაზად გკოცნი მხრებზე
ისევ აღმამზერს.
შენ ჩემი როკვა გაგაოცებს,
როს დაზაფრული
ავიტოტები მიწის მკერდზე,
ვით გაზაფხული.
და გარიჟრაჟი ჩემი მოსვლით
ფიქრებში დნება
და თიხა შენი გულმოსული
შეიწოვს ვნებას
და მოვა ჩვენი გაზაფხული
გადარეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის ქარებით გადაღლილი,
ჩვენით ძღეული,
შენს ხსოვნას, შენსას, ჩაალაგებ
ზღაპრულ გუდაში
და წახვალ მგზავრად ოცნებათა
ა ბ ლ ა ბ უ დ ა შ ი...

მარინე ხუციშვილი

*** *** ***

ს ურ ა თ ი

ჩემს ოთახში სურათი მაქვს,
მსგავსი ფშავის ბუნებისა,
საიქიოს მიმავალის
უკან შემომბრუნებლისა.
ეს სურათი მაგიდის წინ
ფანჯარასთან მიკიდია,
შიგ შუაფხოს არაგვს ვხედავ,
ზედ პატარა ხის ხიდია.
მისი შხეფი შუბლს მიგრილებს,
შხუილით ვცნობ მე ამ წყალსა,
არაგვის წყლის წყურვილს მიკლავს,
აქაურზე განამწყრალსა!
ამ სურათიდან „ის" მთები
თვალწინ მიდგანან სრულადა,
ჩემი ბავშვობა იქ დარჩა,
ვიხსენებ გულმოკლულადა.
სამშობლოს ველარ ვიხილავ,
ბედმა დამტოვა კრულადა,
ეს ლექსი მაინც შემორჩეს
სიცოცხლის დასასრულადა.

*

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა

ანტიკური ხანის ავტორს, ბერძენ ხარას პერგამელსა
დავესესხოთ ცნობას ძველსა, ინტერესით გასამხელსა –
ქართველები დასაწერად იყენებდნენ ტყავებს ხმელსა,
ოქროს ასოებით სწერდნენ ზედ სიბრძნეს თუ განსაცდელსა.

მესამე საუკუნეში, ჩვენს წელთაღრიცხვის წინარე,
ფარნავაზ მეფემ დააწკნო ჩვენი „ანბანის მდინარე",
კლდის წყაროსავით ჩუხჩუხა–მძივებად გადმომდინარე,
ლხინში ბულბულის ხმიანი, ომში ლომივით მძვინვარე.

ორი ათას ექვსასი წლის მისალმისით თარიღდები,
გზას მახვილით მოიკაფავ, მოდიხარ და არ იღლები,
გებრძვიან და არა კრთები, გტეხავენ და არა ტყდები,
რომ ჰგონიათ უკვე მოგსპეს, მაშინ ამოღორძინდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელბელობის ქარშლებში დროშასავით ფრიალდებ
როცა ჯაფას გაყენებენ სახნისივით პრიალდები,
რაც დრო გადის ლამაზდები, უკეთ ამოხმიანდები,
სამშვიდობოს გასული ხარ, ნუღარ დადარდიანდებ!

ხალხი უწოდებს ოდითგან–მეტალის გამდიდრებასა–
მინარევთაგან განწმენდას, ხალასად დაყენებასა;
ქართულს ნუ დავუმორჩილებთ არაქართველთა ნებასა,
გააშავკრელებს, დაჯაბნის, ენას მოუტანს ვნებასა!

ნოშრევან გალაშვილი

*** *** ***

კ ო წ ი ა ჟ ღ ე ნ ტ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

თავს დაგესხენ კოწია,
შემოგერტყნენ, ვით ზოდი,
ქვაციხეში ჩამჯდარი,
მთელი ღამე იბრძოდი.

მარტოდ მარტო დარჩენილს
ცოლის, გოგოს ამარა,
დამხმარე არვინ არი,
არც შვილი, არც ჩაფარი.
აზნაურო კოწია,
ეს რა დღე მოგეწია,

შემოგიჩნდნენ ორპირნი,
მე შენს წახდენას ვტირი.
დაგიშინეს ვაზნები,
ფლიდობით გაგიტყუეს:
გარეთ გამო, ტყვია გკრეს,
ვაჟკაცი დაგამიწეს.

წახდა შენი უღვაში,
შენი ქამარ-ხანჯალი;
გაიხარებს უნასი;
მოგკლეს კაცი ხალასი.

<>

კ ე რ პ ი ს ღ ა მ ხ ო ბ ა

ბაყბაყ დევის კერპი მოხსნეს,
დღეს ოცნება ამისრულდა.
კაცი კიდევ დაფასდება,
უკუღმართი არ შესრულდა.

ვინც რომ ძმების სისხლი ღვარა,
ის კაენი არ ცხონდება,
ობლის კვერი გვიან მაგრამ,
უსათუოდ გამოცხვება.

ირაკლი ოთხმეზური

ტუღუს გოჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიათურაში ჩვენ გვყავდა ერთი მხნე და გამრჯე მშრომელი კაცი. მისი ხელობა იყო ღუმლის გაკეთება-შეკეთება. მთელი დღე მუშაობდა და ბოლოს, რასაც მოიგებდა, საღამოს ღვინოში ხარჯავდა. ეს იყო მისი დიდი ნაკლი და საწყალი კიდეც გადაყვა მას.

მისი სახელი და გვარი ახლა აღარ მახსოვს, მაგრამ, შეიძლება, არც იყოს საჭირო, რადგანაც მას ყველა უძახოდა: **ტუღუს** გოჯს. ტუღუს გოჯს, რადგან თვითონ როცა დათვრებოდა, და ეს ხდებოდა თითქმის ყოველ დღეს, ყველას უძახდა: „ტუღუს გოჯო“-ს. მას ქონდა ერთგვარი ზნეობრივი მსოფლმხედველობა და ამით ზომავდა შეხვედრილებს. მიუმღერებდა: „შენ შავი ხარ ტუღუს გოჯო“, თუ ვინმე არ მოსწონდა, „შენ თეთრი ხარ ტუღუს გოჯი“, ეს ვისაც პატივს სცემდა. აგრეთვე ჰქონდა ცხოვრებაზე თავისი საკუთარი შეხედულება და როცა გადაკრული იყო მიიმღეროდა: „ეს ქვეყანა არღანია, იქეთ აქეთ მიდის მოდის“ (სხვათა შორის, როცა მერე აქ, ემიგრაციაში მეცნიერების აზრს გავეცანი ქვეყნის წარმოშობაზე და „ბინგ-ბანგზე“ და მის განვრცობაზე, გამახსენდა „ტუღუს გოჯი“, რა ახლოს ყოფილა მისი შეხედულება „მიდის-მოდის“ ახალ გაგებასთან ფიზიკაში.).

მას კიდევ ქონდა ერთი დიდი ღირსება: იცოდა საღამურზე საუცხოოდ დაკვრა და საღამოს ხშირად ვუცდიდი, რომ მომესმინა მისი საღამური, როცა ის გადაკრული სახლში ბრუნდებოდა, რადგან არ იდგა ჩვენიდან შორს.

ერთ დღეს ასე გადაკრული შეხვედრია ჰიათურის მილიციის უფროსს და მიუმღერა თურმე: „შენ შავი ხარ ტუღუს გოჯი“. კომისარს მისი ასეთი შეფასება არ მოწონებია, ამოიღო რევოლვერი, დაახალა და იქვე შუა გზაზე გაგორა.

ზედმეტია იმის თქმა, თუ როგორ შემაწუხა მისმა სიკვდილმა! ბოლომ ამ პატარა კაცისა, პატარა კაცისა, მაგრამ ვინ არ იყო მაშინ პატარა კაცი ჩვენში, რომლის სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა, რომელთა სიცოცხლე უმიზნოთ და უმიზეზოთ ისპობოდა, მსხვერპლად უგვნურთა სისასტიკისა.

ადამიანის სიცოცხლე არის ყველაზე უძვირფასესი, რაც დაცული უნდა იყოს. ამბობენ, ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან ჩვენში *400.000* ქართველი დაიღუპაო. პირდაპირ წარმოუდგენელია! ორი ათეული მილიონი კაცი კი –საბჭ. კავშირის სხვა ქვეყნებში.

ეს დანაშაულობა დღეს უმთავრესად სტალინს მიეწერება, სინამდვილეში იგი იყო ლენინის მოწაფე და მის აზრთა დამჭერი და განმახორციელებელი. პირდაპირ წარმოუდგენელია, ადამიანთა კეთილდღეობის სახელით, რამდენი სიბოროტე იყო ჩადენილი.

Eric Lauren თავის წიგნში: *Moscou a Wall Street (1988)* გვიამბობს: ერთხელ ლენინთან სამუშაო ოთახში შესულა მაქსიმ გორკი და უკითხავს მისთვის, თუ რაზე მუშაობდა იგი. „მე ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ გავანადგურო კულაკებიო“, იყო ლენინის პასუხი.

ის ორი დიდი დანაშაული, რომელიც ბოლშევიკურ მოძრაობას ახასიათებს არიან: *1)* რომ ლენინური მოძრაობის წევრს აქვს უპირატესობა, საზოგადოების სხვა წევრებზე, *2)* რომ ყოველი მოქალაქე, გლეხი თუ მეწარმე, რომელიც მოხერხებული და შეძლებულია, დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. ამ ნიადაგზე მიღიონობით ადამიანი დაიღუპა და ეს არ იყო სტალინის დაწყებული. ლენინმა ვეღარ მოასწრო, რადგან ადრე გარდაიცვალა, მისმა მიმდევარმა სტალინმა გააგრძელა და განახორციელა იგი. მას შემდეგ რაღაც შეიცვალა, ეტყობა. მაშინ ახალგაზრდა კომსომოლი მიხეილ გორბაჩოვი სტალინის სიკვდილს ცხარე ცრემლებით სტიროდა, დღეს კი იგივე გორბაჩოვი თითქოს სტალინის მსხვერპლთა ძეგლის დადგმასაც აპირებს. ზოგიერთს იმედი ებადება, რომ ეს გაყინული სოციალიზმი ფეხს აიდგამს და დადებით შედეგს გამოიღებს.

ბოლშევიკური მოძრაობა სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად მართალი იყო, რომ საჭირო იყო რუსეთის იმპერიის მმართველობის შეცვლა, მაგრამ მათ ის შეცვალეს უარესით! და ეს იმიტომ, რომ მათ დასაწყისშივე ვერ აირჩიეს ამისათვის უკეთესი გზა.

დღევანდელი მათი დებულება: „სოჯარობა“ ზოგს აეკვებს, რომ მხოლოდ ყურადღების მიქცევის საშუალებად არ დარჩეს და გარდაქმნა – განუხორციელებელი.

ომის შემდეგ ნივთიერად დაქცეული ქვეყნები: გერმანია, იაპონია, სამხრეთ კორეა მოწინავე ქვეყნები გახდნენ (ამერიკის დახმარებით). საჭიროა მათი მეთოდების მიბაძვა. ისინი არიან ცოცხალი მაგალითები ქვეყნის ეკონომიკურად განახლებისა, წინსვლისა და შენებისა. ხდება ძიება ევროპაშიც. ურთიერთ შორის ომს შეჩვეული ერები ცდილობენ შექმნან ერთად შეკავშირებული სუვერენ ერთა ახალი წყობა, ზნეობრივად მაღალი და ნივთიერად შეძლებული.

ამ ახალ ვითარებაში შეიძლება იბადება ახალი იმედები საბჭოთა ქვეყნებისთვისაც, თუ, რა თქმა უნდა, მსოფლიო მშვიდობისმოყვარეებული ახლანდელი კურსი შეუქცევადი გახდა. ჯერ კიდევ დიდი საომარი იარაღითაა მსოფლიო დატვირთული. ერთი ცნობილი ჟურნალისტის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „არასოდეს წინად მშვიდობიანობის დროს ერები არ ყოფილან ასე შეიარაღებულნი, როგორც დღეს". ამიტომაცაა საჭირო დიდი სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა. საბჭოთა არასოდეს ერიდებოდა სამხედრო ძალების ხმარებას იქ, სადაც მათ საჭიროდ მიაჩნდათ. გარეთ ამის ცოცხალი მაგალითებია: გერმანია *53*-ში, უნგრეთი *56*-ში, ჩეხოსლოვაკია *68*-ში, პოლონეთი *1981* წელში, ხოლო შიგნით კი, რასაკვირველია, ხელისუფლება მოძალადეობაზე იყო დამყარებული და შეჩვეული.

უკანასკნელი *9* აპრილის თბილისის ქუჩებში ხელისუფლებიდან ქართველი ხალხის გაზებით მოწამლვა და ხოცვა-ჟლეტვა უცნაურად გვაგონებს „ტუღუს გოკის" ბედს.

ირაკლი ოთხმეზური

*** *** ***

მწვავე კრიტიკა

****

საქართველო: „ბორდელი?"

ამა წლის *7* ნოემბერს, დიდტირაჟიან ყოველკვირეულ ფრანგულ ჟურნალ *Evenement du Jeudi* (ხუთშაბათის მოვლენები) -ის კორესპონდენტი, მორის სზაფრანი (*Maurice Szafran*) თბილისში ყოფილა, სადაც ის უჩვეულო სცენის დამსწრე გამხდარა: „რევოლუციის *72* წლისთავზე დილით ადრე მოზარდთა ბანდები შეეესენ საქართველოს დედაქალაქ თბილისის ქუჩებს, კიბეების გამოყენებით შენობებიდან ჩამოხსნეს ასამდე საბჭოთა დროშები და *18* საათზე ისინი დასწვეს მთავრობის სახლის წინ, სწორედ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელ *9* აპრილს წესრიგის დამცველმა ძალებმა ბარებით დახოცეს კიბეებზე მსხდომი ოციოდე მშვიდობიანი მანიფესტანტი. უზარმაზარი ცეცხლის მხილველი უამრავი ქართველები სიხარულით უკრავდნენ ტაშს და ერთხმად გაიძახოდნენ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს. იქვე, სასახლის მიმდებარე ქუჩებში, განლაგებული მილიცია არავითარ რეაქციას არ ამჟღავნებდაო", წერს გაკვირვებული კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპონდენტი და მას (ბუნებრივია) ახსნა-განმარტებისთვის მიუმართავს, თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის ეროვნოს, პროფესორ გასტონ ბუაჩიძისადმი, რომელიც მას უხსნის: „რამდენიმე თვეში აქ პარლამენტი უნდა აირჩიონ. ოფიციალურად ერთი კომუნისტური პარტიაა მხოლოდ ნებადართული. როგორც ეტყობა, მოსკოს არ სურს, ოპოზიცია ლეგალურად დაუშვას. მაგრამ აქ მოდიან გორბაჩოვის მიერ გამოგზავნილები, რომლებიც გვეუბარებიან, წამოვაყენოთ ჩვენი კანდიდატურები პარტიული სტრუქტურების გარეშე, გვარწმუნებენ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და კომუნისტები აწი იძულებული იქნებიან ჩვენთან ერთად იმთავრობონ. მაპატიეთ, ბორდელია“, ეუბნება ბ–ნი ბუაჩიძე. ეტყობა, ფრანგ ჟურნალისტს ეს უკანასნელი სიტყვები მოსწონებია და სწორედ ისინი გაუხდია მისი კორესპონდენციის სათაურად.

ჩვენ გვგონია, რომ ეს შემთხვევით არ მოსვლია მას და ამ შთაბეჭდილებას გვიძლიერებს სტატიის შემდეგი განვითარება. მ. სხიფრას კორესპონდენციის მიხედვით, ბ–ნი გ. ბუაჩიძე მომხრეა „უმტკივნეულო ევოლუციის“ საბჭოთა სახელმწიფოების კონფედერაციაში, რომელიც პირველ ხანს მაინც შეცვლის ახლანდელ ფედერაციას. „ესაა ერთადერთი გონიერი გამოსავალი“, ამბობს ის და აგრძელებს: „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ გამომყვებიან. ახლა უკიდურესებს აქვთ ზურგქარი.“ უკიდურესები როდი კმაყოფილდებიან იძახონ: „დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ!“, ზოგიერთ მათგანმა იპოვეს – ხელახლა იპოვეს? – მათი კერპი: სტალინი! ახლახან უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა სადღეგრძელოში სტუდენტებს წარმატება უსურვა და სტალინით გაათავა, ამბობს ერთი მონაწილე, „ჩვენ ზოგიერთებმა უარი ვთქვით ჩვენი ჭიქის აწევაზეო“.

მ. სხიფრანის მიხედვით, ბუაჩიძე საშინლად შეწუხდა ამ ამბის მოსმენით, მაგრამ არ გაკვირვებია: „ძალიან ბევრი ქართველი უგრძნობლად ეკიდება მას, რასაც ამბობენ და წერენ სტალინზეო“.

„მართალია, აგრძელებს ჟურნალისტი, უკიდურესი ნაციონალისტები არავის და არაფერს არ უჯერებენ. ისინი ტრიალობენ დახშულ წრეში: „სტალინი ქართველი იყო, სტალინი ძლიერი იყო. და ისინიც მას იყენებენ თავიანთი ემბლემად.“ „ეს წმინდა სიგიჟეა“, პასუხობს გასტონ ბუაჩიძე, „სიგიჟე, რომელიც სჯერათ ...“.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრძელებს ჟურნალისტი, ამ ნაციონალისტებს მრავალი მოკავშირენი ჰყავთ ძველი სტალინ-

ლებიდან, რომელთაც სურთ მეხსიერებიდან წაშალონ მათი ბოროტ-
მოქმედებები. ისინი ხალხს ეუბნევიან: „სტალინის დროს ასეთი
მაინც იყო“, რაც მათი მძიმე წინის არგუმენტია, იმ გაღიზიანე-
ბული ხალხისათვის, რომელიც თვეების განმავლობაში ვერაფერს
პოულობს მაღაზიებშიო. „ეს ეფექტიური და უსინდისო არგუმენ-
ტია, არავის აღარ სურს გაიხსენოს, რომ მოსავალს კატორღელე-
ბის სისხლით იწევდნენ“–მარტავს ბუაჩიძე.

შეიძლება უსინდისო იყოს, მაგრამ ის სჯერათ, ამბობს ბ–ნი სზა-
ფრანი და აგრძელებს: „და ეს იმდენად, რომ იღუზიად გესახებათ
ერთი თბილისელი განათლების მუშაკის მოწოდება: „საქ. მორალური
სიჯანსაღე გადის სტალინის სახელზე სრულ უარის თქმაზეო“.

დღე არაა საქართველოში მანიფესტაციის გარეშე. დარტეხილებუ-
ლი აპრილის ხოცვა-ჟლეტით, რომელიც მოწყობილი იყო ნაციონალი-
სტების წინააღმდეგ და კიდევ უფრო მეტად მის წინააღმდეგ, –
გორბაჩოვი რჩება უძრავი. ყველა დარწმუნებულია აქ, რომ ასეთი
მდგომარეობა შეუძლებელია გაგრძელდეს.

„ჩვენ ავადფეთქებთ საბჭოთა კავშირს“ ამტკიცებენ თავის თავში
დაჯერებული ნაციონალისტები. მაგრამ მერე? მერე არავინ არ იცი-
ის“, ასკვნის ჟურნალისტი.

გორბაჩოვის პოლიტიკისადმი სიმპათიით გამსჭვალული კორესპონ-
დენცია აქ თვალში საცემია, რაც ჩვენ ნაკლებად აგვაღიარებდა,
რომ მასში არ იყოს არეკლილი კრემლის ცბიერი ცილისწამება,
თითქოს საქართველოში ადგილი ჰქონდეს სტალინის კულტის ნოსტა-
ლგიას და არა ეროვნული განთავისუფლების მოძრაობას. წერილის
როგორც შინაარსი, ისე ფოტოგრაფიები შერჩეულია ასეთი შთაბე-
ჭდილების შესაქმნელად. ამ უსინდისო ცილისწამებას მით უფრო
მეტი დამაჯერებლობა აქვს, რომ მასში ოსტატურადაა ჩაქსოვილი
ისეთი სერიოზული პირის მოწმობა, როგორიც გახლავთ პროფესორი
გასტონ ბუაჩიძე. ჩვენ არ გვგონია, რომ მან შეგნებულად ითამა-
შა ეს როლი. ისიც შესაძლებელია, რომ ჟურნალისტმა ზოგან და-
ამახინჯა მისი აზრი, ანდა შეუსაბამო კონტექსტში მოიტანა.
ამიტომაც, მასაც და ყველა სხვა სწავლულებსაც, რომლებიც უცხო
ენებს ფლობენ, უცხოეთის გავლენიან წრეებში ნაცნობობა აქვთ,
ფხიზლადა და ფრთხილად უნდა იყვენ მათთვის უცნობ ჟურ-
ნალისტებთან, რომ უნებურად ჩვენი ხალხის ცილისმწამებლებმა
მოწმეებად არ გამოიყენონ.

ტირანებს ყოველთვის და ყველგან ჰყავდათ თაყვანისმცემლები. ჩვენი შეფასებით, ისინი უმთავრესად არიან უნდილი, უნებისყოფო, სუსტი ხასიათის ადამიანები. დღესაც ქართველ ხალხში არიან აქა– იქა სტალინის დროისადმი ნოსტალგიით შეპყრობილები ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ საბჭოთა კავშირის თუ მსოფლიოს ქვეყნებში, რადგანაც სტალინი მსოფლიო მნიშვნელობის ტირანი გახლდათ და არა ქართული, ეროვნული.

ცილისწამება იმაში მდგომარეობს, რომ სტალინის პიროვნება არასოდეს არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მახასიათებელს, პირიქით და ათასჯერ პირიქით, **მ ა გ რ ა მ** თუ კი გუშინდელი სტალინელები დღეს ეროვნულ განმათავისუფლებელთა რიგებში ჩადგებიან, საქართველო მათ ხელს არ ჰკრავს, ისევე, როგორც მას ხელი არ უკრავს გიორგი სააკაძისათვის მარტყოფის ბრძოლაში.

*

ახლა, ბ–ნ გასტონ ბუაჩიძის პოზიციაზე, ისე, როგორც ისაა მოხმობილი მორის სზაფრანის კორესპონდენციაში: „*GEORGIE*: „*PARDONNEZ–MOI, C'EST LE BORDEL!*" იგი ასე გამოთქმება: ა) თანახმაა მონაწილეობა მიიღოს გორბაჩოვის მიერ შეთავაზებულ ერთპარტიულ არჩევნებში, როგორც უპარტიომ (სხვათა შორის, სტალინის დროსაც იყო მოდაში „კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკი.) ბ) თანახმაა, საქართველო დარჩეს საბჭ. კავშირში, რომელიც პირველ ხანში კონფედერაცია იქნება. „ეს ერთადერთი გონიერი გამოსავალიაო"–ბრძანებს ბ–ნი ბუაჩიძე

ჩვენ ვამჩნევთ, რომ ჩვენს დღევანდელ ინტელიგენციაში გასტონ ბუაჩიძე გამონაკლისს არ წარმოადგენს და პირდაპირ ვეტყვით, რომ ისინი სასტიკად ცდებიან. ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია, რომ, არადემოკრატიულ, „დემოკრატობანას" თამაშში მონაწილეობით შეცდომაში არ უნდა იყოს შეყვანილი ჩვენი ხალხი. დღევანდელ ეტაპზე თითოეული შეგნებული მოქალაქის ვალია ხელისუფლებისაგან მოითხოვოს ნამდვილი დემოკრატიული, მრავალ პარტიულ სისტემაზე დაფუძნებული არჩევნები. დემოკრატიულ პირობებში პარტიების მიერ წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატები, თავთავიანთ საარჩევნო უბნებში ხალხს წარუდგენენ მათ კონცეპციებს, შეხედულებებს ყველა დღევანდელ საჭირბოროტო საკითხზე: ეკონომიკა, სოციალური, ეთნიური, ეკოლოგიური, საბჭოთა კავშირში ყოფნა-არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნა და სხვა. ასე არჩეული საქართველოს უმაღლესი ორგანო, ერქმევა მას ეროვნული პარლამენტი თუ უმაღლესი საბჭო, ეროვნულად გადაწყვეტს, თუ როგორი წესწყობილება სურს დაამყაროს შიგნით ქვეყანაში და როგორი კავშირ-ურთიერთობანი სურს დაამყაროს რუსეთთანაც და მთელ გარე სამყაროს სახელმწიფოებთანაც.

ვინც ამ სწორი და ნათელი გზიდან უხვევს, ის ქედს იხრის ძალადობის წინაშე და ღალატობს სიმართლესაცა და სამშობლოსაც.

***

ჯ. ჰიუიტის შეცდომანი

იქნებ ისე არასოდეს შევმცდარვარ ადამიანების შეფასებაში, როგორც ამას ადგილი დაურჩა ბ–ნ ჯორჯ ჰიუიტის შემთხვევაში. იგი მიმაჩნდა ჩემი ხალხის ერთგულ მეგობრად და პორტპაროლად, არა მარტო დიდბრიტანეთის კუნძულზე, არამედ მთელს ვრცელ ინგლისურენოვან სამყაროში. მე მისგან მოველოდი, რომ უკიდურეს გასაჭირში ის ჭეშმარიტ მეგობრულ თანადგომას გამოიჩენდა უსამართლოდ დაბრალებული ქართული ეროვნული საქმისადმი.

ნამდვილად მეხის დაცემა იყო ჩემთვის, როცა გავიგე მისი გამოსვლის შინაარსი, 5 მაისს, ლონდონში, ქართველოლოგთა შეკრებაზე. 5 მაისს ჯერ კიდევ კარგად არ იყო კარგად გამშრალი თბილისის ქუჩებში ცხრა აპრილის ღამით დანთხეული მამულიშვილების სისხლი, როცა ჩვენგან ქებული ინგლისელი ფილოლოგი აშკარად მათი ჯალათების, ქართველი ერის მტრების ბანაკში გამოჩნდა. დიახ, ის ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის მტრების ბანაკში აღმოჩნდა და ტყეილად ცდილობს დაგვარწმუნოს, ვითომც პატარა და სუსტ აფხაზ ხალხს იცავდეს, რომელსაც ვითომც ქართველებისაგან ეროვნული გადაშენების საფრთხე ადგით, ხოლო რუსებისაგან – დაცვა, გამრავლება და კულტურული აყვავება.

ბ–ნი ჰიუიტი მოხსენებითაც არ დაკმაყოფილდა. მან იგი თარგმნა რუსულად, ქართულად (მგონი აფხაზურად არა) და დიდი ენერგიულობა გამოიჩინა მისი პროპაგანდისათვის. „ღია წერილი ქართველებს“ მან ჯერ, როგორც „ექსკლუზივიტე“, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან კულტურული კავშირის ორგანო „სამშობლოს“ გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად, მაგრამ მას გაზეთმა „სამშობლომ“ იმედი არ გაუმართლა და შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურულ საქართველოს“ დაანამუსა მისი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვა და ამ უკანასკნელმაც ინტეგრალურად გამოაქვეყნა მის 21 ივლისის ნომერში. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯ. ჰიუიტის ამ აგრესიას (სწორედ ასე იქნა ის გაგებული საქართველოს ინტელიგენციის ფართო წრეებში), არაერთი დასაბუთებული პასუხი გაეცა იქვე და ქართულ ყველა სხვა პრესაშიც.

ჩვენ აქ არც ადგილი გვაქვს და არც საჭიროდ მიგვაჩნია ამ გაცემული პასუხების შემდეგ, კიდევ დაწვრილებით განვიხილოთ ამ წერილის შინაარსი, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის მეტისმეტად თავხედური და ულოგიკოა. თავხედია, რადგანაც ის „უვიცს“ უწოდებს დიდად ღვაწლმოსილ, აწ განსვენებულ, მეცნიერ პავლე ინგოროყვას და ყველა სხვა ქართველ ისტორიკოსს, რომელიც იცავსა და ანვითარებს აფხაზებისა და ქართველების ძმობასა და განუყოფლობას, რაც, ეტყობა, მას აღიზიანებს. კიდევ მეტი, ის უვიცად აცხადებს მთელ ქართველ ხალხსაც, როცა წერს: „ჩემი გამოცდილების მიხედვით ქართველებს შორის არსებობს დიდად დასანანი უვიცობა აფხაზეთის ისტორიისა და აფხაზების შესახებ.“

ბ-ნი ჰიუიტი ულოგიკოა, რადგანაც ის მოითხოვს, რომ სტალინის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, დღეს პასუხი აგონ ქართველებმა, მივიდენ და ბოდიში მოუხადონ აფხაზებს.

და ბოლოს ბ-ნი ჰიუიტი თვითვე ღესავს თავის დასაკლავ დანას. ის მისთვის ჩვეული რიხით ამბობს: „ადამიანი ისწავლის იმდენ ენას, რამდენის ცოდნაც საჭიროა მაგისი ყოფაცხოვრებისათვის, და ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ქართული ძალიან იშვიათად ისმის აფხაზეთში. დასკვნა მხოლოდ ერთია— აფხაზეთში კაცს შეუძლია იცხოვროს ქართულის შეუსწავლელად და ამიტომ ეგრე ცხოვრობენ ისინი“-ო. აგაშენა ღმერთმა! მაშ არც ისე „უვიცები“ ყოფილან ქართველები, როცა ისინი ამ თქვენს მიერ შენიშნულ გარემოებას ებრძვიან და თავს სდებენ იმისთვის, რომ საქართველოში ქართულის ცოდნა საჭირო და სავალდებულო გახდეს ცხოვრებისათვის.

ამ გულმხურვალე ქართველ პატრიოტებს თქვენ, ბ-ნო ჰიუიტ, ფაშიებს ეძახით. თქვენთვის ფაშისტები არიან: ზ. გამსახურდია, გ. ჯანტარია, ირ. წერეთელი, აკ. ბაქრაძე, აწ განსვენებული მ. კოსტავა და ყველა ის, ვინც აქტიურობს და საბჭ. ხელისუფლებისგან იდევნება ქართველი კაცისა და ერის უფლებათა დაცვისთვის.

თქვენ ამ ბინძურ ცილისწამებას საჯაროდ არ აცხადებთ, მაგრამ დიდი გულმოდგინებით ავრცელებთ დასავლეთის ნაცნობ-მეგობრებში. „დიდად საწუხ არს ესა!“

გ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგლოვიარო ქუთხე

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

წელს *17* ივლისს, კანადაში, *ST CATHERINA (ONTARIO) L 2R 2L8* გარდაიცვალა ექმი **შოთა გვასალია**, დაბადებული *1913* წლის *19* იანვარს საქართველოში. მეორე მსოფლიო ომიდან გადარჩენილი.

*

წელს *23* ივლისს პარიზში გარდაიცვალა **გიორგი დადიანის ქვრივი**, დაბადებული **ლიუსი ტევ**. *28* ივლისს დაიკრძალა ღევილში.

*

წელს *27* ივლისს, ლონდონში, *80* წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა **დავით (დოდიკა) მეტრეველი**. მეორე მსოფლიო ომიდან გადარჩენილი.

*

წელს *8* ოქტომბერს, პარიზში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, *98* წლის ასაკში გარდაიცვალა **ქრისტეფორე იმნაიშვილი** და დაკრძალული იქნა ღევილის სასაფლაოზე *13* ოქტომბერს.

*

წელს ოქტომბერში ნიუ-იორკში, გარდაიცვალა **ქალბატონი ბარბარა ბუჩიაშვილი–ლანინგ**.

*

წელს *19* ნოემბერს *90* წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა, სოფელ ღევილის ქართულ მამულში მცხოვრები **თამარ საბახტარიშვილი–მუსხელიშვილისა** და *22* ნოემბერს მიბარდა ღევილის სასაფლაოს.

*

წელს *31* ოქტომბერს, ქ. მონლუელში, საფრანგეთის ენის დეპარტამენტი, *83* წლის ასაკში გარდაიცვალა **შალავა შენგელიას ქვრივი**, დაბადებული **მარი–ლუიზ მერლენი** და *3* ნოემბერს დაიკრძალა ღევილის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით.

*

წელს *23* ნოემბერს, პარიზის მახლობლად საავადმყოფოში, *87* წლის ასაკში გარდაიცვალა **პარმენ კობახიძის ქვრივი**, დაბადებული **ოლგა ივანოვნა სმირნოვა** და *28/ 11* -ში დაიკრძალა მეუღლის გვერდით, ღევილის სასაფლაოზე.

და თანაგრძნობას ვუცხადებთ მათ პირისუფლებს.

ადამიანები და წიგნები

[უადგილობის გამო, აქ ჩვენ კატალოგის სახით ვაქვეყნებთ ჩვენი აზრით საყურადღებო ახალ წიგნებს. **რედ.**]

ვეფხვისტყაოსანი ფრანგულად

პირველ რიგში აღსანიშნავია ფაქტი: ფრანგულენოვან ლიტერატურას წელს შეეძინა ბატონ გასტონ ბუაჩიძის მიერ თარგმნილი **ვეფხვისტყაოსანი.** წიგნი გამოცემულია მოსკოვის „რადუგას“ და პარიზის ორიენტალისტთა გამოცემების თანამშრომლობით. რუსულად ფეტვიაშვილის მიერ იშვიათად ორიგინალურად დასურათხატებული, მდიდრულად და გემოვნებით გამოცემული ეს წიგნი, რომელიც ვეფხვისტყაოსნის წინამორბედ ფრანგულ თარგმანებისაგან განსაკუთრებით მით განსხვავდება, რომ ფრანგულთაც ის რუსთაველური შაირთაა გარითმული,– ვიმედოვნებთ, რომ საპატიო ადგილს დაიჭერს მდიდარ ფრანგულ ბიბლიოთეკაში, რაც დაფასება იქნება მთარგმნელის მიერ გაწეული უზარმაზარი შრომისა, ნიჭისა და ერუდიციისა. გულით ვულოცავთ და ვმადლობთ, რომ მან კეთილი ინება და ერთი ეგზემპლარი ძღვნად მოგვართვა.

*

ალექსანდრე მანველიშვილი: „ოქროს ხანა“

ღვაწლმოსილ მოღვაწესა და უხვ ავტორს, ბ–ნ ალექსანდრე მანველიშვილს ჩვენი წარდგინება აღარ ესაჭიროება, მაგრამ ჩვენს მკითხველებს უნდა ვაუწყოთ, რომ მან სულ ახლახან, საკუთარი შრომითა და ხარჯით, სან ფრანცისკოში გამოსცა კიდევ ერთი საყურადღებო წიგნი **„ოქროს ხანის“** სახელწოდებით, რომელიც დოკუმენტური, საინტერესოდ საკითხავი ისტორიაა სწორედ ოქროს ხანად წოდებულ პერიოდისა, რომელიც იწყება დავით აღმაშენებლის ძღვევამოსილი მეფობით და იხურება მონგოლების შემოსევითა და დაპყრობით.

ბატონმა ალექსანდრემ კეთილი ინება და ამ წიგნის ოციოდე ეგზემპლარი მერაბ კოსტავას ფონდს შემოსწირა. ვისაც გნებავთ ამ წიგნის მიღება, შეგვატყობინეთ რედაქციაში. ფასი ნებაყოფლობითია და ჩაითვლება და გამოცხადდება, როგორც შემოწირულება.

*

სოსო ჟორჟოლიანი: „ლექსები“

ჩვენი ემიგრაციის პოეზიის სამყარო გამდიდრდა მეგობარ **იოსებ**

(სოსო) ჟორჟოლიანის ლექსების წიგნით, რომელიც ავტორისგან ჩარჩოსა და ხარჯითაა გამოცემული და მის მიერვე გაფორმებულ-დასურათებულ-ტებული. ამითაც ჩანს, რომ იგი ფორმაციით ინჟინერია. უკანასკნელ მსოფლიო ომის ვეტერანი, რადიო „თავისუფლების“ თავდაბალი მუშაკი, ამჟამად პენსიონერი, ამ ლექსებით გვიხსნის მის გულს, რომელშიც მხოლოდ სიყვარული დაბუდებულა, და პირველ რიგში, მისი სათაყვანებელი სამშობლოს დაუოკებელი ტრფობა. ღმერთმა უკურთხოს სული, გული და მარჯვენა! (შეგიძლიათ წიგნი გამოიწეროთ: *SHORSHOLIANI. Ringstrasse, 1. 8011 Anzing Kreis Ebersberg.* გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა.)

*

ზვიად გამსახურდია: მთვარის ნიშნობა

მკითხველებს ვახარებთ, რომ წელს, თბილისში, „მერანმა“ გამოსცა ზვიად გამსახურდიას ლექსები „მთვარის ნიშნობა“-ს სათაურით. 85 გვერდიან ლექსების კრებულს ხსნის ავტორის წინათქმა, რომელიც ასე მთავრდება: **„ლოგოსი ქმნაა და ზეშთასაბრძნის გამოცხადება ყოფად. ჩვენ წინაპართათვის ლოგოსის მსახური იყო „სიბრძნითა გამომთქმელი სულისა საიდუმლოისა“. დაე, ნურც ჩვენი თანამედროვეობა ჩააქრობს ლოგოსის მსახურების ამ მაღალ კანდელს!“**

გულით ვუღოცავთ გამოჩენილ მამულიშვილს!

*

ირაკლი კოსტავა: ლექსები

წელსვე, მამის სიცოცხლეში, იგივე „მერანის“ გამომცემლობამ ქართული საზოგადოებრიობა გაახარა ირაკლი კოსტავას ლექსების წიგნის გამოცემით. წიგნაკი შეიცავს ოცდაათ ლექსს, ავტორის ფოტოგრაფიას და აკაკი ბაქრაძის შესავალ სიტყვას. იგი ხელთუქმნელ ძეგლად აღიქმება უდროოდ წასულ ჭაბუკის საფლავზე.

*

თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი: მოლოდინი

ეს წიგნი, რომელიც ისრაელში გამოიცა, საყურადღებო შენაძენია ქართულენოვანი ლიტერატურისთვის, რადგანაც იგი ქართულია, ქართული კულტურითაა ნასაზრდოები, დავაჟკაცებული და დამწიფებული, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ისრაელის მოქალაქეა და წიგნის საერთო იდეაც ეაჟღენთილია ამ ქვეყნის პატრიოტიზმით.

„მოლოდინი“, ეს 250 გვერდიანი წიგნია, რომელიც შეიცავს 25 მოთხრობასა და ნოველას. ეს პატარპატარა ნაწარმოებები ერთიანდებიან შეესაბამება დღევანდელ ცხოვრებას, როცა ყველას სადღაც მიეჩქარება, თითოეული მათგანი დატვირთულია აზრით, რომელიც სხვებს არ ჰგავს, სამაგიეროდ მათ აერთებთ ერთი უზადო თანამედროვე ქართული ენის მდინარება. ქ-ნ თამარს პირადად არ ვიცნობთ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ვიცით, რომ ის საბჭოთა საქართველოში ტელევიზიაში მსახურობდა და აქ, ისრაელშიაც ამავე უწყებაში მსახურობს, რადგანაც ისრაელის ტელეხედვის ქართულ განყოფილებას განაგებს. ორივეგან ის თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ესაა ალბათ ნამდვილი პროფესიონალიზმი. ამას მის წიგნთან საერთო არ აქვს და მხოლოდ სხვათა შორის აღვნიშნეთ. მისი საინტერესო საკითხავი წიგნისთვის კი გულითად ქათინაურებს მოვახსენებთ.

გ უ შ ა გ ი

*** *** *** *** *** ***

გ უ შ ა გ ი ს ფ ო ნ დ ი (ფრანგ. ფრანკებში)

შოთა ბერეჟიანი	200	აკაკი შავგულიძე	500
მიშა თარაშვილი	300	პროფ. მალხაზ აბდუშელი	100
დავით თორაძე	1.000	თათრახან ანთაძე	200
მიშა გოგორიშვილი	1.000	მეგობარი	600
ირაკლი ოთხმეზური	159	ილო ემუხვარი	150
ავთანდილ ფარჯანაძე	1.000	დიმიტრი მახარაშვილი	65
სოსო ჟორჟოლიანი	890	მიშა გოგორიშვილი	1.000
სიმონ ბლიაძე	300	ვანო გებრივილი	200
მარინე ხუციშვილი	2.026	ზოსიმე ჯიშკარიანი	200
სერგო ფაშალიშვილი	124	გრიშა ლომაძე	300
შალვა ცინცაძე	238	ენდერი გორგოშაძე	120
დიმიტრი გოგიშვილი	159	ელზა ცომაია-მდივანი	300
ქეთევან ბარნოვი-შედო	300	ილსე ბარათელი	500
ტიტიკო ჩხეიძე	202	კარლო გვარჯალაძე	191
		შალვა თევზაძე	169

ლადო რუხაძე —ლადო ბელიაშვილის და ლადო ჭურღულაძის მოსახსენებლად 700

პეტრე ხვედელიძე — ალექსი აბაშიძის მოსახსენებლად — 565

პეტრე ხვედელიძე — მოსახსენებლად ლიუსი დადიანისა — 597

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშაგის ფონდი (გაგრძელება)

პეტრე ხვედელიძე – მოსახსენებლად დავით მეტრეველისა 573

შემოწირულებათა ჯამი *14.928*

ულრმეს მადლობას მოვახსენებთ ყველას. მიმდინარე წლის ანგარიშს გამოვაქვეყნებთ მომავალ ნომერში.

****

მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი

****

კვირას *15* ოქტომბერს, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ჩვენს ეკლესიის ბინაში, *16* საათზე შედგა „ემიგრანტ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრება გახსნა გიორგი წერეთელმა და მდივნობდა ზაქარია ლაშქარაშვილი. კრებამ ერთხმად გადაწყვიტა განაახლოს საქმიანობა, რომელიც შეწყვეტილი იყო თავმჯდომარის პოეტ გიორგი ყიფიანის ჯერ ხანგრძლივი ავადმყოფობისა და შემდეგ გარდაცვალების გამო. კრებამ ასევე ერთხმად აირჩია საზოგადოების გამგეობა, შემდეგი შემადგენლობით (ანბანის თანრიგით): **ნიკოლა ანთაძე** (მოლარე), **ზ. ლაშქარაშვილი** (მდივანი), **ჯ. კაშია**, **ლ. ფალავა** (თავმჯდომარის თანაშემწე), **მ. ქავთარაძე**, **ეთ. წერეთელი** (მდივანი), **გ. წერეთელი** (თავმჯდომარე).

კრებამ სასურველად მიიჩნია, რომ საზოგადოების გამგეობაში წარმოდგენილი იყოს ჩვენი საზღვარგარეთული პრესის ყველა წარმომადგენელი. ვინაიდან კრებას არ ესწრებოდნენ „კავკასიურ-ქართული ეტიუდების“ და „მებრძოლი საქართველოს“ რედაქციების წარმომადგენლები, მათთვის გამგეობაში დატოვებული იქნა თითო ადგილი.

****

ძვირფასნო თანამემამულენო, თანამდგომ–თანაზიარნო, მეგობარნო, ნაცნობო და უცნობო მკითხველნო! გინატრით ბედნიერ ქრისტეშობის დღესასწაულს და გილოცავთ ახალ *1990* წელს. ღმერთმა ამ წელში გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მის განთავისუფლებას რუსთა მპყრობელობისაგან. ამინ! ამინ! ამინ!

****

ამ ნომერში სხვათა შორის ნახავთ: ზ. გამსახურდიას, თ. ჩხეიძის, ირ. შენგელაიას, ვ. რცხილაძის სტატიებს, აკად. ა. სურგულაძის სიტყვას.

ქ.: პოვილი 1989 წლის 30 დეკემბერს. გ.ვ.

n 42/13

GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur: GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

****

EDITION HORS COMMERCE